მაია ბაქრაძე
ნაზაკეტ ბაჰტიარ მეჰდიევა
ქეთევან კოზალაძე

სასიცოცხლო უნარები

მასწავლებლის სახელმძღვანელო

OPEN SOCIETY INSTITUTE
სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
CIVIC DEVELOPMENT INSTITUTE

მაია ბაქრაძე
ნაზაკეტ ბაჰტიარ მეჰდიევა
ქეთევან კოგალაძე

სასიცოცხლო უნარები

მასწავლებლის სახელმძღვანელო

OPEN SOCIETY INSTITUTE

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
CIVIC DEVELOPMENT INSTITUTE

თბილისი 2012

პროექტი ,,ახალი შესაძლებლობები საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს“ დაფინანსებულია ევროკავშირისა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის მიერ და ხორციელდება სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის, ასოციაცია ზეკარისა და მარნეულის ახალგაზრდული ცენტრის მიერ.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის მოსაზრებებს.

Project “New Opportunities for Educationally Deprived Children” was made possible by the support of European Union and Open Society Institute. Project is implementing by the Civic development Institute, Association “Zekari” and Marneuli Youth Center.

The contents of this publication do not necessarily reflect the views of European Union and Open Society Institute

ავტორები: მაია ბაქრაძე, ნაზაკეტ ბაჰტიარ მეჰდიევა, ქეთევან კობალაძე
რეცენზენტი: სიმონ ჯანაშია
რედაქტორები: თამარ ხატიაშვილი
დიზაინერ-დამკაბადონებელი: ეკატერინე წიქარიშვილი

საკონსულტაციო საბჭო:
ანთაძე ია
ბოჭორიშვილი მანანა
გორგოძე სოფიო
მოსიაშვილი თამარ

წიგნის შექმნაში განსაკუთებული წვლილი შეიტანეს სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის თანამშრომლებმა, განათლების ექსპერტებმა, რომლებმაც შეიმუშავეს განათლების მეორე შანსის ქართული მოდელი.
იდეის წარმატებით განხორციელების პროცესში აქტიურადმონაწილეობდნენ:

ბაქრაძე მაია
თოფაძე ქეთევან
კობალაძე ქეთევან
კორძაძე ეკატერინე
პაპავა პაატა
სამსონია ირინა
ჭანტურია თამარ

დაიბეჭდა გამომცემლობა მწიგნობარი, თბილისი, 2012

© სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი,2012

ISBN 978-9941-0-4889-0

სარჩევი

შესავალი. 5

1. სტანდარტი 8

1.1 რა არის სასიცოცხლო უნარ-ჩვევები 8

1.2 სასიცოცხლო უნარების სტანდარტის ძირითადი სტრუქტურა 9

1.3 მოსწავლის სტანდარტი - შედეგები და ინდიკატორები. 11

2. სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლები 12

2.1 სწავლა/სწავლების ინტერაქტიური მეთოდები 12

2.2 სასწავლო მეთოდები. 12

2.3 მოსწავლეებისშეფასება. 21

3. რეკომენდაციები მასწავლებლებს 27

კომუნიკაცია/მოვუსმინოთ საკუთარ თავს და ერთმანეთს

გაკვეთილი 1- კომუნიკაცია. 30

გაკვეთილი 2. კომუნიკაცია 37

გაკვეთილი 3,4 ეფექტური კომუნიკაცია 41

გაკვეთილი 5, 6 აქტიური მოსმენა. 50

გაკვეთილი 8. მოსმენის უნარ-ჩვევების გამომუშავება 57

ასერტულობა/როგორ გავხდეთ თავდაჯერებული

გაკვეთილი 9. ძალაუფლების ქანდაკებები (შევუტიოთ თუ თავი ავარიდოთ?) . . 59

გაკვეთილი 10 თავდასხმა თუ თავის არიდება? (გაგრძელება) 61

გაკვეთილი: 11 პასიური, ასერტული, აგრესიული ქცევა 64

გაკვეთილი 12. პასიური ქცევა, ასერტული ქცევა, აგრესიული ქცევა. 66

გაკვეთილი 13. როლური თამაში 69

გაკვეთილი 14. ასერტული შეტყობინების ჩამოყალიბება 72
გაკვეთილი 15. პირადი ასერტული შეტყობინების შექმნა. 76

გადაწყვეტილების მიღება/სწორი გადაწყვეტილება წარმატების საწინდარია

გაკვეთილი: 16. როგორ მივიღოთ გადაწყვეტილება? 79
გაკვეთილი 17. გადაწყვეტილების მიღების ეტაპები (გაგრძელება) 84
გაკვეთილი 23. რას ვირჩევ? 87
გაკვეთილი 18. რას ვირჩევ? 87
გაკვეთილი 19. სწორი /მართებული გადაწყვეტილების მიღება; 89
გაკვეთილი 20. “„პიროვნება, ვისითაც აღტაცებულები ვართ“ 92

კონფლიქტები/როგორ ვიცხოვროთ მშვიდობიანად

გაკვეთილი 21. თვისებები, რომლებიც მოგვწონს. 94
გაკვეთილი: 22. განსხვავებული მოსაზრება - ჩხუბის გარეშე 96
გაკვეთილი 23. როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები. 98
გაკვეთილი 24. როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები (გაგრძელება). 100
გაკვეთილი 25. თაობათა შორის ურთიერთობები 104
გაკვეთილი 26. დისკუსიის წესების მიღება. 109
გაკვეთილი 27. რატომ ვიცავთ გარემოს? 112
გაკვეთილი 28. რატომ ვიცავთ გარემოს? (გაგრძელება) 115
გაკვეთილის 29. პროექტი -ღამურების გადარჩენა. 116
გამოყენებული ლიტერატურა. 121

შესავალი

მოსწავლეები საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი წევრები არიან, იმის მიუხედავად, თუ როგორია მათი ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობა, ემოციური მდგომარეობა და, იმის მიუხედავადაც, თუ როგორი სახის სირთულეები აქვთ მათ. ხშირია შემთხვევა, როდესაც მოზარდები სრულად ვერ ახდენენ საკუთარი შესაძლებლობების დამოუკიდებლად რეალიზებას, მათ მხარდჭერა და მოტივირება სჭირდებათ. ბევრ მათგანს სხვადასხვა სახის პრობლემებთან უხდება გამკლავება. არის შემთხვევები, როდესაც ისინი რაიმე ტიპის ანტისოციალურ საქმიანობებში არიან ჩართულნი. მსგავსი ქმედებები, პირველ რიგში, მოზარდის ფსიქიკას აყენებს ზიანს, რაც ართულებს საზოგადოებაში მის ინტეგრაციას. ამიტომ, აუცილებელია, საზოგადოებამ და, პირველ რიგში, სკოლამ მოახდინოს მყისიერი რეაგირება და მოზარდს პრობლემების დაძლევაში დაეხმაროს. ამ პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება სასიცოცხლო უნარების შესახებ ცოდნის მიწოდებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებას. სასიცოცხლო უნარ-ჩვევებს გამომუშავება მოზარდს ეხმარება, იყოს წარმატების მიღწევასა და პროდუქტიულობაში.

სასიცოცხლო უნარები ყველა ადამიანის და, მით უფრო, მოსწავლის საბაზისო საჭიროებაა. სასიცოცხლო უნარების დაუფლება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ცხოვრებისეულ სირთულეებს გაუმკლავდნენ. ისეთი უნარები, როგორიცაა ლიდერობა, გადაწყვეტილების მიღება, კომუნიკაცია, შეფასება, ინტერპერსონალური ურთიერთობები – მოზარდს ეხმარება სკოლაშო საკუთარი ადგილის პოვნასა და თვითდამკვიდრებაში.

შემოთავაზებული კურსი მასწავლებლებს დაეხმარება სასწავლო პროცესის ეფექტურად ორგანიზებასა და სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვაში, რომ მოზარდებს განუვითარდეთ ის სასიცოცხლო უნ-

არ-ჩვევები, როგორიცაა: ლიდერობა, კომუნიკაცია, ინტერაქცია, თვითშეფასება, კონფლიქტების მართვა, გადაწყვეტილების მიღება, ჯგუფში მუშაობა. სასიცოცხლო უნარების შესწავლა აუმჯობესებს მოსწავლეთა ცხოვრებას, მათი მხრიდან მცირდება ძალადობრივი ქცევა, ნეგატიური და დესტრუქციული ქმედებების ალბათობა და იზრდება პროსოციალური ქცევა.

სასიცოცხლო უნარების შესწავლისას ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, მოირგონ სხვადასხვა როლი და შესაბამისი პასუხისმგებლობაც აიღონ. მათ უნდა შეძლონ გადაწყვეტილებების მისაღებად მრავალი გზის მოძიება და პრიორიტეტული ალტერნატივის შერჩევა. შესაბამისად, უნდა შეეძლოთ სხვისი აზრის მიღება, ჯანსაღი ურთიერთობის დამყარება. სწავლების პროცესი წარმატებულია, თუ მოსწავლეებს საშუალება აქვთ, უნარები განივითარონ სხვადასხავა როლისა და შესაბამისი პასუხისმგებლობების მორგებით.

სახელმძღვანელოში მოცემულია სასიცოცხლო უნარების სტანდარტი, სადაც განსაზღვრულია სასწავლო შედეგები და ინდიკატორები, სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლები, რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის და გაკვეთილის გეგმები.

სასწავლო პროცესის ეფექტური ორგანიზების მიზნით, კურსის მასწავლებელი უნდა გაეცნოს როგორც შემოთავაზებულ სტანდარტს, ასევე, მეთოდოლოგიურ ნაწილს, რომელიც დაეხმარება მას სახელმძღვანელოში მოცემული დეტალურად დაგეგმილი გაკვეთილების ჩატარებაში.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის, რომლებსაც უნდათ ამ საკითხზე სკოლაში დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების დანერგვა, ასევე საგანმანათლებლო კლუბებისთვის. ის დახმარებას გაუწევს კლასის დამრიგებლებს ეფექტურად იმუშაონ მოსწავლეებთან, მოცემული მასალების მიხედვით ჩაატარონ კლასის საათი და დაეხმარონ ბავშვებს სასკოლო გარემოში და ასევე ცხოვრებაში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში.

სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას, კერძოდ: ,,სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია. სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ“. (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016, თავი VIII).

სახელძღვანელოს კონცეფცია წააგავს იმ ხიდს, რომელიც მოზარდებმა უნდა გადონ ცოდნიდან რეალურ ცხოვრებისეულ ქცევებამდე. ამ ხიდის თითოეული ფიცარი არის ის სასიცოცხლო უნარ-ჩვევა, რაც ცხოვრებაში ეხმარება ადამიანს, რათა ცოდნა გადააქციოს ჯანსაღ ქცევებად. თუ ამ ხიდის „ფიცრები“ ამოცვივდება, ადამიანი შეიძლება ჩავარდეს პრობლემების „ზღვაში“. სწორედ ამიტომ სასიცოცხლო უნარების სწავლება არ ემსახურება მხოლოდ იმას, რომ მოამარაგოს მოზარდები კარგი ცოდნით, არამედ აღჭურვოს ისინი სასარგებლო უნარ-ჩვევებით, რომელიც დაეხმარება მათ უკეთ გამოიყენონ ეს ინფორმაცია ჯანსაღი და ბედნიერი ცხოვრებისთვის.

1. სტანდარტი

1.1 რა არის სასიცოცხლო უნარ-ჩვევები

სასიცოხლო უნარ-ჩვევები არის ინდივიდის შესაძლებლობა, მოიქცეს პოზიტიურად და წარმატებით შეეგუოს ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნებს. სასიცოცხლო უნარ-ჩვევათა სწავლების მიზანია, აღზარდოს ახალგაზრდა, რომელსაც ეცოდინება და რომელიც შეძლებს:

- დაამყაროს კავშირი და ითანამშრომლოს სხვა ადამიანებთან;
- თავიდან აიცილოს, ან მოლაპარაკების გზით გადაჭრას კონფლიქტები;
- ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების დაცვას;
- მართოს საკუთარი ემოციები და ქცევა;
- გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები გარემოს დასაცავად;
- ჰქონდეს საკუთარი თავის და სხვების პატივისცემა;
- ეწეოდეს ჯანსაღი ცხოვრების წესს;
- ჰქონდეს მტკიცე სამოქალაქო და მორალური პოზიცია;
- მართოს ინფორმაცია (მენეჯმენტი);
- უთანაგრძნოს სხვებს (გამოავლინოს ემპათია) და ა.შ.

სასიცოცხო უნარ-ჩვევების სწავლება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა სულიერი, სოციალური და ფიზიკური კეთილდღეობის განვითარებას. ამიტომ ის - ურთიერთობებში ნეგატიური ქცევითი ფაქტორების წარმოქმნამდე უნდა ისწავლებოდეს, დაწყებითი კლასებიდანვე.

სასიცოცხლო უნარების სასწავლო კურსის მიზანია, მოსწავლეს განუვითაროს კომუნიკაციის, თანამშრომლობის, საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის, საკუთარი და სხვების ქმედებების შეფასების, დასკვნების გამოტანის, ემოციების მართვის, მოვლენების ანალიზისა და შეფასების უნარ-ჩვევები. ხელი უნდა შეეწყოს ისეთი ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: სამართლიანობა, ტოლერანტობა, საკუთარი პიროვნებისა და სხვების პატივისცემა.

სასიცოცხლო უნარების დაუფლების შედეგად მოსწავლე შეძლებს:

- საკუთარი თავის რეალიზებას;
- მონაწილეობას სასკოლო-საგანმანათლებლო საქმიანობებში;
- განსხვავებულ ადამიანებთან ჯანსაღი ურთიერთობების დამყარებასა და შენარჩუნებას;
- მის წინაშე წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრას.

1.2 სასიცოცხლო უნარების სტანდარტის ძირითადი სტრუქტურა

სასიცოცხლო უნარ-ჩვევების სტანდარტი მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით1. ის სამი მიმართულებისგან შედგება:

1. ინტერპერსონალური ურთიერთობები/კომუნიკაცია;
2. გადაწყვეტილების მიღება და კრიტიკული აზროვნება;
3. თვითმართვა.

ინტერპერსონალური ურთიერთობები/კომუნიკაცია

სტანდარტის მიმართულების „ინტერპერსონალური ურთიერთობები/კომუნიკაცია“ მიზანია, მოსწავლეებმა კომუნიკაციის უნარ-ჩვევები შეიძინონ.

კომუნიკაცია – ინფორმაციის გადაცემის, გაცვლის პროცესია. სტანდარტის ეს მიმართულება ითვალისწინებს ინფორმაციის გადაცემის ვერბალურ და არავერბალურ ხერხებს, აქტიურ სწავლებას, ემოციების გამოხატვისა და გამოხმაურების/უკუგების უნარებს. ამ მიმართულებაში შედის ასევე მოლაპარაკების, მოლაპარაკების გამართვის, უარის თქმის (ასერტიულობა) და კონფლიქტების მართვის უნარის განვითარება. მოსწავლეებს ასევე განუვითარდებათ აქტიური მოსმენისა და სხვების გაგების უნარები, ისწავლიან ჯგუფში მუშაობას.

გადაწყვეტილების მიღება და კრიტიკული აზროვნება

გადაწყვეტილების მიღება კოგნიტური პროცესია, რომლის შედეგიცაა რამდენიმე ალტერნატივიდან ერთის შერჩევა. გადაწყვეტილების მიღების პროცესის შედეგი საბოლოო არჩევანის გაკეთებაა.

კრიტიკული აზროვნება მაღალი დონის აზროვნებაა. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი კითხვაზე პასუხის გაცემისას რამდენიმე ვარაუდს უშვებს. იგი ცდილობს, გაარკვიოს, რა არის ჭეშმარიტი და

1 http://www.unodc.org/pdf/youthnet/action/message/escap_peers_07.pdf

რა - მცდარი, ან - ნაწილობრივ ჭეშმარიტი და ნაწილობრივ მცდარი.

სტანდარტის ეს მიმართულება მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, განივითარონ პრობლემის განსაზღვრის, მისი გადაჭრის რამდენიმე ალტერნატიული გზის მოძიებისა და ამ გზების შეფასების უნარი. მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვებიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გააცნობიერებენ ამ პროცესში თანამშრომლობის მნიშვნელობას, განივითარებენ ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებს.

კრიტიკული აზროვნება ემყარება მოვლენებისა და პროცესების მრავალმხრივი ანალიზის უნარს, პრობლემის გადასაჭრელად არგუმენტებისა და მტკიცებულებების შეგროვებას. ამ დროს მიღებული გადაწყვეტილება არ ემყარება ემოციებს, კაპრიზებსა და სიტუაციიდან გამომდინარე სხვადასხვა ფაქტორს.

თვითმართვა

სტანდარტის ეს მიმართულება ხელს შეუწყობს მოსწავლეებში, შინაგანი კონტროლის, თვითშეფასების, თვითკრიტიკის, გრძნობების და სტრესის მართვის უნარ-ჩვევების განივითარებას.

მოსწავლეები გააცნობიერებენ საკუთარ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს. ამასთანავე, მიიღებენ ინფორმაციას საკუთარი პიროვნების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. თვითმართვაში შედის მიზნის დასახვისა და მისი მიღწევის უნარების განვითარება, ბრაზის მართვა, სტრესული სიტუაციებიდან ღირსეულად გამოსვლა, დასვენების დროის სწორად ორგანიზება და მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების დადებით ჭრილში დანახვის უნარი.

1.3 მოსწავლის სტანდარტი - შედეგები და ინდიკატორები

ინტერპერსონალური ურთიერთობები/კომუნიკაცია	**გადაწყვეტილების მიღება და კრიტიკული აზროვნება**	**თვითმართვა**
1. პიროვნებათშორისი ურთიერთობების უნარ-ჩვევა -ურთიერთობების ვერბალური და არავერბალური მეთოდების გამოყენება. -აქტიური მოსმენის უნარის დემონსტრირება. -მოსაზრების გამოხატვა, უკუკავშირი. *2. მოლაპარაკებების გამართვის/ უარის თქმის (ასერტიულობა) უნარ-ჩვევა* -მოლაპარაკებების წარმართვა და კონფლიქტური სიტუაციების მართვა. -საკუთარი მოსაზრების დამაჯერებლად ჩამოყალიბება; -საკუთარი პოზიციის უარყოფა და სხვა პოზიციის გაზიარება, თუ ის დამაჯერებელ არგუმენტებს შეიცავს. 3. ემპათიის გამოვლენის უნარი -სხვისი ტკივილისა და გაჭირვების თანაგანცდა, გაჭირვებული ადამიანების თანადგომა. 4. *თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა* -სხვა ადმიანის მოსაზრებების პატივისცემა, ჯგუფის მუშაობაში საკუთარი წვლილის შეტანა. -ჯგუფში მუშაობა და შეტანილი წვლილის სწორად შეფასება. 6. *საკუთარი პოზიციის დაცვა* -საკუთარი პოზიციის დაცვა, თანამოსაუბრის დარწმუნება და გადაწყვეტილების პროცესზე გავლენის მოხდენა.	*გადაწყვეტილების მიღება* -შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება. -მოცემული მოვლენის შედეგების შეფასება. -პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების განსაზღვრა. კრიტიკული აზროვნება -საინფორამაციო საშუალებებიდან და გარე სამყაროდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი და შეფასება. -ინფორმაციის წარმოშობის წყაროს განსაზღვრა და მისი სანდოობის შეფასება.	<u>შინაგანი კონტროლი</u> -თვითშეფასებისა და ნდობის უნარ-ჩვევა. -უფლებებისა და ღირებულებების ურთიერთდამოკიდებულების, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გაცნობიერება. -მიზნის განსაზღვრა. -თვითშეფასება და თვითმონიტორინგი. გრძნობების კონტროლის უნარ-ჩვევა -ზიზღისა და ბრაზის კონტროლი. -დარდისა და შფოთვის გაზიარება. -დანაკარგის, დარდის და ტრავმის შედეგად მიღებულ ტკივილთან გამკლავება. *სტრესის კონტროლის უნარ-ჩვევა* -დროის სწორად განაწილება. -მიმდინარე პროცესებისა და მოვლენებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამოვლენა. -დასვენებისათვის დროის ორგანიზება.

2.სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლები

2.1 სწავლა/სწავლების ინტერაქტიური მეთოდები

ინტერაქციონიზმი — თანამედროვე სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებაა, რომელიც დამყარებულია ამერიკელი სოციოლოგისა და ფსიქოლოგის ჯ. მიდის კონცეფციაზე. ინტეაქციონიზმში (უშუალო ურთიერთქმედებაში) იგულისხმება პიროვნებათშორისი კომუნიკაცია, რომლის მთავარ თავისებურებად მიჩნეულია ადამიანის უნარი ,,მიიღოს სხვისი როლი", წარმოიდგინოს, თუ როგორ აღიქვამს მას პარტნიორი ან ჯგუფი, ამის შესაბამისად მოახდინოს სიტუაციის ინტერპრეტაცია და საკუთარი მოქმედებები ააგოს.

სასიცოცხლო უნარ-ჩვევების სწავლება განსაკუთრებით ეფექტიანია, თუ მას ინტერაქციონიზმზე დაფუძნებული მეთოდიკა უდევს საფუძვლად.

ინტერაქტიური მეთოდებით სწავლება ძირეულად განსხვავდება სწავლების ტრადიციული მეთოდებისაგან. ტრადიციული სწავლებისას გაკვეთილზე ცენტრალური ფიგურა მასწავლებელია. იგი შესასწავლ მასალას მზა სახით აწვდის (გადასცემს) მოსწავლეს, რომელიც ცოდნის პასიური მიმღების. როლში იმყოფება. ინტერაქტიური მეთოდიკით სწავლების დროს თვით ბავშვი (მოსწავლე) იმყოფება შესასწავლი მოვლენების ცენტრში. იგი თავის ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, სხვა ბავშვებთან ერთად აანალიზებს, აფასებს, აყალიბებს მოსაზრებებს, ეუფლება უნარ-ჩვევებს, უყალიბდება განწყობა-დამოკიდებულებები ფაქტებისა და მოვლენებისადმი.

2.2 სასწავლო მეთოდები:

სიუჟეტური (როლური) თამაში

თამაში ადამიანისა და განსაკუთრებით ბავშვის ქცევის ერთ-ერთი წამყვანი ფორმაა. თამაში სწავლების მიზნით — ესაა შესაძლო რეალობის ჯგუფური გამოკვლევის და, ამ გზით, სოციალური გამოცდილების მიღების საშუალება.

გერმანელი ფსიქოლოგი ბიულერი მიიჩნევდა, რომ თამაში არის საქმიანობა, რომლის განხორციელებას ფუნქციური სიამოვნების მიღება უდევს საფუძვლად. ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება

განვმარტოთ, რომ თამაში — ესაა შესაძლო სინამდვილის ჯგუფური და დიალოგური გამოკვლევის მეთოდი.

სათამაშო აქტივობას მართლაც სხვადასხვა სახის სიამოვნება უდევს საფუძვლად, კერძოდ:

1. პარტნიორებთან უშუალო კონტაქტის სიამოვნება;
2. სათამაშო სიტუაციების შედეგების სწრაფად გარკვევის სიამოვნება;
3. შეჯიბრისგან მიღებული სიამოვნება;
4. საკუთარი თავისა და შესაძლებლობების დემონსტრირებით მიღებული სიამოვნება;
5. როლში ,,შესვლის" სიამოვნება და ა.შ.

სიუჟეტური თამაში — ეს არის გაკვეთილზე გათამაშებული მცირე დადგმა, სპექტაკლი, რომლის მიზანია ბავშვისათვის უცნობი და უჩვეულო მოვლენების გაცოცხლება მათი გათამაშების გზით.

მასწავლებელი არჩევს გაკვეთილზე განსახილველ (შესასწავლ) თემას და ადგენს სიუჟეტს. შემდეგ ბავშვებთან ერთად ანაწილებს როლებს და მსჯელობს იმაზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საბავშვო წარმოდგენა.

წარმოდგენის მსვლელობისას მასწავლებელმა შეიძლება შეაჩეროს ბავშვები და დაუსვას მათ კითხვები (მაგ. წარმოდგენის გაუმჯობესების მიზნით). წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, მას მთელი კლასი არჩევს.

ეს მეთოდი საშუალებას აძლევს ბავშვს:

- უკეთ გაიგოს მისთვის უცნობი მოვლენები;
- თამამად გამოხატოს თავისი გრძნობები და აზრები;
- იგრძნოს თავი ჯგუფის წევრად;
- ითანამშრომლოს სხვა ბავშვებთან, ანუ მიიღოს მონაწილეობა;

მიაღწიოს სოციალიზაციას (საზოგადოებაში არსებული სოციალური გამოცდილების ათვისება და მიღება) და ა. შ.

დისკუსია

დისკუსია საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა, რომელიც სტიმულს აძლევს მოსწავლეთა ინიციატივას და მათ რეფლექსურ აზროვნებას უვითარებს.

დისკუსიის დროს ხდება:

- მონაწილეთა შორის ინფორმაციის გაცვლა;
- ერთი და იმავე საკითხისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომების ძიება;
- სხვადასხვა თვალსაზრისის (ხშირად, ერთმანეთის გამომრიცხავის) თანაარსებობა;
- საერთო აზრის ან გადაწყვეტილების მისაღებად ჯგუფური შეთანხმების ძიება.

დისკუსიის მეთოდით სწავლება, ტრადიციული მეთოდით სწავლებისგან განსხვავებით, შესაძლებლობას იძლევა, დავინახოთ, რომ ყოველი მტკიცება მრავალ მხარეს შეიცავს და დასკვნის გაკეთება უამრავი გზით არის შესაძლებელი.

იმისათვის, რომ მოსწავლეებთან ღია დისკუსია ჩატარდეს, საჭიროა, ურთიერთპატივისცემისა და ნდობის გარემო იყოს შექმნილი. ,,უსაფრთხო" გარემოს შექმნა კი მასწავლებლის მიერ წინასწარი სამუშაოს ჩატარებას გულისხმობს, რომლის მიზანია კლასში სადისკუსიო ქცევის წესებისა და ურთიერთობის ნორმების ჩამოყალიბება. ეს განსაკუთრებით ეფექტურია დაწყებით კლასებში, როდესაც ქცევის სტანდარტები ყალიბდება.

დისკუსიის წესების სწავლა და ამ მეთოდის ხშირი გამოყენება ხელს უწყობს მთელი რიგი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა:

- აქტიური მოსმენა;
- საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და მისი არგუმენტაცია;
- მსჯელობა, კრიტიკული ანალიზი და სხვისი ნააზრევის შეფასება.

საბოლოოდ კი ყალიბდება სხვისი თუნდაც, განსხვავებული აზრისადმი - პატივისცემისა და შემწყნარებლობის დამოკიდებულება, რაც აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქისათვის.

იმისათვის, რომ დისკუსია ჩავატაროთ, საჭიროა:

- პრობლემის წარმოდგენა ან კონკრეტული შემთხვევის აღწერა;
- დისკუსიის მოტივაცია;
- დისკუსიის წესების დაცვა;
- მოსწავლეთა წახალისება, მხარდაჭერა.

განიხილავენ დისკუსიის შემდეგ ფორმებს:

,,მრგვალი მაგიდა“ — მოსწავლეთა მცირე ჯგუფი (4 -5 კაცი) ახდენს ურთიერთგაცვლას ერთმანეთთან და კლასთან.

,,პანელური დისკუსია“ — რომელსაც უძღვება ჯგუფის მიერ წინასწარ დანიშნული ლიდერი.

,,ფორუმი“ — მთელი ჯგუფი ახდენს აზრთა და იდეათა ურთიერთგაცვლას თანაბარ საწყისებზე.

,,დებატები“ – აგებული მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. წარმომადგენლები არჩეულნი უნდა იყვნენ ჯგუფიდან. კამათის დროს ჯგუფის თითო წარმომადგენელი რიგრიგობით მონაწილეობს.

დისკუსიის შემდეგ მასწავლებელი კიდევ ერთხელ შეაჯერებს და მოსწავლეებთან ერთად გაიმეორებს მიღებულ დასკვნებს. საუკეთესო შემთხვევაში, დასკვნები თავად მონაწილეებმა უნდა ჩამოაყალიბონ.

სასურველია, განსჯისას დაისვას ასეთი ტიპის შეკითხვები:

„რა მოხდა?“, „რატომ მოხდა ასე?“, „შესაძლებელი იყო თუ არა, მოვლენები სხვაგვარდ განვითარებულიყო?“, „როგორ?“, „თქვენ რას მოიმოქმედებდით მსგავს სიტუაციაში?“, „თქვენი აზრით, რა იგრძნო პერსონაჟმა?“, „თქვენ რა იგრძენით მოცემულ სიტუაციაში?“, „სწორი იყო თუ არა ეს?“, „რატომ?“.

დისკუსია ყოველთვის მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომლებიც თავიდანვე ერთობლივად იქნა შემუშავებული მასწავლებლისა და მოსწავლეების მონაწილეობით. დისკუსიის წესები ზოგადად ასე უნდა გამოიყურებოდეს:

- როცა ერთი ლაპარაკობს, დანარჩენები უსმენენ;
- აიწიე ხელი, როცა რაიმეს თქმა გსურს;
- სხვას სიტყვა არ გააწყვეტინო;
- არ გაიცინო, როცა სხვა ლაპარაკობს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხუმრობენ;
- კამათში ყველა მონაწილეობს.

პროექტები

პროექტი – ეს არის მოსწავლეთა მიერ წინასწარ დაგეგმილი და დამოუკიდებლად წარმოებული სამუშაო, რომელიც მათ შეუძლიათ წარმოადგინონ გამოკვლევის, მოხსენების ან ლექციის, ლექსის, ნახატის, შექმნილი პროდუქტის (საგნის) სახით და ა. შ.

პროექტის თემას მასწავლებელი ირჩევს და მოსწავლეებს განსახორციელებლად სთავაზობს. მოსწავლეები გეგმავენ თავიანთ მოქმედებებს და პროექტის შესრულების ხანგრძლივობას, რაც, არჩეული თემიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს ერთი გაკვეთილი, რამდენიმე კვირა ან თვე.

პროექტების მეთოდით მუშაობა მოსწავლეს ეხმარება:

- დაამყაროს უშუალო კავშირი გარესამყაროს ფაქტებთან და მოვლენებთან;
- დაგეგმოს საკუთარი მოქმედებები და დრო;
- აკონტროლოს საკუთარი სწავლა;
- დაამყაროს კონტაქტი (პროექტის ფარგლებში) სხვადასხვა ადამიანთან;
- მიიღოს საკუთარი კვლევის შედეგების სხვისთვის გაცნობის პრაქტიკა, გამოცდილება.

პროექტზე მუშაობას შეუძლია, სწრაფად განავითაროს არაერთი უნარი, როგორიცაა: ინტერვიუ და ვიზიტები, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, სხვადასხვა ტექნიკასთან მუშაობა (ფოტო და ვიდეოაპარატურა).

საუკეთესო პროექტი აკადემიურ, სოციალურ და შემოქმედებით უნარ-ჩვევებს აერთიანებს. პროექტზე მუშაობა — ესაა ეფექტური გზა თეორიული ცოდნიდან პრაქტიკამდე.

როგორც აღვნიშნეთ, პროექტის შედეგი შეიძლება იყოს ფილმი, გამოფენა, ანგარიში ან მოხსენება და ა. შ. კარგი იქნება, თუ აღინიშნება პროექტის შესრულების სხვადასხვა ეტაპი და აღიწერება მოსწავლეთა განცდები პროექტის შესრულების დროს.

ვინაიდან პროექტები მრავალი ასპექტის გათვალისწინებას მოითხოვს, მას შეფასება შეიძლება მისცეს არა ერთმა, არამედ სხვადასხვა მასწავლებელმა. უნდა შეფასდეს სხვადასხვა სახის ცოდნა და უნარი, რაც გამოყენებული იყო პროექტის შესრულების დროს.

პრობლემური სიტუაციის განხილვა

მეთოდი ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და შეფასების უნარ-ჩვევას. მასწავლებელი ამზადებს რამდენიმე სიტუაციას. ტექსტში არსებული პრობლემა წინასწარ განსაზღვრულია. ტექტთან ერთად მასწავლებელი ამზადებს შეკითხვებს, რომელთა მიხედვითაც წარიმართება მსჯელობა

ჯგუფებში. იქმნება მოსწავლეთა 4-5 კაციანი ჯგუფები. ყოველი ჯგუფი მსჯელობს ერთ-ერთ შემოთავაზებულ სიტუაციაზე და ცდილობს მოცემული პრობლემის გადაჭრის მიმართულების პოვნას. სამუშაოს დასრულების შემდეგ განხილვა ჯგუფებში მიმდინარეობს.

ლექცია

ლექცია არის მოსწავლეებისათვის ინფორმაციის გადაცემის ყველაზე გავრცელებული აქტივობა. ლექცია გამოიყენება თემის შინაარსის გამდიდრებისა და შევსებისათვის. ლექციების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10-15 წუთს.

ლექციის ეფექტურობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინოებებს (პლაკატები, სურათები, ფოტოები, სლაიდ-შოუ და ასე შემდეგ). ლექციის დროს სასურველია მასწავლებელმა მოსწავლეებს დაუსვას კითხვები და დააკვირდეს მათ ჟესტებს, რადგან რთული გასარკვევია, ლექციის მსვლელობის დროს მოსწავლე ჩართულია თუ არა სასწავლო პროცესში.

ჯგუფური მუშაობა

მოსწავლეზე ორიენტირებულმა განათლებამ ძლიერი ბიძგი მისცა თანამშრომლობითი პედაგოგიკის განვითარებს და ის დღეს ფართოდ არის გავრცელებული მთელ მსოფლიოში.

თანამშრომლობითი პედაგოგიკა გვთავაზობს სხვანაირად სწავლას, როცა მოსწავლის გვერდით ამხანაგები არიან, რომელთაც უნდა დაეხმაროს, ან დაეკითხოს, გაარკვიოს ის, რაც გაუგებარია. მოსწავლეებს შეუძლიათ, ერთობლივად იმსჯელონ და დასკვნები გამოიტანონ. როცა შენზეა დამოკიდებული ჯგუფის წარმატება, შეუძლებელია არ გააცნობიერო პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და ჯგუფის წინაშე, არ ისწავლო, არ იმუშაო, იზარმაცო და ა.შ.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ერთობლივად სწავლა არამარტო უფრო იოლი და საინტერესოა, მნიშვნელოვნად ეფექტიანიცაა. აღსანიშნავია, რომ ეს ეფექტიანობა ეხება როგორც აკადემიურ წარმატებებსა და ინტელექტუალურ განვითარებას, ისე – ზნეობრივ ზრდას.

ზემოჩამოთვლილ საბაზისო უნარ-ჩვევათა ნუსხაში, როგორც ვნახეთ, ცალკე პუნქტად არის გამოყოფილი ჯგუფური მუშაობის უნარი. თანამშრომლობითი სწავლება თავისი მიზნის მისაღწევად ხშირად იყენებს კლასში ჯგუფური მუშაობის (მეცადინეობის)

მეთოდს. ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების განხორციელებაც, ხშირ შემთხვევაში, ჯგუფური მუშაობის მეთოდთან არის დაკავშირებული.

ჯგუფურ მეცადინეობას სკოლაში ჩვენ განვიხილავთ, როგორც კოლექტიურ ინტელექტუალურ მუშაობას, რაც ბავშვის გონების განვითარების საუკეთესო პირობებს ქმნის.

ურთიერთობათა თვალსაზრისით, ჯგუფური მეცადინეობის დანიშნულება ის კი არაა, რომ ჯგუფი ემორჩილებოდეს მასწავლებელს; არამედ ის, რომ ჯგუფის თითოეული მოსწავლე თავს კომფორტულად გრძნობდეს, მაქსიმალურ შედეგებს აღწევდეს და ამხანაგებთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობდეს. ასეთ პირობებში, ჯგუფური მუშაობა შემდეგ ზემოქმედებას ახდენს პიროვნების განვითარებაზე:

- ჯგუფი ქმნის ინტელექტუალური დაძაბულობის ველს;
- ჯგუფი ქმნის ემოციური დამუხტვის ველს;
- ჯგუფი აძლევს ადამიანს ქცევის გამოცდილებას;
- ჯგუფში მოსწავლე ეჩვევა ამხანაგებთან თანამშრომლობას;
- ჯგუფი ხელს უწყობს მოსწავლის დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარებას;
- ჯგუფი უვითარებს ადამიანს პასუხისმგებლობის გრძნობას და ა.შ.

პედაგოგის მიერ ორგანიზებულ ჯგუფურ მეცადინეობას აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, როცა ასეთი მეცადინეობა ხელს უწყობს მოსწავლეთა **პიროვნულ განვითარებას.** ჯგუფი საუკეთესო საშუალებას იძლევა ისეთი შემოქმედებითი გარემოს შესაქმნელად, რომელიც ჯგუფის წევრების განვითარებას უზრუნველყოფს.

გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი თავისებურებებია:

1). კონკრეტული სასწავლო ამოცანების გადასაწყვეტად კლასი იყოფა 3-6 ბავშვიან ჯგუფებად;
2) თითოეულ ჯგუფს ეძლევა კონკრეტული დავალება (დავალება ყველა ჯგუფისათვის შეიძლება იყოს ერთი ან სხვადასხვა), რომელსაც ასრულებს ჯგუფი ერთობლივად, ლიდერის ან მასწავლებლის ხელმძღვანელობით;
3) ჯგუფში დავალება მოსწავლეებზე იმგვარად ნაწილდება და

სრულდება, რომ შესაძლებელია ჯგუფის თითოეული წევრის ინდივიდუალური წვლილის გამოყოფა და შეფასება;

4) თავიდან ჯგუფების შემადგელობა ცვალებადია, ჯგუფები იმის გათვალიწინებით კომპლექტდება, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების რეალიზაციას და პიროვნული ხასიათების უმტკივნეულოდ შეთავსებას;
5) ჯგუფი ყალიბდება იმ პრინციპით, რომ გაერთიანდნენ სხვადასხვა სიძლიერისა და ცოდნის დონის, განსხვავებული ხასიათების მოსწავლეები, რაც მათ ურთიერთშევსებისა და გამდიდრების საშუალებას აძლევს;
6) ჯგუფი უნდა მუშაობდეს შეთანხმებულად, უკონფლიქტოდ, არც ერთი ბავშვი არ უნდა ითრგუნებოდეს;
7) სამუშაო უნდა შესრულეს მასწავლებლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროში;
8) ჯგუფი მუშაობს ერთ მაგიდასთან;
9) გუნდებად ჩამოყალიბებული ჯგუფები შეიძლება უცვლელად დავტოვოთ გარკვეული დროის განმავლობაში (ერთი ან ორი თვე, სასწავლო სემესტრი).

ჯგუფური მუშაობისას უნდა წავაქეზოთ სამუშაოს მსვლელობისა და შედეგების ერთობლივი განხილვა, რჩევისთვის ერთმანეთისადმი მიმართვა და ურთიერთდახმარება. ამ დროს მნიშვნელოვნად იზრდება ყველა საჭირო შემთხვევაში მოსწავლეების მხრიდან ამხანაგების დახმარება. აღსანიშნავია, რომ ამ დროს დამხმარე მოსწავლე სუსტთან შედარებით არანაკლებ სარგებლობას იღებს, ვინაიდან მისი ცოდნა კონკრეტდება, აქტიურდება, მტკიცდება თანაკლასელისათვის ახსნის პროცესში.

ჯგუფური მუშაობის დროს მასწავლებელი სხადასხვა ფუნქციას ასრულებს: ამოწმებს სამუშაოს მსვლელობას, რეაგირებს კითხვებზე, არეგულირებს კამათსა და მუშაობის თანმიმდევრობას, აუცილებლობის შემთხვევაში, ცალკეულ მოსწავლეს ან მთლიანად ჯგუფს ეხმარება; ამასთანავე, მაქსიმალურად უწყობს ხელს შედეგების განხილვასა და ურთიერთკონსულტაციებს.

მასწავლებელი უნდა აკონტროლებდეს მთელი კლასის მუშაობას, მაგრამ არ უნდა იქმნებოდეს შთაბეჭდილება, რომ ის რომელიმე ჯგუფს თავზე ადგას. მასწავლებელი არ უდა ჩაერიოს ჯგუფის მუშ-

აობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსწავლეები ითხოვენ რაიმეს განმარტებას.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს, ჯგუფის რომელიმე წევრი წერით შესრულებულ დავალებას კითხულობს ან კომენტარისათვის იყენებს. მასწავლებელს შეუძლია, თვითონ შეარჩიოს პრეზენტატორი ან ჯგუფს მისცეს ამის უფლება. პრეზენტაციის დროს კამათი დაუშვებელია: არ შეიძლება, აზრი გავაწყვეტინოთ მოპასუხეს. შეკითხვების დასმა დასაშვებია მხოლოდ პრეზენტაციის შემდეგ (პრეზენტაციის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ).

ჯგუფური მეცადინეობის წარმატებით ჩასატარებლად პედაგოგი კლასს კარგად უნდა იცნობდეს (იგულისხმება არამარტო მოსწავლეთა ცოდნის დონე, არამედ, მათი ხასიათისა და ურთიერთობების თავისებურებანი). ჯგუფურ მეცადინეობას წინასწარ მომზადება და დაგეგმვა სჭირდება. მართალია, ამგვარი მუშაობა მასწავლებლისაგან დამატებითი დროის ხარჯვას მოითხოვს, მაგრამ, სამაგიეროდ, პედაგოგიური ეფექტი საკმაოდ მაღალია.

ჯუფური მუშაობის ტექნოლოგიური პროცესი შემდეგი ელემენტებისაგან შედგება (სანიმუშოდ გთავაზობთ გ.სელევკოს მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს):

I. დავალების მომზადება და გადაცემა: (4-5 წთ.)

- სასწავლო ამოცანის დასმა (ან პრობლემური სიტუაციის შექმნა);
- სამუშაოს თანმიმდევრობის განმარტება (ინსტრუქტაჟი);
- დიდაქტიკური მასალის დაგროვება ჯგუფებში.

II. ჯგუფური სამუშაო: (24-30 წთ.)

- მასალის გაცნობა, ჯგუფური სამუშაოს დაგეგმვა;
- დავალებების განაწილება ჯგუფის წევრებზე;
- დავალების ინდივიდუალურად შესრულება;
- ინდივიდუალური სამუშაოის შედეგების განხილვა;
-შესრულებული მთლიანი დავალების ჯგუფური განხილვა (შენიშვნებით, დაზუსტებებით...).

III. დასკვნითი ნაწილი: (8-10 წთ)

- ჯგუფების მიერ სამუშაოს შედეგების პრეზენტაცია;
- სასწავლო ამოცანის ანალიზი, რეფლექსია;
- საერთო დასკვნების გამოტანა;
- მასწავლებლის დამატებითი ინფორმაცია (შენიშვნები, სურვილები, შეფასება, საშინაო დავალება და სხვა).

სასიცოცხლო უნარების შესწავლისთვის უპირატესობა ენიჭება სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებს, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მიღებული ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენონ.

2.3 მოსწავლეებისშეფასება.

სასიცოცხლო უნარების სასწავლო კურსში რეკომენდირებულია დიაგნოსტიკური და განმავითარებელი შეფასების გამოყენება.

1. საწყისი დონის შეფასება (დიაგნოსტიკური შეფასება)
   - აქვთ თუ არა მოსწავლეებს საბაზო ცოდნა და უნარ-ჩვევები?
   - ფლობენ თუ არა მოსწავლეები, რაიმე ინფორმაციას შინაარსის შესახებ?
2. განმავითარებელი შეფასება

დიაგნოსტიკური შეფასება განსაზღვრავს მოსწავლეების საწყის ცოდნას და მასწავლებელს ეხმარება, სწორად დაგეგმოს და განახორციელოს სწავლება.

დიაგნოსტიკური შეფასება განმავითარებელი შეფასების პირველ ეტაპად ითვლება. ეს შესაძლებელია აისახოს თითოეული მოსწავლისათვის შედგენილ შეფასების ინდივიდუალურ ცხრილში. დიაგნოსტიკური შეფასება საშუალებას იძლევა, განისაზღვროს მოსწავლის მსოფლმხედველობა, ცოდნის დონე, შესაძლებლობები, ქცევის ტიპი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა. შეფასება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა კრიტერიუმით, იმის მიხედვით, თუ რისი შეფასება გვსურს.

დიაგნოსტიკური შეფასება შემდეგი მეთოდებითა და საშუალებებით ტარდება:

- ***ინტერვიუ.*** ტარდება ზეპირი სახით, ინდივიდუალურად თითოეულ მოსწავლესთან.
- ***თვითშეფასება.*** მოსწავლე აფასებს საკუთარ თავს.
- ***საუბარი.*** შესაძლებელია ჩატარდეს მთელ კლასთან, ან ინდივიდუალურად. ამ შემთხვევაში განისაზღვრება მოსწავლის ცოდნა და ფსიქოლოგიური მდგომარეობა.
- ***დაკვირვება.*** შესაძლებელია გამოვიყენოთ მეცადინეობის დროს. ამ დროს ვაკვირდებით, როგორ ითვისებს ახალ მასალას, რამდენად ყურადღებიანია. **თვალყურს ვადევნებთ მოსმენის უნარს, თანამშრომლობას,** აქტიურობას.
- ***ამოცანები.*** პროგრამული მასალის ათვისების შემოწმება შესაძლებელია წარიმართოს დიფერენცირებული ტიპის დავალებებით. უფრო მიზანშეწონილია ღია დაბოლოებიანი ტესტების გამოყენება.
- ***თანამშრომლობა მშობლებთან და სხვა საგნების პედაგოგებთან.*** შესაძლებელია ჩატარდეს უბრალო ანკეტირებით ან კონკრეტული შეკითხვებით.

დიაგნოსტიკური შეფასების შედეგები აღინიშნება კომენტარებით, ქულებით, პროცენტებით მასწავლებლის ინდივიდუალურ რვეულში და მოსწავლის სამუშაო ფურცელზე.

განმავითარებელი შეფასება ხორციელება ყოველდღიური სწავლების პროცესში - სხვადასხვა თემის, საგნის და განხრის ათვისების შესახებ - ინფორმაციის შეკრების მიზნით. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეს და ადგენს მის სუსტ და ძლიერ მხარეებს. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს მოსწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების გზები.

ამ მიზნით გამოიყენება:

1. დაკვირვება;
2. ინტერვიუ;
3. ვერბალური (სიტყვიერი) შეფასება;
4. თვითშეფასება;
5. ქმედების შეფასება;
6. ზეპირი მეტყველება და წერა;
7. წერილობითი ნამუშევრების ანალიზი;
8. ტესტი;
9. გამოკითხვის ბარათები და სხვ.

შეფასების ეს ხერხები შეიძლება დახასიათდეს შემდეგი სახით:

დაკვირვება

მოსწავლეებზე დაკვირვება გულისხმობს მათ ქმედებებზე დაკვირვებას ან შესაძლებლობას, მოვისმინოთ მათი საუბარები და სხვადასხვა თემა განვიხილოთ.

შემთხვევით დაკვირვებად ითვლება ისეთი დაკვირვება, რომელიც შემთხვევით გარემოებებში მიმდინარეობს და რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროგრესისათვის. **სისტემური დაკვირვება** კი ნიშნავს, რომ მოსწავლეზე დაკვირვება ხდება გარკვეულ დროს და კონკრეტული მიზნით.

ინტერვიუ

მოსწავლეების აზრების გამოსავლენად აუცილებელი და სასარგებლოა კითხვების დასმა. მოსწავლეების ქმედებების დადგენის მიზნით, არაფორმალურ სიტუაციაში მასწავლებელს შეუძლია დასვას შემდეგი ტიპის შეკითხვები:

- როგორ მიაღწიეთ ასეთ შედეგებს?
- რა პრობლემები წარმოიშვა და რატომ? და სხვა

თვითშეფასება

ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლის ჩართვა შეფასების პროცესში. ამ შემთხვევაში ისინი პასუხისმგებელნი არიან საკუთარ ქმედებებზე. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა იმსჯელონ საკუთარ ნამუშევრებზე, მასწავლებელი ბავშვებთან ერთად განსაზღვრავს საჭირო კრიტერიუმებს. შემდეგ მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ფურცლებს, რომლებზეც შეფასების კრიტერიუმებია აღნიშნული. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, საკუთარი ნაშრომი ამ კრიტერიუმებით შეაფასონ. შეფასების პროცესის ობიექტურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შემდეგი პირობების დაცვა:

- მოსწავლეების მიერ მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების კრიტერიუმების გაცნობა;
- მოსწავლეთა თვითშეფასება ან მათ ქცევაზე მასწავლებლის შენიშვნა;
- შეფასების კრიტერიუმების ღიაობა.

თვითშეფასება ნიშნავს, რომ მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერუმები და საკუთარი შედეგების გაანალიზების შემდეგ, შეუძლიათ თავისი ცოდნის დონის შეფასება.

სიტყვიერი შეფასება - კომენტარი

მოსწავლეების სტიმულირებისა და შეფასების საუკეთესო საშუალებად ითვლება სიტყვით შეფასება - კომენტარები. კომენტარით შეიძლება შეფასდეს არა მხოლოდ ცოდნა, შესაძლებლობა და უნარ-ჩვევები, არამედ მოსწავლეების პიროვნული თვისებები. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ როგორც **მიღწევების რაოდენობა**, ასევე ხარისხიც.

მოსწავლეთა ჩართვა შეფასების პროცესში

შეფასების პროცესში მოსწავლეთა ჩართვის უზრუნველსაყოფად შესაძლო სამი სტრატეგია განიხილება:

1. სწავლების გარკვეულ ეტაპზე შევაფასოთ მიღწეული შედეგები და საშუალება მივცეთ მოსწავლეებს, კითხვებზე პასუხების გაცემის მეშვეობით გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები.
   - რა არის ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა დღევანდელ გაკვეთილზე/სემესტრში/სასწავლო წლის განმავლობაში?
   - რისი გაკეთება შემიძლია უკეთ?
1. შესაძლებელია, შევთავაზოთ მოსწავლეებს, რომ მათ გამოხატონ საკუთარი **მოსაზრებები მასწავლებლის შეფასებასთან დაკავშ-**ირებით.
   - ჩემი ნამუშევრის შესახებ, მასწავლებლის რომელი მოსაზრებაა ჩემთვის სრულიად მისაღები?
   - მასწავლებლის შეფასების რომელი ნაწილია ჩემთვის გაუგებარი?
   - შემომთავაზა თუ არა მასწავლებელმა ის საკითხი, რომლის უკეთ შესწავლა გააუმჯობესებს ჩემს შედეგებს?
   - რისი გაუმჯობესება უნდა შევძლო მომავალში?
   - არის თუ არა რაიმე საკითხი, რომელიც მასწავლებელთან ერთად უნდა განვიხილო?

სტანდარტზე დაფუძნებული შეფასება

მოსწავლეთა შეფასებისთვისშეიძლება გამოვიყენოთ კრიტერიუმების შემდეგი ცხრილი, რომელიც თავისთავად სტანდარტიდან გამომდინარეობს. მაგალითად: სტანდარტი

2. მოლაპარაკებების გამართვის/უარის თქმის (ასერტიულობა) უნარ-ჩვევა

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლეს შეუძლია:

-მოლაპარაკებების წარმართვა და კონფლიქტური სიტუაციების მართვა.

-საკუთარი მოსაზრების დამაჯერებლად ჩამოყალიბება;

-საკუთარი პოზიციის უარყოფა და სხვა პოზიციის გაზიარება, თუ ის დამაჯერებელ არგუმენტებს შეიცავს.

კრიტერიუმები სახელი, გვარი	განმარტავს მოლაპრაკებების მნიშვნელობას	შეუძლია მოლაპარაკებების წარმართვა	კომენტარი
1			
2			
3			
4			

კრიტერიუმების ცხრილზე მუშაობისას, მასწავლებელი მოსწავლეების მუშაობის შესაბამისად, დასაწყისიდან დასრულებამდე, ყოველი კრიტერიუმის წინ წერს პლუს ან მინუს ნიშანს. ბოლო სტრიქონში ხდება ყოველი პლუს და მინუს ნიშნის განზოგადება.

ჯგუფური შეფასება მოსწავლეთა მიერ

ჯგუფის ყოველ წევრს ურიგდება ფურცელი, რომელზეც დაწერილია ბავშვების სახელები და შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლეები აფასებენ საკუთარ თავს და მეგობრებს პლუს და მინუს ნიშნებით.

№	სახელი, გვარი	კრიტერიუმები			კომენტარი
		მონაწილეობა განხილვაში	*ერთმანეთის მოსმენა*	*გაუმჯობესების გზები*	
1	მოსწავლის სახელი				
2	მეგობრის სახელი				
3	მეგობრის სახელი				
4	მეგობრის სახელი				
5	მეგობრის სახელი				

თვითშეფასება ჯგუფური განხილვების დროს

მეცადინეობის მსვლელობისას, მასწავლებელი მოსწავლეებს უთმობს დროს საკუთარი ნამუშევრების შესაფასებლად ჯგუფებში.

კრიტერიუმები	**ყოველთვის**	**ჩვეულებრივ**	**ხანდახან**	**ზოგჯერ**
დისკუსიის დაწყებამდე დავაზუსტეთ დავალება				
ვმონაწილეობდით დავალების შესრულებში				
საკითხის განხილვაში ყველა მონაწილეობს				
პასუხის გაცემამდე ვუსმენთ თანამოსაუბრეს				
რაიმე შედეგის მიღწევამდე გამოვთქვამთ მოსაზრებებს				
დისკუსიის დასრულებისას ვღებულობთ საერთო გადაწყვეტილებას				
ერთ-ერთი ჩვენგანი იწერს ყველა გამოთქმულ მოსაზრებას				

ჯგუფში საკუთარი ნაშრომების თვითშეფასების შემდეგ, მოსწავლეებს შეუძლიათ, მასწავლებელთან ერთად განიხილონ ჯგუფში მუშაობის გაუმჯობესების გზები.

3. რეკომენდაციები მასწავლებლებს

მოსწავლეთა აზროვნების წახალისების მიზნით:

1. მოტივაცის ეტაპზე ჩართეთ მოსწავლეები გაკვეთილის მიზნის გააზრების პროცესში.
2. დაგეგმეთ გაკვეთილი ისე, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ ლოგიკური, კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების უნარ-ჩვევები. მოამზადეთ შესაბამისი დავალებები.
3. უმეტესწილად გამოიყენეთ ღია კითხვები. დახურულ კითხვებს („იცით თუ არა ეს?“, „რა?“, „სად?“, „როდის?“ ,,რამდენი?”) აქვს ერთი სწორი პასუხი, ხოლო ღია კითხვებს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე შესაძლო პასუხი. კითხვები დაიწყეთ ასე: „რატომ?“, „რა გზით?“, „როგორ?“ „რა იცით ამის შესახებ?“ „რატომ გსურთ მეტის გაგება?” „როგორ ხდება ეს?“.
4. შეეცადეთ გაიგოთ მოსწავლეთა მოსაზრებები, თავზე არ მოახვიოთ თქვენი აზრები და იდეები.
5. გამოიყენეთ კონკრეტული მაგალითები და ანალოგიები, შედარებისა და შეპირისპირების მეთოდი.
6. გამოიყენეთ ისეთი შეკითხვები, რომლებიც წაახალისებს მოსწავლეებს, რიგ შემთხვევებში, უარყონ თქვენი მოსაზრებები და აზროვნება საჭირო მიმართულებით გააგრძელონ.
7. არ გასცეთ პასუხები მოსწავლეების ნაცვლად, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც მათ თავად შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი მოსაზრება. ასწავლეთ მათ, ტექსტი საკუთარი სიტყვებით გადმოსცენ. წაახალისეთ და დაეხმარეთ მოსწავლეებს, რაც შეიძლება ნათლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები. ამ პროცესს რაც შეიძლება მეტი დრო მოახმარეთ.
8. ყველა მოსწავლეს მიეცით საშუალება, საკუთარი პოზიცია გამოხატოს და სხვების მოსაზრებები შეაფასოს.
9. არ დაუშვათ ბავშების პასუხებისადმი ფორმალური დამოკიდებულება („მოსმენა მხოლოდ მოსმენისათვის“). შეაჯამეთ ძირითადი მოსაზრებები.

10. დააზუსტეთ მოსწავლეების პასუხები და გააკეთეთ კომენტარები. პრობლემური სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში, ჩართეთ ბავშვები საკითხის გადაჭრის პროცესში.

მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა:

1. გამოიყენეთ დადებითი ფრაზები და გამონათქვამები, გადაუხადეთ მადლობა მოსწავლეებს საკითხის განხილვასა და ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობისათვის.
2. ყურადღებით მოუსმინეთ თითოეულ მოსაწავლეს. შეუქმენით ბავშვებს შესაძლებლობა და პირობები, რათა მათ შეძლონ საკუთარი პოზიციის გამოხატავა. მოუსმინეთ არა მხოლოდ მას, ვინც ბევრს და ხმამაღალა საუბრობს, არამედ ყველას - გამონაკლისის გარეშე.
3. დაიცავით ის წესები, რომლებიც თქვენ მათთან ერთად შეიმუშავეთ. დაიმახსოვრეთ, რომ თქვენი ქცევა მისაბაძია სხვებისათვის.
4. მიმართეთ მოსწავლეებს სახელებით და საუბრისას უყურეთ თვალებში.
5. შეინარჩუნეთ კონსტრუქციული გარემო და არ დაუშვათ დაპირისპირების გაღვივება.
6. მოსწავლეების მოსაზრებებით დაინტერესდით და ყოველთვის დაწვრილებით გამოიკითხეთ ყველაფერი.
7. თანაბარად დაინტერესდით როგორც ჯგუფების ლიდერების მოსაზრებებით, ასევე, ჯგუფის რიგითი წევრების მსჯელობებითაც.
8. არ დასცინოთ და არ უსაყვედუროთ მოსწავლეებს მათი მოსაზრებების შეფასებისას.
9. თუ არ არის განსაკუთრებული საჭიროება, არ ღირს ჯგუფის მუშაობის შეფასება. მასწავლებლის შეფასება არ უნდა ასახავდეს მის კერძო პოზიციას. თუ მასწავლებელი არ ეთანხმება მოსწავლეების მოსაზრებებს, მაშინ მან უნდა შესთავაზოს ბავშვებს დისკუსიის გამართვა. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელმა აუცილებლად უნდა შეაფასოს ნამუშევარი, მაშინ მკაცრად უნდა დაიცვას შესაბამისი კრიტერიუმები.

ორგანიზაციული მხარდაჭერის წესები:

1. მსჯელობის ორგანიზებისათვის განუმარტეთ თითოეულ მოსწავლეს, რომ სიმართლის გამოსააშკარავებლად და ახალი ცოდნის მისაღებად, ძალიან მნიშვნელოვანია მათი შეხედულებები და მოსაზრებები. ამისათვის ჩართეთ ისინი შემდეგ საკითხებზე სამუშაოდ: „რას ფიქრობთ ამ იდეაზე?“, „რომელი თქვენთაგანია კმაყოფილი ამ იდეით და რომელი არა?“, „როგორ შეიძლება ამ იდეის სხვა ფორმით გამოხატვა?“ და ა.შ.
2. აღკვეთეთ არასაჭირო და არამიზანშეწონილი საუბრები. კულტურული ფორმით შეაჩერეთ მოსწავლე, შეახსენეთ მას საკუთარი აზრის გამოთქმის წესები, რომლებიც წინასწარ გაქვთ შემუშავებული.

გაკვეთილი 1- კომუნიკაცია

მიზანი:

მოსწავლეები შეძლებენ:

- განიხილონ კომუნიკაციის პროცესი;
- ჩამოთვალონ ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიას კარგ კომუნიკაციას;
- ჩამოთვალონ კარგი კომუნიკაციისთვის საჭირო ხერხები;
- გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები.

რესურსები:

- თავსატეხი გამოცანა;
- კონვერტი;
- დაფა და დიდი ფურცელი;
- მარკერი ან ცარცი;

ყოველი მოსწავლისთვის გაამზადეთ წინასწარ კონვერტი, მასში მოათავსეთ 5 ნაწილად დაჭრილი თავსატეხი, რომელიც მათ უნდა ააწყონ.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1.

- შეახსენეთ მოსწავლეებს გაკვეთილის თემა, ესაუბრეთ კომუნიკაციის არსისა და მისი მნიშვნელობის შესახებ (იხ.დანართი 1. და 2.). აუხსენით, რომ დღევანდელ გაკვეთილზე ისინი შეეცდებიან განსაზღვრონ, რა უწყობს ხელს კარგ კომუნიკაციას;

აქტივობა 2.

დავალების ინსტრუქციის გაცნობა (იხ.დანართი 3.) (დრო 5 წთ.)

- სთხოვეთ ერთ მოხალისე მოსწავლეს დაგეხმაროთ და ცოტა ხნით კლასიდან გავიდეს;
- ამის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს აალაგონ ყველაფერი მერხიდან, დაურიგეთ კონვერტები, მაგრამ გააფრთხილეთ, რომ ჯერ არ გახსნან.

I ინსტრუქცია მოხალისესათვის
(მასწავლებელი მოხალისეს აცნობს ინსტრუქციას)

- მოხალისეს მიეცით ფურცელზე დაწერილი თავსატეხის ინ-სტრუქცია, მაგრამ გააფრთხილეთ, რომ მოსწავლეებმა არ უნდა დაინახონ, თუ რა წერია მასზე;
- აუხსენით, რომ თითოეულ მოსწავლეს აქვს თავსატეხის ნაწილები, რომელიც აწყვია კონვერტში და მან თავის კლასე-ლებს ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა აუხსნას, თუ როგორ ააწყონ ეს თავსა-ტეხი;
- მოხალისემ არ უნდა გასცეს პასუხი მოსწავლეთა არც ერთ კითხვას. კლასში უნდა იყოს აბსოლუტური სიჩუმე. არავინ საუბრობს, მოხალისის გარდა. ხოლო თუ მაინც ვინმე რაიმეს იკითხავს, მოხალისემ ამას ყურადღება არ უნდა მიაქციოს;
- მოხალისე უნდა შებრუნდეს კლასისგან ზურგით და ისე მიაწო-დოს კლასელებს თავსატეხის აწყობის ინტრუქციები;
- (მათ ექნებათ 3 შესაძლებლობა ააწყონ თავსატეხი გამოცანა სწორად).

ინსტრუქცია მოსწავლეებისთვის
(მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ინსტრუქციას)

- არ ამოიღონ მასალა კონვერტიდან, ვიდრე გარეთ გასული მო-სწავლე არ მისცემს მათ ინსტრუქციებს;
- არავითარ შემთხვევაში არ ჩაიხედონ ერთმანეთის თავსატეხში;
- არ შეიძლება საუბარი და კითხვების დასმა;
- დაუცადონ მოხალისეს შემოსვლას და მიყვნენ მის ინსტრუქციებს ნაბიჯ ნაბიჯ;
- მას შემდეგ რაც მოხალისე მისცემს ინტრუქციებს ველოდებით გამარჯვებულის გამოვლენას.

მოსწავლებს ექნებათ 3 შესაძლებლობა, სწორად ააწყონ თავსა-ტეხი გამოცანა.

მასწავლებელს მოხალისე მოსწავლე შემოყავს კლასში და მას კლასისკენ ზურგით აყენებს.

პირველი მცდელობა

მოხალისე კლასელებს აძლევს თავსატეხის აწყობის ინსტრუქციას. მას შემდეგ, რაც ის დაასრულებს ინსტრუქტაჟს , მასწავლებელი მასთან ერთად ამოწმებს რომელმა მოსწავლემ შეძლო დავალების შესრულება. თუ რომელიმე მოსწავლემ მოახერხა და თავი გაართვა დავალებას, მიულოცეთ მას. მოსწავლე იცვლის სამუშაო ადგილს და ჯდება ცალკე. სთხოვეთ მოხალისეს, ისევ გავიდეს კლასიდან და დაელოდოს თქვენს შემდგომ მითითებებს.

მეორე მცდელობა

მეორე მცდელობის მითითებები ძირითადად იგივეა. მოხალისე კვლავ კლასისკენ ზურგით დგას. სთხოვეთ მოსწავლეებს კიდევ ერთხელ სცადონ თავსატეხის აწყობა, მაგრამ არ ჩაიხედონ ერთმანეთის სამუშაოში;

მიეცით მოსწავლეებს ნებართვა დასვან შეკითხვები.

მითითებების დამთავრების შემდეგ, ისევ შემოიარეთ კლასი და შეამოწმეთ, ვინმემ ხომ არ შეასრულა დავალება. ისევ გაიყვანეთ მოხალისე გარეთ.

მესამე მცდელობა

მითითება მასწავლებელს

ზოგი მოსწავლე თავს იმედგაცრუებულად იგრძნობს, თავსატეხის აწყობა მას შესაძლოა მობეზრდეს, მაგრამ არ ეცადოთ მათ გამხნევებას. ეს იდეის ნაწილია, თუმცა გააფრთხილეთ, რომ მათ აქვთ ბოლო შანსი შეასრულონ დავალება.

მიეცით მოსწავლეებს სრული თავისუფლება. მათ შეუძლიათ კითხვების დასმა, ერთმანეთთან გასაუბრება, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს დავალების წარმატებით დასრულებაში.

მითითება მოხალისეს: მას შეუძლია თავისუფლად იმოძრაოს კლასში, გასცეს კითხვებზე პასუხები და დაეხმაროს კლასელებს დავალების დასრულებაში.

დანართები:

დანართი 1.

კომუნიკაცია

(*საკითხავი მასალა მასწავლებლებისთვის)*

კომუნიკაცია (ურთიერთობა) – არის ადამიანებს შორის ინფორმაციისა და იდეების გაცვლის, ერთმანეთის აღქმის, გააზრებისა და გაგების პროცესი.

კომუნიკაციის მიზანია:

რაიმე საკითხის შესახებ ინფორმაციის მიტანა თანამოსაუბრემდე;

მისი ჩართვა გარკვეული ქმედებების შესასრულებლად, არსებული საკითხის გარშემო; მისი მოსაზრებების განმტკიცება ან შეცვლა.

კომუნიკაცია არ არის ცალმხრივი პროცესი. მასში მონაწილეობს ორი ან მეტი ადამიანი.

კომუნიკაციის პროცესი 3 ცალკეული ელემენტისაგან შედგება: ინფორმაცია, ინფორმაციის გადამცემი და ინფორმაციის მიმღები.

გადამცემი ეს არის პიროვნება, რომელიც ლაპარაკობს, **მიმღები** — მსმენელია, რომელისკენაც არის მიმართული ინფორმაცია.

როდესაც შევდივართ ერთმანეთთან ურთიერთობაში, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ, იმაზე, თუ როგორ ვილაპარაკოთ, როგორ გამოვხატოთ სათქმელი და როგორ მოვახერხოთ საკუთრი მოსაზრებების თანამოსაუბრემდე უკეთ მიტანა.

ზოგჯერ, ჩვენს მიერ დასახული მიზნები, არ ემთხვევა მეორე მხარის ინტერესებს, რაც გვაიძულებს, ახალი გზები ვეძებოთ.

დანართი 2.

კომუნიკაციის ხიდი

(*საკითხავი მასალა მასწავლებლებისთვის)*

როგორ შეგვიძლია გავდოთ ხიდი ინფორმაციიდან ქცევის ცვლილებამდე.

სიტუაცია: გიორგის ბევრი რამ ჰქონდა გაგებული ალკოჰოლისა

და ნარკოტიკის მავნე ზეგავლენის შესახებ, მაგრამ მაინც გასინჯა ალკოჰოლი. ერთხელ ბავშვები ექსკურსიაზე წავიდნენ და კოკა კოლას ბოთლში ჩაასხეს არაყი, რათა უფროსებს არ შეემჩნიათ. ერთერთი ბავშვი გახდა ცუდად. მშობლები დროულად რომ არ ჩარეულიყვნენ, შეიძლებოდა ბავშვს სერიოზული საფრთხე დამუქრებოდა.

ამ სიტუაციის განხილვისთვის რამდენიმე კითხვა დაგეხმარებათ:

1. არის თუ არა ეს სიტუაცია რეალისტური, გინახავთ თუ არა მსგავსი სიტუაცია?
2. მიუხედავად იმისა, რომ მოზარდების უმრავლესობა სკოლაში სწავლობს თუ რატომ არის ნარკოტიკები და ალკოჰოლური ნივთიერებები მავნებელი, ისინი მაინც იწყებენ სარისკო ქცევებს?
3. როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს, რომ ცოდნა გამოიყენონ უკეთესი ცხოვრებისათვის?
4. იცოდა გიორგიმ ყველა შესაძლო რისკის შესახებ?
5. რა დაეხმარებოდა მას, რომ ინფორმაციიდან რაც მას ქონდა საჭირო და სასარგებლო გადაწყვეტილება მიეღო?

გამოაკარით დაფაზე კომუნიკაციის ხიდის მოდელი (იხილე დანართი 4) თითოეული რჩევა /გადაწყვეტილება, რომელსაც მოგაწვდიან ჯგუფის წევრები გადეთ ხიდივით ორ მწვერვალს შორის. როდესაც მონაწილეთა იდეები ამოიწურება და „ხიდი“ გაიდება განიხილეთ მოსაზრებები ჯგუფთან ერთად. ამ ხიდის თითოეული ფიცარი არის ის სასიცოცხლო უნარ-ჩვევა, რომელიც არის იარაღი, რაც ცხოვრებაში ეხმარება ადამიანს იმისათვის, რომ ცოდნა გადააქციოს ჯანსაღ ქცევად. თუ ამ ხიდის „ფიცრები“ ამოცვივდება, ადამიანი ისევ შეიძლება ჩავარდეს პრობლემების „ზღვაში“. სწორედ ამიტომ სასიცოცხლო უნარების პროგრამა არ ემსახურება მხოლოდ იმას, რომ მოამარაგოს მოზარდები კარგი ცოდნით, არამედ აღჭურვოს ისინი იმ სასარგებლო უნარ- ჩვევებით, რომელებიც დაეხმარება მათ უკეთ გამოიყენონ ეს ინფორმაცია ჯანსაღი და ბედნიერი ცხოვრებისთვის.

ეს უნარ-ჩვევები სამ კატეგორიად შეიძლება დავაჯგუფოდ:

I. კომუნიკაციური უნარ-ჩვევები;
II. გადაწყვეტილებების მიღების უნარ- ჩვევები;
III. ურთიერთობის უნარ - ჩვევები.

ამ სახელმძღვანელოს მთელი კონცეფცია მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმაროს მოზარდებს ამ უნარ- ჩვევების გამომუშავებაში.

დანართი 3

თავსატეხი

სამუშაო მასალა მოსწავლეებისთვის,მოსწავლეებმა უნდა ააწყონ მოცემული გეომეტრიული კონსტრუქცია.

ინსტრუქცია:



საშუალო ზომის კვადრატი არის ფურცლის ქვედა ნაწილში , წვერით ქვევით, მის ზედა წვერზე მოთავსებულია კვადრატი, რომელსაც პატარა კვადრატი უერთდება მარცხნივ, დიდი კვადრატის გვერდის 1/3-ით დაშორებულ წერტილში. დიდ კვადრატს მარცხნივ უერთდება ძალიან პატარა კვადრატი წვერით, დიდი კვადრატის შუაწერტილზე. დიდი პარალელოგრამის გვერდი უერთდება კვადრატის გვერდს, მარცნივ, 1/3-ით დაშორებულ წერტილში. პატარა პარალელოგრამი უერთდება დიდს ზედა მხარეს, გვერდის ½ დან.

დანართი 4

კომუნიკაციის ხიდი





გაკვეთილი 2. კომუნიკაცია
(პირველი გაკვეთილის გაგრძელება

გაკვეთილის მიზანი:

გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ:

- გაიგონ, თუ რა არის კარგი კომუნიკაციური უნარები;
- აღმოაჩინონ კომუნიკაციის ელემენტები;
- ივარჯიშონ კომუნიკაციის ელემენტების გამოყენებაში.
-

რესურსები:

3 დიდი ფურცელი სათაურით:

ფურცელი 1. პირველი მცდელობა
ფურცელი 2. მეორე მცდელობა;
ფურცელი 3. კარგი კომუნიკაციური უნარები .
მარკერები, დაფა, ცარცი.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1.

სავარჯიშოს ანალიზი

ძალიან მნიშვნელოვანია, რათა წინა გაკვეთილზე ჩატარებული სავარჯიშო კარგად განიხილოთ. პირველ რიგში მადლობა გადაუხადეთ მოხალისეს, სამუშაოს კარგად შესრულებისთვის და აუხსენით მოსწავლეებს, რომლებიც შეიძლება ნაწყენიც კი იყვნენ მოხალისეზე, რომ მას ჰქონდა განსაკუთრებული დავალება და იცავდა ინსტრუქციებს.

1. გამოაკარით დაფაზე ფურცელი სათაურით- **პირველი მცდელობა** და კითხეთ მოსწავლეებს:

რამ შეუქმნა მათ პრობლემები პირველი მცდელობის დროს?
რატომ იყო რთული თავსატეხის აწყობა?
რა იყო პირველი მცდელობის შედეგი–იმედგაცრუება?
როგორ გრძნობდნენ თავს?
რა დაეხმარებოდა მათ უკეთესი შედეგის მიღწევაში?
ასევე გაითვალისწინეთ მოხალისეს აზრებიც.

ჯგუფის სავარაუდო პასუხები:

- არ შეიძლებოდა საუბარი, კითხვების დასმა (კომუნიკაციის აკრძალვა);
- მოხალისე იდგა ზურგით და მათ ვერ ხედავდა;
- არ იყო მხედველობითი კონტაქტი და წახალისება, მხარდაჭერა;
- საუბრობდა სწრაფად, ისე რომ არ ინტერესდებოდა მისი განმარტებები იყო თუ არა გასაგები;

2. ამის შემდეგ გამოაკარით მეორე ფურცელი სათაურით "-"მეორე მცდელობა. დასვით დამაზუსტებელი კითხვები.
   რა ხდებოდა მეორე მცდელობის დროს და რა გაუმჯობესდა?
   გრძნობდნენ თუ არა ისევ იმედგაცრუებას, როცა მოხალისე მათ კითხვებზე არ პასუხობდა?

ჯგუფის სავარაუდო პასუხები:

- კითხვებზე პასუხებს ვერ იღებდნენ;
- მოხალისე მათ ყურადღებას არ აქცევდა;
- მოხალისე უფრო ნელა უხსიდა მათ დავალებას, რადგან მიხვდა, რომ ისინი ვერ ართმევდნენ თავს;
- მოხალისეს უყურებდნენ, იყო თვალის კონტაქტი, რაც ოდნავ აუმჯობესებდა სიტუაციას;

3. გააგრძელეთ სავარჯიშოს შეჯამება და კითხეთ მოსწავლეებს, რატომ იყო უფრო ადვილი მესამე მცდელობის დროს დავალების შესრულება? ჩამოწერეთ ყველაფერი, რაც მოსწავლეების აზრით მათ დაეხმარა.

ეს შეიძლება იყოს:

- მოხალისე მოძრაობდა და ჩ დახმარებას უწევდა მათ;
- ამხნევებდა;
- პასუხობდა კითხვებზე;
- იყენებდა არავერბალურ კომუნიკაციას (სხეულის ენას);
- იყო უფრო მეგობრული;
- მონაწილეები ეხმარებოდნენ ერთმანეთს.

აქტივობა 2.

საბოლოოდ გამოაკარით ფურცელი წარწერით ***''კარგი კომუნიკაციური უნარები''***

ეს სავარჯიშო გამოიყენეთ, რათა დაეხმაროთ ჯგუფს შეადგინონ კარგი კომუნიკაციური უნარების ჩამონათვალი ესენია:

სხეულის ენის გამოყენება, მინიშნებები (თვალის კონტაქტი), კითხვებზე პასუხი, მხარდაჭერა, მოსმენის უნარი, უკუკავშირი.

შეაჯამეთ აქტივობა. ხაზი გაუსვით, რომ კარგი კომუნიკაციური უნარები გავლენას ახდენს სასიცოცხლო უნარ-ჩვევებზე. ასე, რომ მოსწავლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ყოველთვის დააკვირდეს, როგორ ამყარებს კომუნიკაციას და დაიცვას ის აუცილებელი წესები, რომელიც ჭირდება, რათა ეფექტურად დაამყაროს კომუნიკაცია.

შეჯამებისას გამოიყენეთ დანართ 1-ში მოცემული ტექსტი.

დანართი 1.

აქტიური მოსმენისას ჩვენ საკუთარ იდეებსა და გრძნობებს გამოვხატავთ, აქტიური მოსმენის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მოცემული ინფორმაციისადმი გულწრფელი ინტერესი. ძალიან მნიშვნელოვანია საუბრისას გამოვიყენოთ მოკლე სიტყვები და გამონათქვამები („დიახ“, „არა“ და ა.შ.), რომლებიც ნიშნავს, რომ ჩვენ საპირისპირო (მოწინააღმდეგე) მხარის გამონათქვამები გვესმის. საუბრის მსვლელობისას გამოიყენება ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა, „მე თვითონ“, „გისმენთ“, „ბევრი დრო მაქვს და არსად მეჩქარება“, თქვენ მხარს უჭერთ თანამოსაუბრეს და აჩვენებთ, რომ მოწინააღმდეგე მხარისადმი გულგრილი არ ხართ. ბუნებრივია, საკუთარი გრძნობების გამოხატვისას, ჩვენ შეგვიძლია გავუგოთ თანამოსაუბრეს და უთხრათ: „მესმის თქვენი გრძნობების. ასეთი რამ, რომ შემმთხვეოდა, მეც გავბრაზდებოდი“. თანამოსაუბრის სიტყვების გამეორებისას და გარკვეული მომენტების დასადგენად, დასვით კითხვები: „რატომ?“, „ვინ?“, „როგორ?“, რომლებიც მოკლე პასუხებს „დიახ“ ან „არა“, არ გულისხმობს. ასევე ჟესტებისა და მიმიკის გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო გავაძლიეროთ აქტიური მოსმენა. ჩვენი გრძნობების და შეგრძნებების უკეთ გამო-

სახატად სასარგებლო იქნება მათი რეალურ ცხოვრებისეულ მოვლენებთან შედარება. მაგალითად: „ეს, გავს იმ ბავშვის გრძნობებს, რომელიც მარტო დარჩა სადგურზე“.

პრობლემის არსის დასაზუსტებლად ან მასზე ყურადღების გასამახვილებლად აუცილებელია ორატორს შეკითხვები დავუსვათ. მოსმენის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია, მსმენელის ფიზიკური მდგომარეობის სწორი შერჩევა. იმისათვის, რომ ორატორისაგან საჭირო ინფორმაცია მიიღოს, მსმენელმა თავად უნდა განსაზღვროს ოპტიმალური მანძილი მასსა და ორატორს შორის. რადგან სიტუაცია, ყოველ ჯერზე შესაძლებელია განსხვავებული იყოს, ძნელია კონკრეტული მითითებების გაცემა.

სწორი მოსმენა, ეს კარგი მანერების გამომხატველია. ტაქტისა და ეტიკეტის დაცვა, ზრდის ადამინის ავტორიტეტს და მისდამი პატივისცემას, ალამაზებს ურთიერთობის პროცესს, სრულყოფილებას ანიჭებს მის ქმედებებს.

აქტიური მოსმენა, საუკეთესო საშუალებაა თანამოსაუბრის გრძნობების გამოსავლენად. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია გავამარტივოთ რთული ემოციური სიტუაცია, უფრო ზუსტად განვსაზღვროთ პრობლემა, გავცეთ რეკომენდაცია, რომელი მიმართულებით წავიყვანოთ საუბარი პრობლემის გადასაჭრელად.

გაკვეთილი 3,4 ეფექტური კომუნიკაცია

მიზანი:

მოსწავლეები შეძლებენ:

- ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისათვის საჭირო გზების განსაზღვრას;
- კომუნიკაციის დამაბრკოლებელი ფაქტორების განსაზღვრას;
- ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისათვის, საკუთარი პიროვნების წარდგენის უნარ-ჩვევის გამომუშავებას.

რესურსები:

- სამუშაო ფურცლები;
- „ფლიფჩარტის“ ქაღალდი;
- მარკერები;
- ტექსტი როლური თამაშისათვის.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1.

მასწავლებლის ინსტრუქცია:

1. მასწავლებელი იწყებს სიტუაციურ თამაშს, რისთვისაც კლასიდან ხუთ მოსწავლეს ირჩევს.

2. ერთი მოსწავლე რჩება კლასში, ხოლო ოთხი მოსწავლე ცოტა ხნით უნდა გავიდეს საკლასო ოთახიდან;

კლასში დარჩენილ მოსწავლეს მასწავლებელი უჩვენებს მცირე სიტუაციას ჟესტებით;

(სიტუაცია, რომელსაც მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს: „დილით ძალიან ადრე გავიღვიძე, ხელ-პირი დავიბანე და ვისაუზმე“).

3. გარეთ გასული მოსწავლეები სათითაოდ შემოდიან საკლასო ოთახში.

4. პირველად შემოსულმა მოსწავლემ უნდა უჩვენოს ახალად შემოსულ მოსწავლეს სიტუაცია ჟესტების დახმარებით, ის თა-

ვის მხრივ, უჩვენებს სიტუაციას მომდევნო თანაკლასელს და ასე შემდეგ.

სხვა მოსწავლეები აკვირდებიან თამაშს.

- მასწავლებელი სვამს შეკითხვებს:
- ერთნაირი სიტუაცია ნახა თუ არა პირველმა და ბოლო მოსწავლემ?
- რამდენად განსხვავდება პირველი და უკანასკნელი სიტუაცია?
- შეხვედრიხართ ცხოვრებაში მსგავს სიტუაციების?
- შესაძლებელია თუ არა ადამიანებთან კომუნიკაციის გარეშე ვიცხოვროთ?
- რატომ არის რთული ზოგიერთი ადამიანისათვის კომუნიკაციის დამყარება?
- რატომ შეუძლია ზოგიერთ ადამიანს კომუნიკაციის სწრაფად დამყარება?
- მასწავლებელი კითხვებზე პასუხებს ანზოგადებს და დაფაზე ფლიფჩატის ქაღალდს აკრავს, რომელზეც წერია კომუნიკაციის განმარტება:

„კომუნიკაცია – ეს არის ადამიანებს შორის ინფორმაციის გაცვლის, ერთმანეთის აღქმის, გააზრებისა და გაგების პროცესი.“

აქტივობა 2.

ჯგუფური მუშაობა:

რა უნარებს უნდა ფლობდეს ადამიანი ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისთვის?.

მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ეფექტურ კომუნიკაციაში გვეხმარება მთელი რიგი ფაქტორები.

იქმნება მოსწავლეთა სამი ჯგუფი. ყოველ ჯგუფს მასწავლებელი ურიგებს სამუშაო ფურცლებს, ფლიფჩატის ქაღალდს და მარკერებს

დავალება 1.

მასწავლებელი დაფაზე აკრავს ფურცელს და თითოეულ ჯგუფს აძლევს დავალებას: ცხრილში ამოიწერონ ყველაზე საჭირო უნარ-ჩვევები, რომელიც ხელს უწყობს ეფექტური კომუნიკაციის დამყარე-

ბას. მასწავლებელი განუსაზღვრავს მოსწავლეებს ამ სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო დროს.

ცხრილი

კომუნიკაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევები:
საუბარი, მეტყველება
მისალმება
დაინტერესება
კეთილგანწყობილება
სამართლიანობა
მოხერხებულობა ,გონებამახვილობა
მიმიკებით, ჟესტებით, მინიშნებით საუბარი
ზრდილობა და ტაქტი
პატივისცემის გამოხატვა საკუთარი თავისა და გარშემომყოფების მიმართ
ტოლერანტულობა
ნაკლებად მოძრაობა
მხიარულება
სასიამოვნო საუბრის წარმართვა
მხოლოდ საკუთარი აზრის დაცვა

ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ ნაშრომს.

აქტივობა 3.

მასწავლებელი პრეზენტაციის დასრულების შემდეგ სვამს კითხვებს:

1. ძნელი იყო ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შერჩევა და შეთანხმება?
2. რატომ შეარჩიეთ ესათუ ის უნარ-ჩვევა?

გაკვეთილი 4.

(გაგრძელება)

აქტივობა 1.

როლური თამაში:

მასწავლებელი 4 მოსწავლეს როლური თამაშის ტექსტს აძლევს და სთხოვს მათ, მოცემული სცენარის მიხედვით გაითამაშონ პატარა სცენა. **როლური თამაშის ტექსტი იხილეთ დანართი 1)** დაწერილი სცენარის მიცემა ბავშვებისათვის შესაძლებელია მეცადინეობის დაწყებამდე. ეს მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, წინასწარ უფრო გულდასმით მოემზადონ როლური თამაშისათვის.

აქტივობა 2.

როლური თამაშის განხილვა:

თამაშის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს განიხილონ გათამაშებული სცენა. განხილვა შემდეგი საკითხების გარშემო მიმდინარეობს:

– როლური თამაშისას, კომუნიკაციის რა ხელისშემშლელი ფაქტორები იყო ნაჩვენები?

– რის გამო დარჩა მარტო სკოლაში ახლად გადმოსული ბიჭი?

– თქვენი აზრით, რა არის ეფექტური კომუნიკაციის ყველაზე საუკეთესო ხერხი?

– რატომ შედგა კომუნიკაცია ერთ-ერთ თანაკლასელთან?

– ცხოვრებაში მსგავსი სიტუაცია შეგხვედრიათ?

– როგორ გადაგიჭრიათ ეს პრობლემა?

– როგორ ფიქრობთ, შედგება კლასელებს შორის მეგობრული ურთიერთობა?

აქტივობა 3.

ჯგუფური მუშაობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ჯგუფებში შეავსონ ცხრილი

კომუნიკაციის ხელის შემწყობი ფაქტორები	**კომუნიკაციის ხელის შემშლელი ფაქტორები**
1. 2. 3.	1. 2. 3.

ჯგუფები აწყობენ ნამუშევრების პრეზენტაციას.

მასწავლებელი დაფაზე წერს ყველაზე ხშირად წარმოთქმულ მოსაზრებებს.

მასწავლებლის შეჯამება:

განხილვის დასრულებისას, მასწავლებელი აღნიშნავს, რომ საზოგადოებაში ურთიერთობების გარეშე არსებობა შეუძლებელია. კომუნიკაცია ადამიანს ეხმარება დასახული მიზნების მიღწევაში. სიტყვა - ადამიანებს შორის ურთიერთობის დამყარების ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ამიტომაა მნიშვნელოვანი საუბრის დროს სიტყვის სწორი, დროული და შესაბამისი გამოყენება. ნათქვამი არ უნდა შეიცავდეს სიძულვილის ენის ელემენტებს.

აქტივობა 4.

დავალება: სიტუაციაზე მუშაობა

მასწავლებელი მოსწავლეებს 4 ჯგუფად ყოფს. პირველ და მესამე ჯგუფს სიტუაცია I ურიგდებათ, მეორე და მეოთხე ჯგუფებს – სიტუაცია II. ჯგუფებმა შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი უნდა მოძებნონ.

სიტუაცია I (1 და 3 ჯგუფისთვის)

თქვენი დაბადების დღე ახლოვდება. კლასში ჩამოყალიბდა ასეთი ტრადიცია, რომ თანაკლასელები მთელ კლასს იწვევენ სტუმრად ოჯახში. მაგრამ თქვენს დაბადების დღეზე მშობლებს არ უნდათ თანაკლასელების დაპატიჟება, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ დაბადების დღეზე მხოლოდ ნათესავები უნდა მიიწვიონ. მხოლოდ უფროსი ძმა გიჭერთ მხარს.

ამ სიტუაციაში რისი გაკეთება შეიძლება? თქვენ როგორ მოიქცეოდით?

სიტუაცია II (2 და 4 ჯგუფისთვის)

შენი მეგობრი გაკვეთილებს სისტემატურად აცდენს, გაკვეთილზე ცუდად იქცევა. სასწავლო წელი კი 2 თვეში მთავრდება. მისი მშობლები ძალიან ნერვიულობენ. ის მშობლებს არ უჯერებს. შენ გინდა მეგობარს დაეხმარო და რაღაც მოიმოქმედო.

როგორ მოიქცეოდი?

ჯგუფები ახდენენ ნამუშევრების პრეზენტაციას, რასაც მოსდევს მასწავლებლის გამოხმაურება.

მასწავლებელი საუბრობს იმაზე, რომ ჩვენ საკუთარ შეცდომებს ხშირად სხვა ადამიანებს და გარემოებებს ვაბრალებთ. სინამდვილეში, კი არ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი პრობლემების ძირითადი და ნამდვილი მიზეზი, არის ის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ეფექტური კომუნიკაციის დამყარება.

ურთიერთობებში ხშირად ისეთ შეცდომებს ვუშვებთ, რომლებიც კომუნიკაციაში ხელს გვიშლის. ვიყენებთ ისეთ სიტყვებს, მოსაზრებს და გამოთქმებს, რომლებითაც სხვებს წყენას ვაყენებთ. ასევე, შეურაცხმყოფელ ზედმეტ სახელებს ვხმარობთ და თანამოსაუბრეს ვაკრიტიკებთ.

შესაძლებელია ამ ნაკლოვანებების გადალახვა, გარკვეული ღირებულებების და უნარ-ჩვევების განვითარებით. აუცილებელია, განვივითაროთ ისეთი თვისებები როგორებიცაა: **მოსმენა, თანამოსაუბრის გაგება, საკუთარი გრძნობებისა და იდეების მკაფიოდ გამოხატვა, მორალური ნორმების შესაბამისი ქცევა, ურთიერთობის პროცესში საკუთარი ემოციების გაკონტროლება. შესაძლოა მოსწავლეებს ვესაუბროთ უკუკავშირის შესახებ. (იხილეთ დანართი 2)**

შეფასება

მოსწავლეების ქმედებაზე დასაკვირვებლად, მასწავლებელი მათთან ერთად ადგენს შეფასების რუბრიკასა და კრიტერიუმებს. გაკვეთილის ბოლოს აფასებს კი მოსწავლეებს.

სახელი,გვარი კრიტერიუმები	ეფექტური კომუნიკაციის გზების დასახვა	შეუძლია კომუნიკაციის დამაბრკოლებელი ფაქტორების აღმოჩენა	კომუნიკაციის დამყარების უნარის დემონსტრირება
1			
2			
3			
4			

გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში, მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეებს ქმედებებს და ცხრილში აკეთებს ნიშანს X

დანართი 1.

როლური თამაშის ტექსტი:

კლასში ახალი მოსწავლე მოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამი თვევიდა, მას კლასელებთან ურთიერთობა კვლავ უჭირს, სულ მარტოა. სკოლის შემდეგ სახლში ბრუნდება, მეგობრებთან ერთად ფეხბურთის თამშზეც კი უარს ამბობს. სულ კომპიუტერთან ზის. პროგრამების შექმნაც კი ისწავლა.

სწორედ ეს ბიჭი სკოლის დერეფანში დგას ჩაფიქრებული. ბავშვები მას ყურადღებას არ აქცევენ, ისინი დერეფანში წყვილ-წყვილად სეირნობენ. ბავშვები ხანდახან ჩაფიქრებულ ბიჭს გაკენწლავენ:

– სალამი, „პროფესორო“!

– მომშორდით!

– როგორ მიდის საქმეები „სწავლულო“!

– რა შენი საქმეა?

ამ დროს, ერთი მოსწავლე თანაკლასელს უახლოვდება.

– გამარჯობა!

– სალამი!

– საქმეები როგორ მიდის?

– ისე რა, ცუდ ხასიათზე ვარ. ბავშვები მაღიზიანებენ.

– იქნებ ერთად გვეცადა სიტუაციის გამოსწორება? შენ იმდენი რამ შეგიძლია. ნეტა შენსავით ვიცოდე კომპიუტერი...

– როგორ ფიქრობ, სხვებთან საერთო ენის გამონახვას მოვახერხებ?

– რა თქმა უნდა, იცი რამდენს უნდა ისწავლოს კომპიუტერზე ვინდოუსის გადაყენება, მაგრამ ვერ გეუბნებიან. მგონი შეიძლება პრობლემების მოგვარება.

– არც კი მჯერა.

– წარმატების საფუძველი, საკუთარ თავში დარწმუნებულობაა!

– არ ვარ წინააღმდეგი. იქნებ გვეცადა?

– წავედით, ახლა ფიზკულტურის გაკვეთილი გავქვს. ჩვენ გუნდებად გავიყოფით და ფეხბურთს ვითამაშებთ. შენ ჩვენს გუნდში იქნები.

– მე ხომ არ ვიცი ფეხბურთის თამაში?

– არ იცი და გასწავლით! წავედით!

დანართი 2.

უკუკავშირი - ეს არის, ინფორმაციის გადაცემა და მიღება. ერთ-ერთი მხარე ამა თუ იმ ინფორმაციას იღებს ან გადასცემს. ერთი ან ორივე მხარე, გარკვეულ დროს, გამოდის მსმენელის როლში. მიღებულ ინფორმაციას, შეძლებისადაგვარად, ვაანალიზებთ, გადავცემთ სხვებს ან თავად ვინახავთ. ისინი ვინც ვერ ფლობს მოსმენის უნარ-ჩვევას, არ შეუძლიათ სწორად შეაფასონ და ობიექტური დასკვნა გამოიტანონ მიღებული ინფორმაციიდან. ეფექტური უკუკავშირის შექმნის ძირითადი პირობაა ორატორის გამართული მეტყველება. ამასთან, მსმენელის მხრიდანაც უნდა შესრულდეს რამოდენიმე პირობა.

ინფორმაციის გადაცემის პროცესში უნდა დავიცვათ შემდეგი პირობები:

- არ მიაყენო თანამოსაუბრეს სიტყვიერი შეურაცხყოფა;
- მოუსმინე;
- თავი დაიცავი ჩგამოსვლისას, ყურადღება მიანიჭე არა ადამიანს, არამედ პრობლემას;

- ისაუბრეთ კონკრეტული ფრაზების გამოყენებით;
- დამაჯერებელად ისაუბრეთ;
- გამოხატე ის, რასაც გრძნობ;
- ისაუბრე საკუთარი სახელით.

ინფორმაციის მიღებისას უნდა დავიცვათ შემდეგი პირობები:

- შეეკითხე;
- იფიქრე;
- განაზოგადე.

იმ შემთხვევაში, თუ ორატორსა და მსმენელს შორის კავშირი არ შეესაბმება ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს, მაშინ გადაცემული ინფორმაცია შესაძლებელია სხვადასხვაგვარად იყოს აღქმული, რასაც თავის მხრივ შეუძლია პრობლემები შექმნა. იმისათვის, რომ მსმენელმა სწორად გაგიგოთ, ყურადღება უნდა გაავამახვილოთ იმ სიტყვებსა და ქმედებებზე, რომლებითაც გამოხატავთ საკუთარ აზრებს. ასევე, უნდა იფიქროთ იმაზე, თუ საკუთარი აზრები წერილობითი სახით როგორი ფორმით გამოვხატოთ, როდესაც მსმენელის როლში გამოვდივართ, მაშინ ჩვენ სრულად კონცენტრირებული უნდა ვიყოთ, ორატორის არგუმენტების გულდასმით მოსმენაზე და ყურადღება მიმართული უნდა იყოს მოწოდებულ ინფორმაციაზე. სიტყვის შეუწყვეტლად, მოვისმინოთ ორატორის გამოსვლა.

იმ შემთხვევაში, თუ გადმოცემული ინფორმაცია თქვენთვის გაუგებარია, საუბრის ბოლოს სთხოვეთ მომხსენებელს გაიმეოროს საკუთარი მოსაზრებები თქვენთვის მისაღები ფორმით, მაგალითების მოშველიებით ან ხელახლა განმარტოს საუბრის თემა მოკლე თეზისების სახით. ჭორატორის იდეების დასამახსოვრებლად მნიშვნელოვანია ჩანაწერების გაკეთება. ამით, თქვენ შეძლებთ გამოყოთ საინტერესო საკითხები და მოამზადოთ დამატებითი შეკითხვები, შესასწავლ თემასთან დაკავშირებით.

გაკვეთილი 5, 6 აქტიური მოსმენა

გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლე გაეცნობა აქტიური მოსმენის არსს;
- შეძლებს პრობლემის გადაჭრის დროს აქტიური მოსმენის მნიშვნელობაზე ფიქრს;
- შეძლებს აქტიური მოსმენის ტექნიკის გამოყენებას.

რესურსები:

- სამუშაო ფურცლები;
- ტექსტი: „მოსმენის პრაქტიკა“;
- A-4 ფორმატის ქაღალდი;
- პლაკატი- „როდის ვართ აქტიური მსმენელები“.
- გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1.

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს სულხან-საბას იგავს ,,ოთხი ყრუ“ (იხ. დანართი 2.)

დამხმარე შეკითხვები:

- რას ფიქრობთ, რა მოხდა?
- რატომ მოხდა?
- რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ გაუგებრობა თავიდან ავიცილოთ?

გონებრივი იერიში

რა არის აქტიური მოსმენა? ეფექტური კომუნიკაცია?

მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ცხრილს და შესაბამის გრაფაში წერს მოსწავლეების მიერ გამოთქმულ ვარაუდებს.

ცხრილი:

აქტიური მოსმენა	*ეფექტური კომუნიკაცია*

აქტივობა 2.

როლური თამაში-მსმენელები და ორატორები

მასწავლებელი მოსწავლეებს წყვილებად ყოფს მოსწავლეები ირჩევენ შესაბამის როლს. ერთი მსმენელია, მეორე ორატორი.

ორატორი 2 წუთის განმავლობაში **მსმენელ** მეწყვილეს უყვება გუშინ რას აკეთებდა. **მსმენელი** ყურადღებით უსმენს და ერთი წუთის განმავლობაში მან უნდა გაიმეოროს ტექსტის შინაარსი. შემდეგ, წყვილები როლებს ცვლიან და დავალებას იმეორებენ.

დავალებისათვის განკუთვნილი დროის გავლის შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეთა წყვილებს უსვამს კითხვებს:

- რას განიცდიდით მოცემული დავალების შესრულებისას?
- რამდენად ზუსტად იმეორებდნენ თქვენს სიტყვებს? ამ მომენტში რას გრძნობდით?
- როგორც მსმენელი, საკუთარი აზრების გამოთქმისას, ორატორს რით ეხმარებოდით?
- როგორი გავლენა მოახდინა თქვენს კომუნიკაციაზე აქტიური მოსმენის მეთოდმა/ტექნიკამ?

აქტივობა 3.

სიტუაციური ამოცანა

ვიწვევთ 5 მოხალისე მოსწავლეს. ოთხი მათგანი კლასიდან გადის. მასწავლებელი კლასში დარჩენილ მოხალისეს და დანარჩენ მოსწავლეებს ტექსტს ურიგებს. (იხ. დანართი 3) შემდეგ, 5 წუთი ეთმობა ტექსტის წაკითხვას. დროის გასვლის შემდეგ, ის ტექსტს აბრუნებს.

ოთახში ერთ-ერთი მოხალისე ბრუნდება. მეხუთე მოსწავლე, მას მოკლედ უყვება წაკითხულ ისტორიას. შემდეგი მოხალისე შემოდის, რომელსაც მოსმენილ ტექსტს უყვება მეორე მოხალისე. ამგვარად, ბოლო მოხალისე ტექსტს უყვება მთელ კლასს.

მასწავლებელი წარუძღვება დისკუსიას შემდეგ საკითხზე:

რატომ ვერ მოხერხდა ამბის ზუსტად გადაცემა?

აქტივობა 4.

მასწავლებლის მინი ლექცია

აქტიური მოსმენა ეს არის, არა მხოლოდ ინფორმირება, არამედ მოსმენა და გაგება ერთად. აქტიური მოსმენის პროცესში, მსმენელი უნდა იყოს სრულად ჩართული. აქტიური მოსმენით, ჩვენ გამოვხატავთ საკუთარ აზრებსა და გრძნობებს. აქტიური მოსმენა სხვებისადმი პატივისცემასაც გულისხმობს. (იხ. დანართი 1)

ზოგჯერ ტექსტში ბევრი ზედმეტი ინფორმაციაა, რომელიც ტვირთავს მას და ძნელდება ძირითადი და მეორე ხარისხოვანი ინფორმაციის განსაზღვრა. სიცხადისათვის, აუცილებელია ტექსტის მნიშვნელოვანი მომენტების გამოყოფა.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს თვალსაჩინოებას, სადაც აქტიური მოსმენის პირობებია მოცემული.

აქტიური მოსმენის პირობები

- უნდა იყო მზად სხვა ადამიანების მოსაზრების მისაღებად;
- ყურადღების მიქცევა;
- მიზანმიმართული მოსმენა;
- თანამოსაუბრის მოსაზრების დადებითად მიღება;
- საუბრის გამოცოცხლება ვიზუალური კონტაქტით;
- ინტერესის დემონსტრირება;
- ემოციების გაკონტროლება (დადებითის, უარყოფითის);
- არ შევაწყვეტინოთ თანამოსაუბრეს.

განსახილველი შეკითხვები:

1. როდისაა აქტიური მოსმენა მნიშვნელოვანი?
2. რაში დაგეხმარებათ აქტიური მოსმენა?
3. როგორ მოიქცევით, თუ გაკვეთილის მსვლელობისას რაიმე ვერ გაიგეთ?

შეფასება

მოსწავლეები აფასებენ საკუთარ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, მასწავლებელი მოსწავლეებს აფასებს განმავითარებელი შეფასებით-კომენტარით

დანართი 1.

აქტიური მოსმენა

კომუნიკაციის დამყარებამსმენელის მხრიდან, დამოკიდებულია იმაზე, თუ ის რას და როგორ ისმენს. მოსმენა და აქტიური მოსმენა არ არის ერთი და იგივე. შესაძლებელია, უნებურად რაღაც გვესმოდეს, მაგრამ იმისათვის რომ მოვისმინოთ, ყურადღების კონცენტრაცია უნდა მოვახდინოთ, რათა გავიგოთ, აღვიქვათ და შევაფასოთ ნათქვამი. ***ადამინებს შორის ეფექტური კომუნიკაცია მყარდება ინფორმაციის ზუსტი გადაცემისა და შესაბამისი უკუკავშირის მიღების შემთხვევაში.*** აუცილებელი პირობაა: მოსმენის უნარი და საკუთარი მოსაზრებების თანამოსაუბრემდე მიტანის უნარ-ჩვევა. მნიშვნელოვანია განსხვავებული პოზიციის მიმართ მოთმინების გამოჩენა და კომუნიკაციის არავერბალური საშუალებების სწორი გამოყენება.

საკუთარ წარუმატებლობებში ჩვენ გარემოებებს და სხვა ადამინებს ვდებთ ბრალს, სინამდვილეში კი ეს არის ნორმალური კომუნიკაციის დამყარების უუნარობა. ურთიერთობისას ჩვენ ხშირად ვუშვებთ შეცდომებს, რომლებიც ხელს უშლის დაახლოებას, ვხმარობთ არასწორ გამონათქვამებს, შეურაცხმყოფელ ზედმეტ სახელებს, ვაკრიტიკებთ თანამოსაუბრეს. საკუთარ თავში გარკვეული უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების განვითარებით ჩვენ სიძნელეების გადალახვას მოვახერხებთ. აუცილებელია ისეთი ჩვევების გამომუშავება, როგორებიცაა: აქტიური მოსმენა, თანამოსაუბრის გაგება, საკუთარი იდეების და შეგრძნებების გამოხატვა, მორალური ნორმების შესაბამისი ქცევა, ურთიერთობებში ემოციების გაკონტროლება.

ეფექტურ კომუნიკაციას მივყავართ სწორ ურთიერთ გაგებასთან, მიმართულებას აძლევს გადაცემულ ინფორმაციას, ხელს უწყობს ინფორმაციის მიზანმიმართულ გადაცემას და უბიძგებს გარშემომყოფებს იაზროვნონ ადეკვატურად.

დანართი: 2.

ოთხი ყრუ (სულხან-საბა ორბელიანი)

ერთი ყრუ კაცი იყო და ხარი დაკარგა. საძებნელად წავიდა და ერთი კაცი შემოეყარა. კითხვა დაუწყო. თურე ის კაცი უფრო ყრუ

იყო და ვირი თურე ეპოვნა. მან ხარისა ვერა შეიტყო. ასე უთხრა. ვირი თუ შენია, საპოვნელა მაინც მომეცო! ერთმანერთსა ვერა შეატყობინეს რა.

ერთი ცხენოსანი კაცი მოვიდოდა და ქალი ვინმე გავას უჯდა. მივიდენ მასთან. ამან ამისი ხარისა უთხრა, მან მისი ვირისა. თურე ის უფრო ყრუ იყო; ეგონა: დიაცს მართმევენო. ფიცი თქვა: ცოლი მომიკვდა და ეს მისი მოახლე არისო, სხვისას ნუ ჰგონებთო! ვერც ერთმა ვერა გაიგეს რა.

ყადთან წავიდნენ, ყველამ თავისი საჩივარი თქვეს. ყადი თურე სიბერით დაყრუებულიყო. რამაზანი იყო. ეს მოჩივარნი მთვარის გამოჩენის მოამბენი ეგონა. თქვა: რადგან მთვარე უნახავნ, ნაღარას კარითო! ვერც ერთმან ვერა გაიგეს რა.

- აწე, ჩვენ, დიდნი და პატარანი, ყველანი დავყრუებულვართ, თვარემ რატომ არ გვესმის, ლამის იგი ყრმა მოკლასო.

დანართი 3.

სიტუაციური ამოცანა

ორშაბათს, 18 თებერვალს, დავითი ქალაქგარეთ წავიდა და სალომეს თავისი ძაღლი დაუტოვა სამი დღით. სალომეს დედას არ უყვარს ძაღლები. სალომეს არ უნდა, რომ დავითს აწყენინოს და არც დედის განაწყენება სურს. მან მეზობელს დაუტოვა დავითის ძაღლი და უთხრა სამი დღის შემდეგ მოვალ და წავიყვანო. რამდენიმე დღის შემდეგ მეზობელი სალომეს დედასთან მივიდა და უთხრა, სახლის კარი ღია დამრჩა და სალომეს მოყვანილი ძაღლი გაიპარაო. სალომეს დედამ პოლიციაში დარეკა, მიშველეთ ჩემი კატა დაიკარგაო. ამ დროს სალომეს მოვიდა სახლში დავითის ძაღლთან ერთად.

გაკვეთილი 7 ეფექტური მოსმენა

მიზნები

- მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა, მოუსმინონ და უპასუხონ თანაკლასელის კითხვებს;
- გაივარჯიშონ პარტნიორის ეფექტურ მოსმენაში.

რესურსები

ჩინური იეროგლიფი

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1. „რაც მე ყველაზე ძალიან მომწონს"

კლასი იყოფა წყვილებად. თითოეული მოსწავლე 2 წუთის განმავლობაში იგონებს **ამბავს: „რაც მე ყველაზე ძალიან მომწონს ... რადგან**..... ამის შემდეგ თითოეული თავის ამბავს მეწყვილეს უყვება, მეორე კი უსმენს, შემდეგ ისინი ცვლიან როლებს, ახლა მეორე უზიარებს თავის ამბავს. ბოლოს თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ მეწყვილეს, თუ რა მოსწონს მის მეგობარს ყველაზე მეტად და რატომ.

აქტივობა 2. კარგი და ცუდი მოსმენა

მასწავლებელი ირჩევს დამხმარე მოსწავლეს და ეკითხება მას, თუ რას აკეთებდა იგი შაბათს — კვირას. მოსწავლის პასუხის მოსმენისას პედაგოგი ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ საერთოდ არ უსმენს მოსაუბრეს (ფურცლავს წიგნს, რაღაცას წერს, აქეთ- იქით იყურება და ა.შ..) ამის შემდეგ უჩვენებს მოსწავლეებს კარგი მოსმენის მაგალითს, რისთვისაც იყენებს თვალით კონტაქტს, სხეულის ენას და გამოხატავს ყურადღებას მოსაუბრისადმი.

შემდეგ მასწავლებელი ატარებს გამოკითხვას და ადგენს იმას, თუ რას მიაქციეს ყურადღება ბავშვებმა მასწავლებლის ქცევაში. რა იყო საჭირო კარგი მოსმენისთვის? მასწავლებელი ხაზავს დაფაზე ცხრილს და მოსწავლეების ნააზრევს ჩამოწერს ცხრილში:

ცუდი მოსმენა:	კარგი მოსმენა:
• უყურადღებობა • სხვა საქმით დაკავება • თვალით კონტაქტის არ ქონა	• მოსაუბრისთვის ყურადღების მიქცევა • თვალის კონტაქტი • საუბრის შენარჩუნების მიზნით შესაბამისი კითხვების დასმა

აქტივობა 3.

წყვილები საუბრობენ თემაზე: „რას ვაკეთებ სკოლის შემდეგ“ და ცდილობენ გამოიყენონ ცოდნა აქტიური მოსმენის შესახებ.

მასწავლებელი აჯამებს აქტივობას. ის ამბობს, რომ დღეს მისმა მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი უნარი გაივარჯიშეს: როგორ მოვუსმინოთ ერთმანეთს და როგორ ვაგრძნობინოთ თანამოსაუბრეს, რომ ვუსმენთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

შემდეგ დაფაზე ხატავს ჩინურ იეროგლიფს, რომელიც გამოხატავს მოსმენას და ეკითხება მოსწავლეებს, თუ რატომ არის მოსმენაში მნიშვნელოვანი იეროგლიფის 5 შემადგენელი ნაწილი: ყური, შენ, თვალები, სრული ყურადღება, გული.

დანართი 1. ჩინური იეროგლიფის „მოსმენა“, გრაფიკული ნახატი.

გაკვეთილი 8. მოსმენის უნარ-ჩვევების გამომუშავება

მიზანი:

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები შეძლებენ

- გაარკვიონ რა არის კარგი მოსმენა?
- გამოყონ ფაქტორები, რომელიც ხელს უშლის კარგ მოსმენას.

რესურსები:

დაფა, ცარცი

ენაკვიმატი ეზოპე

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1 .

მოსწავლეებს სთხოვეთ გაიხსენონ ისეთი ამბები, რომელიც მათ შეემთხვათ. ამბავი ეხება გაუგებრობას, კურიოზს, როდესაც მათი ნათქვამი სხვებმა არასწორად გაიგეს.

ამის შემდეგ, სთხოვეთ ეს ამბავი მოუყვნენ ერთმანეთს/ მეწყვილეს და ამოირჩიონ ერთი, ყველაზე საინტერესო.

შექმენით ჯგუფები 4 მოსწავლის შემადგენლობით. ჯგუფებმა უნდა განიხილონ ეს ისტორიები და გამოყონ ფაქტორები, რის გამოც მოხდა გაუგებრობა:

(ეს შესაძლოა იყოს: არაზუსტი ინფორმაცია, ორაზროვანი სიტყვები, ცუდი მოსმენა, უყურადღებობა და ა.შ.).

აქტივობა 2.

წაუკითხეთ მოსწავლეებს მოთხრობა: „ენაკვიმატი ეზოპე“

(იხ. საკითხავი მასალა 1.) სთხოვეთ მათ გამოყონ ფაქტორები, რომელიც გახდა გაუგებრობის მიზეზი.

აქტივობა 3.

ახლა კი „შეარიგეთ“ ეზოპე და ქსენოფი და დაასრულეთ ამბავი. სთხოვეთ მოსწავლეებს გადააკეთონ ტექსტი ისე, რომ არ მოხდეს გაუგებრობა. რა დასკვნები გამოიტანეს ამ ამბიდან?

შეჯამება: მასწავლებელი საუბრობს იმ ფაქტორებზე, რომელიც მოსწავლეებმა გაითვალისწინეს გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

დანართი 1.

ენაკვიმატი ეზოპე

ქსენოფმა აბანოში წასვლა გადაწყვიტა და ეზოპეს უთხრა: წადი და ნახე აბანოში ბევრი ხალხია თუ არაო. დაბრუნდა ეზოპე და უთხრა, მივედი და იქ ერთადერთი ადამიანი ვნახეო.

ქსენოფს გაუხარდა,წავიდა აბანოში და რას ხედავს? იქაურობა სავსეა ხალხით. დაბრუნდა და ეზოპეს ეჩხუბა, - რატომ მომატყუეო?

– ტყუილი ნამდვილად არ მითქვამს. აბანოს წინ ერთი დიდი ქვა ეგდო. ვინც გამოიარა ყველამ ფეხი წამოჰკრა, შეუკურთხა და გაიარა. მხოლოდ ერთი კაცი მოიქცა სხვაგვარად. ქვას ფახი რომ წამოჰკრა, აიღო და გადააგდო. ჰოდა მეც ამიტომ ვიფიქრე, აქ ხალხი ბევრია, მაგრამ ადამიანი მხოლოდ ეს ერთი კაცია - მეთქი.

გაკვეთილი 9.
ძალაუფლების ქანდაკებები (შევუტიოთ თუ თავი ავარიდოთ?)

გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლეები შეძლებენ:

- აღწერონ ემოციები, რომელიც აღეძრებათ მაშინ, როდესაც არიან ან ძლიერები, ან უძლურები;
- დაუკავშირონ ეს ემოციები რეალურ ცხოვრებაში არსებულ როლებს.

რესურსები:

- დიდი საწერი ფურცლები;
- მარკერები და ცარცი.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1.

დაყავით კლასი წყვილებად. თითოეულმა წყვილმა უნდა წარმოადგინოს ცოცხალი სურათი. ერთმა ძალუფლების მქონე პერსონაჟი, მეორემ კი ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია ძალაუფლება. მიეცით თითოეულ წყვილს დრო ამ სურათის მოსაფიქრებლად. მას შემდეგ, რაც ამ სურათს წარმოადგენენ, წყვილებმა უნდა გაცვალონ როლები. (მაგ. პოლიციელი და ეჭვმიტანილი, უფროსი და ხელქვეითი, სკოლის დირექტორი და დასჯილი მოსწავლე და ა.შ)

მასწავლებლისათვის გაფრთხილება:

ეს სავარჯიშო იწვევს სხვების მიმართ საკუთარი უპირატესობის განცდას, რაც გავლენას ახდენს ჩვენზე და ჩვენს ქცევაზე. შესაბამისად როლების მორგებამ შეიძლება გამოიწვიოს მძაფრი რეაქცია მონაწილეთა მხრიდან, მასწავლებელი მზად უნდა იყოს, რათა უშუალოდ დააკვირდეს ჯგუფის რეაქციას და წამოჭრილი პრობლემები

მათთან ერთად განიხილოს.

აქტივობა 2.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ორივე როლში ნახავენ ერთმანეთს, სთხოვეთ გააკეთონ კომენტარი : რა ნახეს მათ? ასევე სთხოვეთ ორივე მონაწილეს ერთი სიტყვით აღწერონ, რას გრძნობდნენ ამ როლის შესრულების დროს. (სიამაყეს, შიშს, მორჩილებას და ა.შ.) *ეს მონაცემები ჩამოწერეთ ცხრილში (იხ. დანართი ცხრილი 1.)*

აქტივობა 3.

მასწავლებელი ატარებს მცირე განხილვას და აჯამებს გაკვეთილს შემდეგი კითხვების მიხედვით:

შემაჯამებელი კითხვები:

1. ამ ორი პოზიციიდან, რომელი იყო თქვენთვის უფრო ნაცნობი?
2. შეგიძლიათ დაუკავშიროთ ეს სიტუაცია (ან სურათი) იმ ემოციებს, რომელებიც უკვე განგიცდიათ ცხოვრებაში?
3. რას გრძნობდით უუფლებო ადამინის როლში ყოფნისას მის მიმართ, ვინც ძალაუფლების მქონე პიროვნების როლში იყო? და პირიქით. (მაგალითად: თანაგრძნობას? ძლიერის მიმართ აგრესიას?)

დანართი 1.

ცხრილი 1.

ძალაუფლება :	**უუფლებობა:**
• ამპარტავნება; • სიამაყე; • დაუსჯელობის განცდა; • ყოვლისშემძლეობა; • უპირატესობა	• შიში; • მორჩილება; • სხვაზე დამოკიდებულება; • უსუსურობის განცდა; • ბრაზი;

გაკვეთილი 10
თავდასხმა თუ თავის არიდება? (გაგრძელება)

მიზანი:

მოსწავლეები შეძლებენ:

- ამოიცნონ თავდასხმისა და თავის არიდების გამომხატველი ქცევები;
- ჩგანიხილონ მიმიკისა და ჟესტიკულაციის როლი ურთიერ-თობის პროცესში;

რესურსები:

დიდი საწერი ფურცლები;
მარკერები;
ცარცი.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1.

მოსწავლეები დასვით წრეში. სთხოვეთ მათ კარგად მოუსმინონ იმ მოქმედებათა ჩამონათვალს, რომელიც უნდა შეასრულონ.

- თუ ისინი ფიქრობენ, რომ ხშირად აკეთებენ ამ მოქმედებას, ორივე ხელი უნდა აწიონ მაღლა;
- თუ ისინი ფიქრობენ, რომ იშვითად აკეთებენ ამ მოქმედებას, ერთი ხელი უნდა აწიონ მაღლა;
- თუ ისინი ფიქრობენ, რომ არასდროს აკეთებენ ამ მოქმედე-ბას, ორივე ხელი უნდა ჰქონდეთ დაბლა;

აქტივობები წარმოადგინეთ ჩამოწერილი ორ მწკრივად. ჯერ წაიკითხეთ პირველი მწკრივის აქტივობები, შემდეგ– მეორის. სთხოვეთ მოსწავლეებს შეასრულონ მოქმედებები თითოეული სიტყ-ვის თუუ ფრაზის წაკითხვის შემდეგ.

სიტყვებისა და ფრაზების ჩამონათვალი:

თავდასხმა:	**თავის არიდება:**
შარის მოდება;	უკანდახევა;
ჯყვირილი;	ჩუმად ყოფნა, როცა გაჯავრებული ხარ;
დაჟინება (მე მართალი ვარ); ბრაზის სხვაზე გადატანა (იმაზე ვინც არაფერ შუაშია);	შენ უსამართლოდ გექცევიან;
რევანში (სამაგიეროს გადახდა);	თავს გრძნობ შეუძლოდ;
გაფრთხილება;	იქცეოდე თავაზიანად, მაგრამ იყო გაბრაზებული;
სიტყვის შეწყვეტინება;	დეპრესიულობა /უგუნებობა;
უარყოფითი ემოციების ამოფრქვევა;	ეცადო დაივიწყო;
სარკასტულობა / დაცინვა;	ზურგს უკან თქმა;
შეურაცხყოფის მიყენება;	არ გინდა სხვას გული ატკინო;
შენიშვნის მიცემა.	პრობლემა.

აღნიშნეთ, რომ ის სიტყვები, რომლებიც პირველად წაიკითხეთ (I სვეტშია) არის თავდასხმის გამომხატველი ქცევები, ხოლო მეორე სვეტში, თავის არიდების.

სთხოვეთ მოსწავლეებს ჩაფიქრდნენ, თუ რომელ ქცევებს მიმართავენ ისინი უფრო ხშირად.

აქტივობა 2.

მოაწყვეთ ამ ორ სიტყვაზე (თავდასხმა, თავის არიდება) გონებრივი იერიში. რას ნიშნავს ეს სიტყვები მოსწავლეებისათვის? თითოეულს შეიძლება უკავშირდებოდეს კარგი ან ცუდი გრძნობები. მოსწავლეთა პასუხები დაწერეთ დაფაზე ან ფურცელზე.

დაადგინეთ პიროვნული მიზეზები, რატომ იქცევიან ასე თუ ისე და განიხილეთ რამდენიმე პასუხი.

ამის შემდეგ, ჩამონათვალიდან აირჩიეთ ერთი ფრაზა და წარმოადგინეთ ის ორივე მიმართულებით ისე, რომ სხეულის ენა ერთ შემთხვევაში ემთხვეოდეს ნათქვამს, მეორეში არა.

(მაგალითად: განიხილეთ ფრაზა — სად მიდიხარ? ერთ შემთხვევაში მკაცრად და დაძაბული გამომეტყველებით, ხოლო მეორე შემთხვევაში იგივე ფრაზა წარმოთქვით კეთილგანწყობილი გამომეტყველებით. აღნიშნეთ, რომ იმას, თუ რას ამბობენ სიტყვით ხშირად სულ სხვა იერს აძლევს სხეულის ენა. ანუ მესიჯი, რომელსაც ჩვენ ვაგზავნით დამოკიდებულია ასევე ჩვენს ქცევაზე, როგორ ვიქცევით ამ მესიჯის გადაცემის დროს).

აქტივობა 3.

შეჯამება/შეფასება

გამოიყენეთ შემდეგი კითხვები:

1. რომელი გამაფრთხილებელი ნიშნები/ ჟესტები გვეხმარება ამოვიცნოთ, ვიწინასწა რმეტყველოთ სხვათა ქცევები?
2. ვაკვირდებით თუ არა საკუთარ თავს, რა ჟესტებს ვიყენებთ სხვადასხვა ქცევისას?
3. როგორ შეგვიძლია შევცვალოთ ჩვენი რეაგირების ხერხები და ვისწავლოთ
4. ახალი ქცევა/ პასუხი?
5. როგორ გრძნობთ თავს, როცა ცვლით ინტონაციას?
6. როგორ ხვდებით: სხვათა ქცევა უსაფრთხოა თქვენთვის თუ არა?

შეჯამება: ამ კითხვებზე პასუხები დაგეხმარებათ გაიგოთ, თუ როგორ გაიაზრეს მოსწავლეებმა აღნიშნული საკითხი.

გაკვეთილი: 11
პასიური, ასერტული, აგრესიული ქცევა

მიზანი:

ამ გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები შეძლებენ:

- მოემზადონ **პასიური, ასერტული, აგრესიული ქცევების** იდენტიფიკაციისთვის

რესურსები

ფურცელი, დაფა, მარკერი

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1.

მომზადება: როლური თამაში: „კი და არა“

წინასწარ გაამზადეთ სათაურიანი ფურცელი დაფაზე, რომელზეც დაწერთ მესამე აქტივობაში დასმულ კითხვებზე მოსწავლეთა პასუხები. პასუხები დაგეხმარებათ განმარტებების ნათლად ჩამოყალიბებაში;

ორ მოხალისე მოსწავლესთან ერთად მოამზადეთ ასერტულობაზე ორი შეკითხვა. სთხოვეთ, მოსწავლეებს მოიფიქრონ კითხვები, რომელიც შეეხება მეგობრისთვის რაიმეს შეთავაზებას, ერთად სადმე წასვლას, თხოვნას*(სავარუდო კითხვებია: წავიდეთ კინოში ბოლო გაკვეთილებიდან? მათხოვებ შენს აიფონს ხვალამდე? და ა.შ)*

სთხოვეთ მოსწავლეებს განაწილდნენ ორ ჯგუფად. §პირველი ჯგუფი დადგეს ერთ მწკრივში კლასის შუაში, ხოლო მეორემ დაიკავოს ადგილი მათ პირისპირ. ჯგუფებს ევალებათ ამტკიცონ საპირისპირო მოსაზრებები. მოსწავლეებს უთხარით, რომ დასმულ შეკითხვაზე პირველ ჯგუფს შეუძლიათ თქვან მხოლოდ - „დიახ“. მეორე ჯგუფს შეუძლიათ თქვან მხოლოდ –„არა“. მას შემდეგ, რაც მისცემთ აქტივობის დაწყების ნიშანს, მათ უნდა გადაარწმუნონ ერთმანეთი, მაგრამ ისე, რომ პირველი ჯგუფი ამბობს „დიახ“ს, მეორე „არა“-ს.

ორი წუთის შემდეგ, შეუცვალეთ როლები. კიდევ ორი წუთის

შემდეგ შეწყვიტეთ სავარჯიშო და შეეკითხეთ მოსწავლეებს იქმნებოდა თუ არა ზოგჯერ სასაცილო სიტუაცია. (ზოგჯერ სიცილი შეიძლება იყოს ძალიან საჭირო, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ტკივილიც კი მიაყენოს ადამიანს);

აქტივობა 3.

1. კითხეთ მოსწავლეებს: რას გრძნობდნენ ისინი, როდესაც ამბობდნენ „კი“-ს.
2. ამის შემდეგ კითხეთ: რას გრძნობდნენ, როდესაც ამბობდნენ „არა“-ს?
3. რა სირთულეს წააწყდნენ, როცა მეორე მხარე უნდა დაეთანხმებინათ?

მოსწავლეების პასუხები ჩამოწერეთ დაფაზე გაკრულ ფურცელზე.

გაკვეთილი 12
პასიური ქცევა, ასერტული ქცევა, აგრესიული ქცევა.

მიზანი:

მოსწავლეები შეძლებენ:

- შეაჯამონ წინა გაკვეთილი;
- გამოიტანონ დასკვნები.

რესურსები:

- წინა გაკვეთილზე შევსებული დიდი ფურცლები;
- მარკერები;
- დაფა, ცარცი.

გაკვეთილის მიმდინარეობა:

აქტივობა 1.

სთხოვეთ რომელიმე მოსწავლეს გამოვიდეს კლასის წინაშე და შეახსენოს სხვებს, თუ რას ნიშნავს უტევდე და თავს არიდებდე. მათი მოსაზრებები დაწერეთ დაფაზე ან ფურცელზე. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ამ გაკვეთილზე აპირებთ უფრო ღრმად განიხილოთ ამ ორი განსხვავებული ქცევის არსი. **მიმოიხილეთ შეტევითი ქცევა და ხაზი გაუსვით, რომ ამგვარ ქცევას ვუწოდებთ აგრესიულ ქცევას**. გაიხსენეთ მაგალითები.

აქტივობა 2.

როცა დარწმუნდებით, რომ მოსწავლეებმა დააკავშირეს შეტევითი ქცევა –აგრესიასთან, გადადით თავის არიდების განმარტებაზე. **ხაზი გაუსვით, რომ ის რაც თავის არიდებას უკავშირდება, პასიურს — დაქვემდებარებულს, ვუწოდებთ.** მოსწავლეებს სთხოვეთ, მოიყვანონ მაგალითები. შეახსენეთ ის გრძნობები, რომლებიც უკავშირდება შეტევასა და თავის არიდებას. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ

ის გრძნობები, რომელიც განიცადეს ""''ძალაუფლების ქანდაკების"'' თამაშის დროს. (აქ შეიძლება გახსენების მიზნით ერთ-ერთ წყვილს ვთხოვოთ წარმოადგინონ ცოცხალი სურათი წინა სავარჯიშოდან: მაგ პოლიციელი და ეჭვმიტანილი). გაითვალისწინეთ და გამოიყენეთ ეს პასუხები იმისათვის, რათა გადახვიდეთ ასერტულობის განმარტებაზე. უთხარით მოსწავლეებს, რომ არ არის აუცილებელი ადამიანი იყოს ან ძალაუფლების ან უუფლებობის მდგომარეობაში. სხვა სიტყვებით ან უტევდეს ან თავს არიდებდეს. შესაძლებელია ამ ორ მდგომარეობას შორის ბალანსის მონახვა და მას ასერტულობას უწოდებენ.

აქტივობა 3.

ამის შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს, რომელიმე მათგანი თუ შეძლებს ახსნას, რას ნიშნავს ასერტულობა. მოისმინეთ მათი პასუხები

შეჯამება: ბოლოს, გამოაჩინეთ განმარტებები, რომლებიც გაკვეთილის დაწყებამდე წინასწარ გქონდათ მომზადებული. მიმოიხილეთ ეს განმარტებები და სთხოვეთ მოსწავლეებს მოგაწოდონ მაგალითები, რომელიც შეესაბამება თითოეული ქცევის ტიპს.

დანართი 1. შეტევითი ქცევა (აგრესიული)

- გამოხატავ შენს გრძნობებს, მოსაზრებებს ან სურვილებს ისე, რომ სჯი ან ანგარიშს უსწორებ სხვა ადამიანს;
- სხვის ინტერესების ხარჯზე შენს თავს აყენებ პირველ ადგილზე და არ ითვალისწინებ მათ ინტერესებს;
- აღწევ შენს მიზნებს სხვების ხარჯზე;
- ამეტებ შენს თავს სხვებს;
- ამჟღავნებ დომინანტურ ქცევას: ყვირი, არ უსმენ სხვებს, სხვებს ეუბნები, რომ არასწორები არიან, უსწორდები, ეჩხუბები.

დანართი 2. თავის არიდება (პასიური)

- იმედოვნებ, რომ რაც გსურს მიიღებ შენი მოსაზრების უთქმელადაც. სხვები მიხვდებიან ან გადაწყვეტენ შენს მაგივრად;
- არაფერს მოიმოქმედებ საკუთარი უფლებების გამოსახატად;

- შენს ხარჯზე სხვებს აყენებ პირველ ადგილას;
- ასრულებ იმას, რაც სურთ სხვებს, მათ ანიჭებ უპირატესობას;
- თავს არიდებ შეწინააღმდეგებას, როცა არ ეთანხმები, საუბროობ მორიდებით, ხმადაბლა, იხდი ბოდიშებს, მალავ სახეს, არიდებ მზერას;
- იქცევი მორჩილად.

დანართი 3. ასერტული ქცევა (თავდაჯერებული)

- ეუბნები სხვას თუ რა გინდა, ისე, რომ არ ხარ უხეში;
- იცავ შენს უფლებებს სხვათა უფლებების გათვალისწინებით;
- პატივს სცემ სხვებს ისე, როგორც საკუთარ თავს;
- გამოხატავ დადებით და უარყოფით გრძნობებს;
- ხარ თავდაჯერებული, იყენებ პირდაპირ მზერას, არ იყენებ სარკაზმს, გამოხატავ თანასწორობას და კეთილგანწყობას;

გაკვეთილი 13.
როლური თამაში

მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ:

- გაითამაშონ სიტუაციები;
- გაივარჯიშონ ახალი როლების გამოყენებაში;
- საბოლოოდ გამიჯნონ ერთმანეთისგან აგრესია და ასერტულობა;
- რესურსები: როლური თამაშის ტექსტები.

გაკვეთილის მსვლელობა:

აუხსენით მოსწავლეებს, რომ აპირებთ გაითამაშოთ 2 სიტუაცია, რომელიც დაეხმარება მათ საბოლოოდ გაიგონ და გამიჯნონ ერთმანეთისგან აგრესიული, ასერტული და პასიური ქცევები.

აქტივობა 1.

სთხოვეთ მოხალისეებს გაითამაშონ პირველი სიტუაცია (იხ. დანართი 1: როლური თამაში 1.1)

გაათამაშებინეთ ეს სცენარი რომელიმე წყვილს.

აქტივობა 2.

გათამაშების დასრულების შემდეგ განიხილეთ შემდეგი საკითხები:

1. ზუკას ქცევა აგრესიულია, ასერტიული თუ პასიური? (აგრესიულია);
2. რატომ ფიქრობთ რომ ზუკას ქცევა აგრესიულია?
3. დაასაბუთეთ: რას ამბობს? როგორ ამბობს? აღწერეთ მისი სხეულის ენა (რას გამოხატავს სხეულით).

სავარაუდო პასუხებია:

1. სხეულის ენა — ზუკა ძალიან ახლოს მიდის მოსაუბრესთან, დოინჯი აქვს შემორტყმული, მუშტები აქვს შეკრული;
2. აწყვეტინებს მოსაუბრეს სიტყვას;

3. საუბრობს ხმამაღლა;
4. მიმართავს მას როგორც პატარა ბავშვს. და ა.შ.

აქტივობა 3.

ახლა განიხილეთ ქეთის ქცევა:

1. როგორია ქეთის ქცევა? აგრესიულია, ასერტულია თუ პასიური (პასიური)
2. რატომ ფიქრობთ რომ ქეთის ქცევა პასიურია? დაასაბუთეთ რას ამბობს? როგორ ამბობს? აღწერეთ მისი სხეულის ენა (რას გამოხატავს სხეულით)

სხეულის ენა: ქეთი ხმადაბლა, ნაზად საუბრობს;

ემორჩილება სხვის ნებას;

გამოხატავს, რომ სხვებზე დაბლა დგას - „მე ვფიქრობ, რომ სულელი ვარ, მაგრამ...”

აქტივობა 4. სთხოვეთ მოსწავლეებს გაითამაშონ მეორე სიტუაცია. (იხ. დანართი 1.2).

გათამაშების მერე განიხილეთ შემდეგი საკითხი:

1. ქეთის ქცევა აგრესიულია, პასიურია თუ ასერტულია? (ასერტულია)
2. რატომ ფიქრობთ რომ ქეთის ქცევა ასერტულია? დაასაბუთეთ რას ამბობს? როგორ ამბობს? აღწერეთ მისი სხეულის ენა (რას გამოხატავს სხეულით)?

სავარაუდო პასუხებია:

საუბრობს მშვიდი, მტკიცე ხმით;

განიხილავს პირად საჭიროებებს, გამოხატავს ამას ცხადად;

ამოწმებს არის თუ არა მისი ნათქვამი გასაგები;

სხეულის ენა– ზის მოსაუბრის წინ, უმზერს მას თვალებში.

როცა შეაჯამებთ ამ გაკვეთილს, შეახსენეთ მოსწავლეებს საკითხები, რომელიც „კომუნიკაციის ხიდის “ს შესწავლისას განიხილეთ.

სთხოვეთ რომელიმეს გიპასუხოთ: რატომ არის ასერტულობა სასარგებლო, სასიცოცხლო უნარ-ჩვევა?.

შეჯამება (15 წუთი)

ყველაზე საუკეთესო გზა ამ აქტივობის შესაჯამებლად არის მიუბრუნდით „ძალაუფლების ქანდაკებების“ თამაშის დროს გათამაშებულ როლებს. როცა მოსწავლეები ამ როლებს გაიხსენებენ, შეეცადონ შეცვალონ თავიანთი როლები უფრო ასერტული პოზიციისკენ. დააკვირდით ქცევის ცვლილებას ძალაუფლებიანობისა და უუფლებობისგან როგორ შეძლებენ ცვლილებას/ტრანსფორმაციას თანასწორობისა და უფლებამოსილებისკენ.

დანართი 1.

1..1 როლური თამაში

ზურა და ქეთი თანაკლასელები არიან. ზურას უნდა, რომ ახალი ფილმი ნახოს და სთავაზობს ქეთის ბოლო გაკვეთილები გააცდინონ და კინოში გაიპარონ. ქეთის არ უნდა წასვლა, მაგრამ ზურა არწმუნებს, რომ ასე უფრო ახლოს გაეცნობიან ერთმანეთს. ქეთი თავს გრძნობს ზეწოლის ქვეშ. ის რამოდენიმეჯერ ცდილობს თავისი აზრი გამოთქვას, მაგრამ ზუკა ყოველთვის აწყვეტინებს. ბოლოს ქეთი თავს ქვემოთ ხრის და ამბობს: „მე ვიცი შენ ფიქრობ, რომ მე სულელი ვარ“, ზუკა აღარ აცდის და დოინჯით ეუბნევა: „მარტო სულელი კი არა, პატარაც ხარ“. ქეთი ველარ უმკლავდება ზეწოლას და ეთანხმება ზუკას გადაწყვეტილებას გაკვეთილებიდან გაპარვაზე.

როლური თამაში

ზუკას შემოთავაზების მოსმენის შემდეგ, ქეთიმ გადაწყვიტა მას პირისპირ გასაუბრებოდა. „მე შენ ახლავე უნდა გესაუბრო, ვიდრე მარტონი ვართ“. ისინი შევიდნენ სხვა საკლასო ოთახში, ქეთი დაჯდა მის წინ, დააწყო ხელები მაგიდაზე და შეხედა თვალებში. მან უთხრა მშვიდი, მაგრამ მტკიცე ხმით. მე ვიფიქრე შენს ნათქვამზე, რომ კინოში წასვლით უფრო დავახლოვდებით, მაგრამ გაკვეთილების გაცდენა არ მინდა. ფიქრობ, მეტი დროა საჭირო, ვიდრე დავახლოვდებით და უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს. მე შენ მართლა მომწონხარ, მაგრამ ახლა ვერ წამოვალ, შენ თანახმა ხარ?

გაკვეთილი 14
ასერტული შეტყობინების ჩამოყალიბება

მიზანი:

ამ გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეები შეძლებენ:

- განსაზღვრონ ასერტული ქცევის განსახორციელებელი ნაბიჯები;
- შეძლებენ ჩამოაყალიბონ ასერტული პასუხები სხვადასხვა სიტუაციაში.

რესურსები:

- თეთრი ფურცლები;
- მარკერები, ცარცი;
- ასერტული ქცევის შეტყობინების ნაბიჯები;
- ასერტული ქცევის სცენარი- სიტუაციური ამოცანა.

გაკვეთილის მსვლელობა:

გაკვეთილი წარმოადგენს საკითხის — „პასიური, ასერტული, აგრესიული“ გაგრძელებას და ემსახურება მოსწავლეთა მიერ წინა მასალაში განხილულის და შესწავლილის განმტკიცებას.

გაკვეთილისათვის მომზადება

გაკვეთილის წინ მოამზადეთ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური მასალა და დაწერეთ ის ფურცელზე. ხოლო დიდ ფურცელზე დაწერეთ სათაური: ასერტული ქცევის ნაბიჯები.

აქტივობა 1.

მასწავლებლის მინილექცია: აუხსენით მოსწავლეებს, რომ მიყვნენ თქვენს ინსტრუქციებს. თქვენ უკვე ნანახი გვაქვთ თუ როგორ მოქმედებს ჩვენი სხეულის ენა სხვების საპასუხო რეაქციაზე ჩვენს მიმართ. მაგალითად:

ა) თუ ვინმე აგრესიულად გვექცევა, ის შეიძლება იხრებოდეს ჩვენსკენ მუშტებით. ამ დროს ჩვენი სხეულის ენის შეცვლით, ჩვენ შეგვიძლია გამოვასწოროთ სიტუაცია;

ბ) თუ ვზივართ, შეგვიძლია მხრები გავმართოთ, გავშალოთ მუშტები, ხელები სწორად დავიჭიროთ, შევხედოთ აგრესიულ პიროვნებას პირდაპირ. ყველა ეს ცვლილება გვეხმარება შეძლებისდაგვარად გავანეიტრალოთ აგრესორი. გავცეთ დაბალანსებული პასუხი მის ასეთ ქცევას.

აქტივობა 2.

სთხოვეთ მოსწავლეებს დაიყონ წყვილებად. ერთი ითამაშებს აგრესიული ადამიანის როლს, ხოლო მეორე იქნება ასერტული. ამის შემდეგ, მათ უნდა გაცვალონ როლები. აგრესიულებმა უნდა აღმართონ დამუშტული ხელები, ხოლო ასერტულებმა უნდა სცადონ დაარწმუნონ/დააჯერონ ისინი დაუშვან ხელები და გახსნან მუშტები.

ასერტულებმა უნდა გამოიყენონ მთელი თავისი დარწმუნების უნარი, რათა დაიყოლიონ აგრესიულები დაწყნარდნენ და გახსნან მუშტები. ამ დროს მოსწავლეები არ უნდა შეეხონ ერთმანეთს, მაგრამ ასერტულებმა შეიძლება თქვან ყველაფერი, რაც დაეხმარება მათ აგრესიულების დაწყნარებასა და მუშტების გახსნაში. თუ აგრესიულები ფიქრობენ, რომ ასერტულებმა კარგად გაართვეს თავი ამოცანას, მათ უნდა გახსნან მუშტები, მაგრამ იოლადაც არ უნდა დაყვნენ მეწყვილეს. მიეცით წყვილებს 7-8 წუთი, რათა მათ გაითამაშონ ეს სავარჯიშო /გაივარჯიშონ ასერტული უნარები. ნახეთ, რამდენმა მათგანმა შეძლო დაეყოლიებინა მეწყვილე გაეხსნა მუშტი.შეაქეთ და გაამხნევეთ ისინი. აუხსენით, რომ ასეთი ვარჯიშის შედეგად მომავალში უკეთ შეძლებენ მსგავს სიტუაციაში მოქმედებას .

აქტივობა 3.

ასერტული შეტყობინება

დასაწყისში ცოტაოდენი დრო დაუთმეთ და მიმოიხილეთ ასერტული, აგრესიული და პასიური ქცევა. დააკავშირეთ ასერტული ქცევა ჯანსაღ ცხოვრებასან, რადგან ასერტულობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სასიცოცხლო უნარ-ჩვევაა. ასერტულ ადამიანს შეუძლია გამოიყენოს კარგი კომუნიკაციური უნარ- ჩვევები, საკუთარი თავის პატივისცემა და პიროვნული ძალა, რათა დაამყაროს ჯანსაღი ურთიერთობები სხვა ადამიანებთან. ამ ჩვევის გამომუშავება სავსებით შესაძლებელია. თავდაპირველად თუ ეს რთულად გეჩვენათ, გავარჯიშებით ამ წინააღმდეგობას გადალახავთ. ასეთი ქცევა განხილული იქნება 4 ნაბიჯის მიხედვით, რომელიც დაგეხმარებათ ჩამოაყალიბოთ ასერტული შეტყობინება.

ჩამოკიდეთ დაფაზე წინასწარ მომზადებული დიდი ფურცელი წარწერით: 4 ნაბიჯი: მოსწავლეებს აუხსენით სიტუაცია და მიყევით მის გადაჭრას ნაბიჯ-ნაბიჯ.

გაითამაშეთ შეტყობინებები. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ სხეულის ენა და შეტყობინების ტონი ისეთივე მნიშვნელოვანია, რო-

გორც თავად შეტყობინების შინაარსი. დარწმუნდით, რომ ყველა მონაწილე საკითხში გარკვეულია. შემდეგ, გამოიყენეთ სიტუაციური ამოცანა, (იხ. დანართი 1.) რათა განავითაროთ ასერტული შეტყობინებები მთელი კლასისთვის. ეს დაეხმარება კლასს, გაიაზრონ ყველა ნაბიჯი და მოემზადონ წყვილებში მუშაობისთვის.

შეარჩიეთ დანართ 1-ში მოცემული სიტუაცია დაურიგეთ წყვილებს, სთხოვეთ მათ მოირგონ როლები და გაათამაშონ.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა უნდა შეაჯამოს გაკვეთილი შემდეგი კითხვების გამოყენებით:

-ჩამოაყალიბეთ, როგორ გრძნობთ თავს, როდესაც არღვევენ თქვენს უფლებებს ან უბრალოდ გაწუხებენ.

-როგორ იგრძენით თავი, როდესაც თქვენი მეგობრისგან ასერტიული შეტყობინება მიიღეთ?

-რა უპასუხეთ?

-როგორ წარიმართა თქვენი დიალოგი?

-როგორ დასრულდა დიალოგი?

დანართი 1.

სიტუაცია.

გიორგი და დავითი მეგობრები არიან. გიორგის აქვს მცირე შემოსავალი. მან რამდენჯერმე სხვადასხვა მიზეზით ფული ასესხა დავითს. მოგვიანებით გიორგიმ შეამჩნია, რომ დავითი აგვიანებს ვალის დაბრუნებას. მან გადაწყვიტა დაელაპარაკოს მეგობარს და აუხსნას რომ ფული დროულად უნდა დაუბრუნოს.

მას შემდეგ, რაც სიტუაციას წაიკითხავთ ხმამაღლა, მიუბრუნდით ჯგუფს და სთხოვეთ წარმოადგინონ შეტყობინების თავიანთი ვარიანტები ქვემოთ წარმოდგენილი ინსტრუქციების მიხედვით.

ინსტრუქცია:

1. ჩამოყალიბდით, როგორ გრძნობთ თავს როდესაც არღვევენ თქვენს უფლებებს ან უბრალოდ გაწუხებენ;
2. ნათლად წარმოიდგინეთ რა გსურთ რომ მოხდეს;
3. მიმართეთ მეორე პირს, რომელსაც აუხსნით თქვენს მოთხოვნებს;
4. თუ ის დაეთანხმება მათ, გადაუხადეთ მადლობა და დაამთავრეთ დისკუსია

დანართი 2.

მოსწავლის მასალა 1

ასერტული შეტყობინების შექმნის 4 ნაბიჯი:

1. აუხსენით სხვებს თქვენი პრობლემა და გრძნობები;
2. გააცანით თქვენი თხოვნა/მოთხოვნა;
3. შეეკითხეთ როგორ გრძნობს ის თავს/ გაიზიარეთ მისი აზრი;
4. მიიღეთ და გადაუხადეთ მადლობა.

შეტყობინებების ნიმუშები:

1. " ვგრძნობ რომ შენ მე გამომიყენე, როცა ფული გასესხე და ვერ დავიბრუნე ის დროზე"
2. "მე ვისურვებდი, რომ როცა ფულს გასესხებ, ის რაც შეიძლება დროულად დამიბრუნო.
3. შენ ამას ეთანხმები? შეძლებ ასე მოქცევას?
4. ჰო, მე ვფიქრობ რომ მართალი ხარ.
5. მე არც ისე კარგად მოვახერხე დროზე დამებრუნებინა ფული, მაგრამ შემდეგ ჯერზე უფრო მალე დავაბრუნებ.
6. გმადლობთ, რომ გამიგეთ.

სიტყვები, რომელიც შესაძლოა თქვათ:	**სხვა პირის სავარაუდო პასუხები იქნებოდა:**
• მე გაწბილებულად ვგრძნობ თავს როცა..... • მე უსიამოვნოდ ვგრძნობ თავს, როცა.. • მე გული მტკივა, როცა • მე არ მომწონს, როცა.. • რას იტყვი ამაზე.. თუ • რას ფიქრობ ამაზე.. • შენ ყველაფერი რიგზე გაქვს? • რას ფიქრობ? • მე ვფიქრობ უკეთესი იქნებოდა..	• გმადლობთ.. • დიდებულია.. • მე პატივს ვცემ.. • მიხარია, რომ მეთანხმები.

გაკვეთილი 15
პირადი ასერტული შეტყობინების შექმნა.

მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ:

- ჩამოაყალიბონ პირადი ასერტული შეტყობინება;
- განიხილონ სხვადასხვა სიტუაცია;
- გამოიყენონ წინასწარი სქემა შეტყობინების შექმნისას.

რესურსები:

- ბარათები;
- ასერტულობის სცენარები;

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1. . (სავარჯიშოს ამ ნაწილს დაუთმეთ 30 წთ.)

გაკვეთილი დაიწყეთ იმაზე საუბრით, რომ ახლა თქვენ ივარჯიშებთ, რათა შემდეგ თითოეულმა თავად შეძლოს ასერტული შეტყობინების ჩამოყალიბება. თითოეულ წყვილს აქვს 2 სცენარი.)

სიტუაციის წაკითხვის შემდეგ, თითოეული წყვილი იწყებს ასერტული მესიჯების შექმნას, დაფაზე წარმოდგენილი სქემის მიხედვით. შემდგომ, ისინი უცვლიან თავის ნამუშევარს ერთმანეთს და აძლევენ/ისმენენ რჩევებს ერთმანეთისგან. ბოლოს შეაქვთ ცვლილებები ერთობლივი გადაწყვეტილებების მიხედვით. მოგვიანებით წყვილებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარი სიტუაცია და გაივარჯოშონ ასერტული შეტყობინებების შექმაში.

ამ აქტივობის განმავლობაში თქვენ უნდა იმოძრაოთ კლასში და დარწმუნდეთ, რომ მათ სწორად გაიგეს ინსტრუქციები

ამ დროის გასვლის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, კლასის წინაშე წარმოადგინონ თავიანთი ვარიანტი. აღნიშნეთ, რომ შესაძლებელია ასერტული შეტყობინების მრავალი ვარიანტის შექმნა. მოისმინეთ ვარიანტები და ისაუბრეთ მათზე.

აქტივობა 2.

გაკვეთილის ბოლოს შეაჯამეთ აქტივობა. დაუსვით მოსწავლეებს კითხვები:

1. რა სირთულე იყო შეტყობინების შექმნისას?
2. როდის შეძლებენ ამ შეტყობინების გამოყენებას?
3. როგორ შეგიძლიათ მართოთ საკუთარი ქცევა?

დანართი 1. (წინასწარ გაამზადეთ იმდენი ბარათი, რამდენი წყვილიც გყავთ კლასში).

ასერტულობის სცენარები:

სცენარი 1.

თქვენ გადაწყვიტეთ გაიკეთოთ პირსინგი/ ტატუ. თქვენმა მეგობარმა შემოგთავაზათ, რომ წაგიყვანთ იმ დაწესებულებაში, სადაც ამის გაკეთებას შეძლებთ. როცა ერთად მიხვედით, თქვენ ეს ადგილი არ მოგეწონათ, რადგან ის არცთუ სუფთად (ჰიგიენურად) გამოიყურებოდა. თქვენ გაინტერესებთ დარწმუნდეთ, არის თუ არა ინსტრუმენტები სტერილური და დაუსვით შეკითხვა იქ მომუშავე ერთ-ერთ პერსონალს. ის გარწმუნებთ, რომ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ამის დამადასტურებელ რაიმე ცნობას არ გაჩვენებთ, თუმცა გთავაზობთ არ გადადოთ და დაიწყოთ პროცედურა. თქვენ გადაწყვიტეთ იყოთ ასერტული და თქვათ უარი. შემოთავაზებაზე

სცენარი 2.

- გაკვეთილების შემდეგ კლასელებთან ერთად გადაწყვიტეთ გაისეირნოთ სკოლის ახლოს მდებარე პარკში. ამ პარკში ხშირად სეირნობთ ხოლმე. ერთერთმა კლასელმა შემოგთავაზათ „ გართობა“ : პარკის კედელზე პულვიზატორით სხვადასხვა წარწერების გაკეთება / ან სკამებზე სასაცილო სიტყვების ამოჭრა. თქვენ ამაში გასართობს ვერაფერს ხედავთ, მაგრამ

ფიქრობთ რომ კლასელების თვალში მშიშარა ადამიანად არ გამოჩნდეთ. მიუხედავად ამისა, თქვენ გადაწყვიტეთ იყოთ ასერტული და თქვათ უარი.

სცენარი 3

თანაკლასელმა გთხოვათ რომ მასთან ერთად იმეცადინოთ გაკვეთილების შემდეგ, თუმცა გაკვეთილზე მასწავლებელმა გამოგიცხადათ, რომ დავალება დამოუკიდებლად უნდა შეასრულოთ.

სცენარი 4

საღამოს ლიკამ ანას დაურეკა და სთხოვა სასეირნოდ წასულიყვნენ. ანა დაღლილია და ხვალ დილით ადრე უნდა ადგეს, რომ სკოლაში არ დააგვიანდეს.

სცენარი 5

გიორგიმ ნიკას ათხოვა წიგნი. ნიკამ დროულად დაუბრუნა, მაგრამ წიგნს ფურცლები აკლია.

სცენარი 6

ნიკა გიორგის მუდმივად სთხოვს ასესხოს რამდენიმე ლარი, მაგრამ ის უკან არასოდეს უბრუნებს ვალს, გიორგი განიცდის ამ ამბავს.

გაკვეთილი: 16
როგორ მივიღოთ გადაწყვეტილება?

მიზანი:

- ამ გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეები შეძლებენ;
- ჩამოთვალონ / აღწერონ გადაწყვეტილების მიღების საფეხურები;
- იმსჯელონ გადაწყვეტილების მიღებისას, მნიშვნელოვან ფაქტორებზე.
- განიხილონ სიტუაცია

რესურსები:

- ფლიფჩარტები და დაფა;
- ცარცი, ფურცლები;
- გადაწყვეტილების მიღების სცენარი,
- (თითოეული სცენარი, ცალ-ცალკე ფურცელზე).
- თავსატეხი გამოცანა;

გაკვეთილის მსვლელობა:

მნიშვნელოვანია დავუთმოთ დრო კარგი გადაწყვეტილების მიღების შესწავლას და სარისკო ქცევის თავიდან არიდების საკითხის განხილვას. რა ნაბიჯები უნდა გადადგან ახალგაზრდებმა, რაიმე ძალზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე? რა უნდა მოიმოქმედონ პირველ რიგში და შემდგომ, ვის უნდა მიმართონ რჩევისათვის?

იმისათვის რომ ჩამოვთვალოთ ჯანსაღი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ნაბიჯები, სასარგებლო იქნება ჩავაყენოთ საკუთარი თავი ისეთი ადამიანის პოზიციაში, ვისაც ესაჭიროება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. გავიაროთ გადაწყვეტილების მიღების პროცესი და აღმოვაჩინოთ ის ნაბიჯები, რომლებიც სწორ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანს.

(რჩევა მასწავლებელს: *თქვენ შესაძლოა ხაზი გაუსვათ, რომ გადაწყვეტილება, რომელსაც ჯგუფი მიიღებს ამჯერად ნაკლებად*

მნიშვნელოვანია, ვიდრე იმ პროცესის აღმოჩენა, რომელსაც გადის ჯგუფი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას და იმ ფაქტორების გააზრება, რომელიც გადაწყვეტილების მიღებაზე ახდენს გავლენას.

აქტივობა 1.

მუშაობა მცირე ჯგუფებში:

თითოეულ ჯგუფს მიეცით სიტუაცია განსახილველად. (იხ. დანართი 2. სიტუაცია 1.)

ჯგუფებმა უნდა შეასრულონ შემდეგი სამუშაო:

1. წაიკითხონ ლეონარდო და ვინჩის იგავები
2. გაარკვიონ, იგავის რომელმა გმირმა მიიღო გადაწყვეტილება
3. როგორ აფასებენ მიღებულ გადაწყვეტილებას
4. თვითონ როგორ მოიქცეოდნენ გმირის ადგილას;
5. გადაწყვეტილების მიღებისას, რა უნდა გააკეთონ პირველად.
6. ჩამოთვალონ, ჩამოაყალიბონ ნაბიჯები, რომელსაც ისინი გადიან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;
7. მიიღონ გადაწყვეტილება, რომელსაც საკუთარ ჯგუფში მიიჩნევენ მისაღებად;

ფლიფჩარტზე ან დაფაზე ჩამოწერონ გადაწყვეტილების მიღების საფეხურები და საბოლოო გადაწყვეტილების მიზეზები. მოსწავლეები წარადგენენ ჯგუფურ ნამუშევრებს

თემა: გადაწყვეტილების მიღება

დანართი 1.

გადაწყვეტილების მიღება – ეს არის პროცესი, როდესაც მხარეები ცდილობენ ისეთი გადაწყვეტილება მიიღონ, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებს. მხოლოდ სწორი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შეუძლიათ ადამიანებს საკუთარ პირად ცხოვრებაზე კონტროლის შენარჩუნება. ერთი შეხედვით, უმნიშვნელო გადაწყვეტილებები, სინამდვილეში შეიძლება ძალიან სერიოზული არსის მატარებელი აღმოჩნდეს.

ცხოვრებაში მრავალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, მაგალითად, სწავლის გაგრძელება, პროფესიის არჩევა და ა. შ. დიდი დაფიქრებით და ძალისხმევით მიიღება. მაგალითად, ავტომობილის მარკის ან მუსიკალური ცენტრის შერჩევისას ხდება ტექნიკური პარამეტრების და სხვა მონაცემების შესწავლა, მხოლოდ ამის შემდეგ იღებენ ადამიანები კონკრეტულ გადაწყვეტილებებს.

გადაწყვეტილებები მიიღება დამოუკიდებლად, ან საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენის ქვეშ (მაგალითად, რა რელიგიის აღმსარებელი ვიყოთ, როგორ აღვზარდოთ ბავშვები და ა.შ.). ყველაზე მნიშვნელოვანია გავიგოთ, რატომ არის აუცილებელი გადაწყვეტილების მიღება და გადაწყვეტილების მიღების შედეგად რას უნდა მოველოდეთ.

თქვენს წინაშე დასმული მიზნები მართებულად განსაზღვრეთ. აუცილებელია იცოდეთ ყურადღების კონცენტრაცია რაზე მოახდინოთ. განსაზღვრეთ ძირითადი მიზანი და მასზე იმუშავეთ. გადაწყვეტილების მიღების შესაძლო გზების განსაზღვრისას დასვით შეკითხვა: „რა სარგებლობას მოგვიტანს ეს გადაწყვეტილება იმისათვის, რომ შეძლოთ მიღებული გადაწყვეტილების გახორციელება, წინასწარ უნდა გავთვალოთ შესაბამისი ქმედებები. ყველაზე რთულია, მიღებული გადაწყვეტილების სისწორის შეფასება. პრობლემის სრული აღმოფხვრა, დამოკიდებულია შეფასების შედეგზე. გადაწყვეტილების მიღებისას არ ღირს აჩქარება. რათა არ აღმოჩნდეთ ამ ისტორიის გმირების ადგილას.

დანართი 2.

ლეონარდო და ვინჩი
იგავები
თარგმნა მანანა დუმბაძემ
ვაზი და გლეხკაცი

ვაზი მადლიერებით შეჰხაროდა გლეხკაცს. გაზაფხულზე მიწა რომ შემოუბარა, უნდა გენახათ როგორ ფრთხილობდა ბარი მის ნაზ ფესვებს რომ არ გამოსდებოდა, რა სიყვარულით ევლებოდა თავს, გამძლე სარს უმარჯვებდა და უფრო ლაღად რომ გაზრდილიყო, ზედ ახვევდა. ასეთი ზრუნვით გახარებულმა ვაზმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ტკბილი, სურნელოვანი მტევნებით დაესაჩუქრებინა ადამიანი.

როცა რთველის დრო დადგა, ვაზი თავიდან ბოლომდე მსხვილი მტევნებით იყო დახუნძლული.

გულმოდგინე პატრონმა ერთი მეორეზე მიყოლებით დაკრიფა ისინი და ფრთხილად ჩააწყო კალათში. შემდეგ დაფიქრდა, სარები ამოთხარა და შეშად გამოიყენა. უმადური გლეხკაცისაგან დაუმსახურებლად განაწყენებულ ვაზს ახლა მთელი ზამთარი შიშველ მიწაზე გდება და გაყინვა ელოდა. სამაგიეროდ, შემდეგ წელს წინანდებურად გულუხვი როდი იყო. წინდაუხედავ გლეხკაცს ძვირად დაუჯდა თავისი სიხარბე.

აქლემი და მისი პატრონი

დაჩოქილი აქლემი მოთმინებით ელოდა როდის დატვირთავდა პატრონი. მან უკვე დაადო ზურგზე ერთი ფუთა, მეორე, მესამე, მეოთხე...
''მგონი საკმარისია'', - ფიქრობდა დადარდიანებული აქლემი, მაგრამ პატრონს ვერ ეურჩებოდა. ბოლოს და ბოლოს, როცა პატრონმა საქმეს თავი გაართვა, მან მბრძანებლურად გადაუტყლაშუნა შოლტი აქლემს. აქლემი ძლივს წამოდგა ფეხზე.
– წავედით! — უბრძანა პატრონმა და აღვირი მოქაჩა. ცხოველი ადგილიდან არ დაიძრა.

— რას დაყუდებულხარ, გაინძერი! — დაუყვირა გაბრაზებულმა კაცმა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა მოქაჩა აღვირი.
აქლემი გაჯიუტდა. ფეხები მიწას მიაბჯინა და ადგილზე გაქვავდა.
– ოჰ, შე ჯიუტო, - მიუხვდა პატრონი აქლემს გაჯიუტების მიზეზს და ხვნეშით ჩამოხსნა ზურგიდან ორი ფუთა.
– ახლა, მგონი, შევძლებ, - ჩაილაპარაკა აქლემმა და მორჩილად გაუდგა გზას. ასე იარეს მთელი დღე მცხუნვარე მზის გულზე, და კაცმა გაიფიქრა, რა კარგი იქნებოდა, გათენებამდე, რომ მიგვეღწია უახლოვეს დასახლებამდეო. თითქოს პატრონის ფიქრები გამოიცნოო, აქლემი უცებ შედგა.
– წინ! — რიხიანად შეუძახა პატრონმა, - კიდევ ცოტა და მივალთ.
– ფეხები მიგუგუნებს, დღეს საკმარისად ვიშრომე, სინდისიც კარგი საქონელია, - თავისთვის განსაჯა აქლემმა და სილაზე გაიშოტა. პატრონს ბოღმა ახრჩობდა, მაგრამ რას იზამდა, იძულებული გახდა ფუთები აქლემიის ზურგიდან მოეხსნა და ღამის გასათევად ღია ცის ქვეშ დარჩენილიყო. პატრონს, რომელიც მხოლოდ გამორჩენაზე

ფიქრობდა, ეტყობა, დავიწყებოდა, ძველი, პაპისეული, კეთილი ანდაზა — "ერთ აქლემს ორპირ ტყავს არ აძრობენო".

უცხოელი

ერთხელ ტოსკანიის ერთ მიყრუებულ ქალაქში უცხოელი ჩამობრძანდა. თავის გამოსაჩენად და ყურადღების მისაპყრობად თავის მშობლიურ ქალაქზე ათასნაირ ტყუილსა და მართალს ჰყვებოდა.

— რა არ ხდებოდა იქ, ან აქაურ უხალისობასა და მოწყენილობას როგორ შეედრება!

ენაწყლიანი სტუმრის გარშემო ხალხის პატარა ჯგუფი შეკრებილიყო. მალე მათ იმ მხარეში ყველასგან პატივცემული, ჭკვიანი მოქალაქე მიუახლოვდა. ცოტა ხანს უსმინა, მერე კი თავაზიანად შეაწყვეტინა ლაპარაკი და უთხრა:

– შენ თუ მართლა იმ შორეულ ქვეყანაში დაიბადე, მაშინ ყველაფერი რაც გვიამბე, სიმართლეა და აქ საკამათოც არაფერია. ამ სიტყვებით კმაყოფილმა უცხოელმა დოინჯი შემოირტყა და მსმენელებს ამაყად გადახედა, აქაოდა მე ვარ, ვინცა ვარო. გონიერმა მოქალაქემ კი განაგრძო:

– შენი ქალაქი რომ სასწაულებით აღსავსე ქალაქია, ამაში თვალნათლივ დავრწმუნდით. ჩვენ მხარეში ხომ არასოდეს გვინახავს შენისთანა მახინჯი.

გაკვეთილი 17.
გადაწყვეტილების მიღების ეტაპები (გაგრძელება)

მიზანი:

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები შეძლებენ:

- განიხილონ ჩგადაწყვეტილების მიღების ეტაპები;
- გაუზიარონ ერთმანეთს აზრები.

რესურსები:

- დიდი თეთრი ფურცლები;
- მარკერები, ცარცი.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1.

წინა გაკვეთილზე ლეონარდო და ვინჩის იგავების ანალიზის შედეგები (მოსწავლეების მიერ დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები) კიდევ ერთხელ უნდა იქნას განხილული და შეჯამებული. შეაჯამეთ გადაწყვეტილების მიღების პროცესი და დაეხმარეთ კლასს შეაჯამოს (გადაიტანოს) ყველა იდეა ერთ საერთო ფურცელზე.

აქტივობა 2.

მასწავლებლის მინილექცია

მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, რომელიც ასე შეიძლება აღიწეროს:

შეჩერდი;
დაფიქრდი;
განსაზღვრე პრობლემა;
იფიქრე სიტუაციაზე;
მოუსმინე რჩევას;
გაითვალისწინე ოჯახის და პირადი ღირებულებები;
გაითვალისწინე კულტურული და რელიგიური რწმენები;
გაითვალისწინე შესაძლებლობები და ალტერნატივები;
წარმოიდგინე შესაძლო გამოსავალი თითოეული სიტუაციიდან;

განიხილე შესაძლო შედეგები;
აირჩიე საუკეთესო ალტერნატივა;
ჩამოაყალიბე გადაწყვეტილება;
იმოქმედე გადაწყვეტილების მიხედვით;
აიღე პასუხისმგებლობა საკუთარ მოქმედებებზე.

ძალზე სასარგებლოა ხაზი გაუსვათ ბოლო საკითხს ამ ჩამონათვალიდან. ბავშვებმა თავიდანვე უნდა განსაზღვრონ, რომ თვითოეული მათი ქმედება უნდა იყოს განხილვის შედეგი. ამასთანავე, უნდა განიხილონ ალტერნატივები და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განხორციელებულ მოქმედებებზე აიღონ პასუხისმგებლობა.

აქტივობა 3.

გაითამაშეთ სიტუაციები წყვილებში. თითოეულ წყვილს მიეცით ბარათზე დაწერილია ერთი სიტუაცია. სთხოვეთ მოსწავლეებს განიხილონ ის და გამოიყენონ წინა აქტივობაში მიღებული დასკვნები(იხ. დანართი 1.).

აქტივობა 4.

მნიშვნელოვანი შეჯამება ამ სავარჯიშოსათვის იქნება: სთხოვეთ მოსწავლეებს გაიხსენონ ყველა ის წარსული თუ აწმყო გადაწყვეტილება, რომელმაც გავლენა მოახდინა მათ ცხოვრებაზე:

მათ უნდა შეადგინონ ცხრილი შემდეგი 3 ჩამონათვალის მიხედვით:

1. გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩემთვის იყო მიღებული;
2. გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩემს მიერ იყო მიღებული;
3. გადაწყვეტილებები, რომლებიც მომავალში უნდა მივიღო.

გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩემთვის იყო მიღებული;	გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩემს მიერ იყო მიღებული;	გადაწყვეტილებები, რომლებიც მომავალში უნდა მივიღო.

დაეხმარეთ მოსწავლეებს ჩამოწერონ ყველა გადაწყვეტილება იმის მიუხედავად, დიდი იყო თუ მცირე. ამის შემდეგ, დაეხმარეთ

განსაზღვრონ თუ რა გავლენა მოახდინა, ან ახლაც ახდენს თითოეული გადაწყვეტილება მათ ცხოვრებაზე.

დანართი 1.

გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო სცენარები:

სცენარი 1.

შენ ხარ 13 წლის გოგო, რომელიც ცხოვრობს პატარა ქალაქში. შენ ზრუნავ შენს 4 მცირეწლოვან და -ძმაზე. ისინი შენზე უმცროსები არიან. შენ არა გაქვს საკმარისი ფული რომ მათთვის საკვები იყიდო. შენი მეგობარი ბიჭი, რომელიც ცხოვრობს მარკეტთან ახლოს, გთავაზობს ერთად შეხვიდეთ მარკეტში და ზოგიერთი პროდუქტი მოიპაროთ.

სცენარი 2.

შენ ცხოვრობ პატარა ზღვისპირა ქალაქში, სადაც ტურიზმი არ არის განვითარებული. სწავლობ დამამთავრებელ კლასში და გადაწყვეტილი გაქვს სწავლა გააგრძელო კოლეჯში. თან სკოლის ბოლო წლის გადასახადი არ გადაგიხდია. მამა 2 წლის წინ გარდაგეცვალა და შენს გადასახადს დედა იხდიდა, მისი სამსახური შემცირების გამო გაუქმდა და შენი ოჯახი ფინანსური პრობლემების წინაშეა. შენ გადაწყვიტე იშოვო სამსახური და სწავლა დაამთავრო.

გაკვეთილი 18.
რას ვირჩევ?

მიზნები:

1. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ დისკუსიის მსვლელობისპროცესში არჩევანის გაკეთების გამოცდილება.;
2. დისკუსიის მსვლელობისას გაითვალისწინებენ სხვადასხვა შეხედულებებს;
3. განასხვავებენ ერთმანეთისაგან კარგ და ცუდ არჩევანს.

რესურსები:

- დაფა, ცარცი,
- მოსწავლეთა საქმიანობის ამსახველი სურათები.

მსვლელობა:

აქტივობა 1. მასწავლებელი გამოაკრავს დაფაზე მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობების ამსახველ სურათებს

(სულ გვაქვს 6 სურათი, რომელიც ასახავს მოსწავლის საქმიანობას სკოლაში; მაგ:. მოსწავლეები ხატავენ, ჩოგბურთს თამაშობენ, ექსპერიმენტს ატარებენ, სკოლის ეზოში მცენარებს რგავენ და ა. შ.)

ბავშვები აღწერენ რა ხდება ამ სურათებზე და ირჩევენ ერთს, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონთ. შემდეგ, იმავე პრინციპით ასახელებენ ისეთ აქტივობას, რომელიც ყველაზე ნაკლებად მოსწონთ.

მოსწავლეები მათ მიერ მოწონებულ აქტივობას აფასებენ:

ეს საქმიანობა მომწონს რადგან:

ეს საქმიანობა არ მომწონს რადგან:

მოსწავლეები წყვილებში ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ არჩევანს. რამდენიმე წყვილი აკეთებს პრეზენტაციას.

შეჯამება: მასწვლებელი აჯამებს მოსწავლეების გადაწყვეტილებას და იქვე განმარტავს , რომ არსებობს ისეთ არჩევანი, სადაც მათი არც ერთი გადაწყვეტილება არ არის სხვაზე ცუდი ან კარგი. ყველამ კარგი არჩევანი გააკეთა,თითოეული მისაღებია.

- თუმცა იმის გათვალისწინებით, თუ რას ვაკეთებთ, ან როგორ ვაკეთებთ შესაძლებელია არსებობდეს კარგი ან ცუდი არჩევანი. ზოგჯერ უკეთეს გადაწყვეტილებას ვიღებთ, როცა ვითვალისწინებთ, რომ შესაძლოა სხვასაც იგივე სურს თავისთვის, რაც ჩვენ.
- მაგალითად: ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ არჩევანი - დავიტოვოთ მთელი ტკბილეული ჩვენთვის, თუ მეგობრებსაც გავუნაწილოთ?
- ასე, რომ არჩევანის გაკეთებისას, მართლაც მნიშვნელოვანია ვიფიქროთ შემდეგზე:– რაც ავირჩიეთ სხვებისთვისაც ისეთივე კარგია, თუ მხოლოდ ჩვენთვისაა ეს საუკეთესო?

არანაკლებ მნიშვნელოვანია, მართებული არჩევანის მიღება, იმის თაობაზე თუ როგორ ჯობს რომ მოვიქცეთ საუბრის ან დისკუსიის მსვლელობის დროს.

გაკვეთილი 19
სწორი /მართებული გადაწყვეტილების მიღება;

მიზანი:

ამ გაკვეთილების ბოლოს მონაწილეები შეძლებენ:

- განსაზღვრონ მნიშვნელოვანი ფაქტორები გადაწყვეტილების მიღებისას;
- აღწერონ კავშირი პიროვნულ ღირებულებებსა და გადაწყვეტილებების მიღებას შორის.

სამუშაო მასალა:

- დაფა, ცარცი;
- ბარათები როლური თამაშის ტექსტით

მსვლელობა:

აქტივობა 1.

გაყავით კლასი 2 მცირე ჯგუფად. აუხსენით, რომ აპირებთ გამოიყენოთ აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარ —ჩვევები, რათა გაიათამაშოთ როლები და მოაწყოთ დებატები. თითოეულ მცირე ჯგუფს მიეცით ერთი როლური თამაშის ბარათი. (იხ.დანართი 1. სიტუაცია1 და 2)

მიეცით დრო ჯგუფებს გაეცნონ სიტუაციას და გაითამაშონ, ის თუ როგორ შეიძლება ამ სიტუაციის დასრულება. ეს რთული საკითხებია, ასე რომ დაეხმარეთ და წაახალისეთ ჯგუფები იმ-სჯელონ და მივიდნენ სიტუაციის დასასრულამდე, განსაზღვრონ თუ რა შეიძლება მიიღონ შედეგად.

აქტივობა 2.

როლური თამაში, დებატები.

თითოეული ჯგუფი წარაადგენს თავის სცენარს მეორე ჯგუფის წინაშე. თითოეული გათამაშების შემდეგ შეაჯამეთ სავარჯიშო შემ-დეგი კითხვების მეშვეობით;

1. ვეთანხმებით თუ არა ყველანი იმ გადაწყვეტილებას, რომელიც იქნა მიღებული ?
2. ფიქრობს თუ არა ვინმე, რომ სიტუაცია შესაძლოა განსხვავებულად დასრულებულიყო? როგორ?
3. გადაწყვეტილებების მიღებისას, მუშაობის პროცესში , რომელმა ღირებულებებმა იჩინა თავი?

აქტივობის შეჯამებისას ხაზი გაუსვით, რომ გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის არ არის იოლი პროცესი. პიროვნული ღირებულებები თამაშობს დიდ როლს გადაწყვეტილებებში, რომელსაც ვიღებთ და თუ ჩვენ წავალთ ამ ღირებულებების წინააღმდეგ, შესაძლოა გაგვიჩნდეს დანაშაულის განცდა.

აქტივობა 4.

შეჯამება: შეჯამებისათვის სთხოვეთ მოსწავლეებს აღწერონ ის ნაბიჯები, რომელიც მათ გადადგეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მოსწავლეების პასუხები ჩამოწერეთ დაფაზე.

დანარი 1:

ბარათები როლური თამაშისათვის:

სიტუაცია 1.

გამოცდების დაწყებამდე, ერთი თვით ადრე ანდრო ეუბნება დათოს, რომ შეუძლია მიაწოდოს მას მნიშვნელოვანი ინფორმაცია, თუკი ანდრო დაპირდება რომ საიდუმლოდ შეინახავს მის ნათქვამს. დაბნეული დათო პირობას დებს, რომ საიდუმლოს შეინახავს, მაშინ ანდრო უმხელს რომ მან იცის თუ როგორ შეიძლება ჩააბარონ ისტორიის გამოცდა წარმატებით. მისი ძმის მეგობარს , ყავს ახანაგი დეპარტამენტში, რომელსაცშეუძლია იშოვოს საგამოცდო ტესტი. ანდროს თქმით სხვა ორმა მეგობარმა უკვე შეიძინა ეს ტესტი. ის სთავაზობს დათოს ტესტის შეძენას. დათო დაბნეული და შეშინებულია. მას არ სჯერა ამ ამბის. დათო თვლის, რომ ანდრომ და სხვა ბავშვებმა უნდა შეატყობინონ მასწავლებელს, მაგრამ მან ხომ პირობა მისცა? ახლა მან აღარ იცის როგორ უნდა მოიქცეს.
მიიღეთ გადაწყვეტილება დათოს ნაცვლად. გაითამაშეთ, რა

რეაქცია ექნებათ დათოს ამხანაგებს მის გადაწყვეტილებაზე.

სიტუაცია 2.

ექიმს ჰყავს პაციენტი, რომელსაც კარგად იცნობს. მას ეჭვი ეპარება, რომ მის პაციენტს აქვს ტუბერკულოზი და აგზავნის მას გამოკვლევებზე. ცოტა ხანში მოდის დადებითი პასუხი. ექიმი სთხოვს პაციენტს, რომ თავის მეგობრებს გააგებინოს დიაგნოზი და ამით დაიცვას ისინი საშიში დაავადებისგან. ამაზე პაციენტი ბრაზდება და ექიმს ეუბნება რომ ეს არ არის მისი საქმე. ამის შემდეგ, ექიმი გადაწყვეტს თავად გააგებინოს პაციენტის პარტნიორებს დიაგნოზი, რათა იხსნას ისინი დაავადებისგან, გაბრაზებული პაციენტი უჩივის ექიმს სასამართლოში, რომელმაც დაარღვია პაციენტის დიაგნოზის კონფიდენციალობა.

გაითამაშეთ სასამართლოს სცენა, სთხოვეთ პაციენტის მეგობრებს მონაწილეობა მიიღონ სასამართლოს მსვლელობაში და დანიშნეთ მოსამართლე. ჩგადაწყვეტილება - არის თუ არა ექიმი დამნაშავე, მიიღეთ კენჭისყრით.

გაკვეთილი 20.
"„პიროვნება, ვისითაც აღტაცებულები ვართ"

მიზნები:

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები შეძლებენ:

- ჩამოთვალონ ის თვისებები და მახასიათებლები, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონთ სხვებში;
- განსაზღვრონ თვისებები, რომელიც სურთ რომ გამოიმუშავონ.

მასალები:

- ფლიფჩარტები და მარკერები;
- დაფა და ცარცი.

გავეთილის მსვლელობა:

(ეს თემა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას განსაზღვრონ ის თვისებები და მახასიათებლები რომლებიც სურთ, რომ ჰქონდეთ ცხოვრებაში იმ პიროვნების წარმოსახვით, რომელიც მათთვის მისაბაძია).

აქტივობა 1.

იმისათვის, რომ დავიწყოთ დისკუსია, დაფაზე დაწერეთ სათაური: რა თვისებები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომელსაც პატივს სცემთ.

ამის შემდეგ, სთხოვეთ მოსწავლეებს გამოთქვან მოსაზრებები..

სთხოვეთ მოსწავლეებს გაიხსენონ ის ადამიანები , რომლებიც ყველაზე მეტად მოსწონთ. ვინ არის მათი მისაბაძი მაგალითი? პასუხები ჩამოწერეთ დაფაზე.

ეს შეიძლება იყოს: ვინმე ცნობილი პიროვნება, ადამიანი, ვისაც პირადად იცნობენ, ისტორიული პიროვნება, პოლიტიკოსი, წარმატებული ადამიანი და სხვა.

(მაგალითისთვის: ისტორიული, მითოლოგიური, კინო გმირები, განმანათლებლები, პოლიტიკოსები და პრეზიდენტები, უცნობი გმირები, რომელთა გმირობაც საზოგადოებისთვის არ არის ფარ-

თოდ ცნობილი — მაგ ირენა სანდლერი, მეცენატები: დ. სარაჯიშ-ვილი, ძმები ზუბალაშვილები და სხვ.)

აქტივობა 3.

ამის შემდეგ, სთხოვეთ მოსწავლეებს დაფაზე დაწერილი სიიდან ამოირჩიონ ერთი და შემდეგ მოუყვნენ მეწყვილეს მის შესახებ. 3-4 წუთის შემდეგ შეცვალონ როლები და მოუსმინონ მეორეს.

სთხოვეთ წყვილს მათი ისტორიებიდან აირჩიონ რომელიმე ერთი. შემდეგ, შეუერთდნენ სხვა წყვილს. მოისმინონ მათი ერთი ისტორია და მოუყვნენ საკუთარი. ამის შემდეგ, ისევ შეაერთეთ ჯგუფები ისე, რომ საბოლოოდ მიიღოთ ორი ან სამი ჯგუფი. რის შემდეგაც მათ უნდა გაუზიარონ საკუთარი არჩევანი/ ამბავი ერთმანეთს.

შეჯამება: საბოლოოდ, თქვენ ისმენთ კლასიდან არჩეულ 3-4 ისტორიას, რომელიც უნდა გამოიყენოთ საკითხის შეჯ-ამებისთვის შემდეგ გაკვეთილზე.

გაკვეთილი 21.
თვისებები, რომლებიც მოგვწონს.

მიზნები:

ამ გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები შეძლებენ:

- ჩამოთვალონ ადამიანის ის დადებითი თვისებები, რომელიც მოსწონთ. განსაზღვრონ რა გავლენას ახდენს ეს თვისებები სწორი არჩევანის გაკეთებაზე;
- იმსჯელონ, როგორ შეიძლება გამოიმუშავონ ეს თვისებები.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1.

დაფაზე გააკარით დიდი თეთრი ფურცელი. სთხოვეთ მოსწავლეებს წინა გაკვეთილიდან გაიხსენონ ისტორიები, რომლებიც მოისმინეს.

1. ადამიანის რა თვისებები აღმოაჩინეს მათ მოსმენილ ამბებში?
2. რა საერთო თვისებები ჰქონდათ მათ მიერ არჩეულ საერთო?
3. რატომ მოგვწონს ეს თვისებები?

მოსწავლეთა ნააზრევი გადაიტანეთ ფურცელზე.
ჩამონათვალი შესაძლოა შეიცავდეს შემდეგ მოსაზრებებს:

- პატიოსანი/გულწრფელი;
- სანდო;
- ვინც წარმატებას თავისით მიაღწია;
- დახმარებას უწევს და ზრუნავს ოჯახზე და ხალხზე;
- მორწმუნე;
- გაჭირვებულის დამხმარე;
- პოპულარული.
- ქველმოქმედი

აქტივობა 2.

სთხოვეთ მოსწავლეებს ისაუბრონ იმ თვისებებზე, რომელებიც მოსწონთ სხვა ადამინებში. ისაუბრონ იმაზე თუ როგორ აპირებენ

ამ თვისებების გამომუშავებას? ჰკითხეთ მოსწავლეებს: „ამ პიროვნებების გამოცდილება, გეხმარებათ სწორი არჩევანის გაკეთებასა და სირთულეების თავიდან არიდებაში?“ ესაუბრეთ მოსწავლეებს იმაზე, რომ მათ უნდა დაიწყონ ამ თვისებების გამომუშავება, რათა ჩამოყალიბდნენ ჯანსაღ, ძლიერ, ბედნიერ მოზარდებად.

აქტივობა 3. შეჯამება. ყველა მოსწავლეს სთხოვეთ მოიფიქრონ ერთი რამ, რაც შეიძლება მოიმოქმედონ, რათა მეტად დაემსგავსონ იმ პიროვნებას, ვინც ყველაზე მეტად მოსწონთ და ვისითაც აღფრთოვანებულები არიან.

(კლასის შესაძლებლობებიდან გამომდინარე შესაძლოა მასწავლებელმა განიხილოს ილია ჭავჭავაძის, მაჰათმა განდის, მარტინ ლუთერ კინგის, ან სხვა საზოგადო მოღვაწის მაგალითი)

გაკვეთილი: 22
განსხვავებული მოსაზრება - ჩხუბის გარეშე

მიზანი: ბავშვებმა უნდა გააცნობიერონ, რომ:

- ყველას აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი აზრი;
- ფიქრისათვის საჭიროა დრო;
- ერთსა და იმავე საკითხზე შეიძლება არსებობდეს ბევრი მოსააზრება და ყველა იყოს სწორი.

რესურსები:

- დიდი თეთრი ფურცლები;
- დაფა, ცარცი, მარკერები;
- სხვადასხვა ჟურნალებიდან ამოჭრილი სიტუაციები ან ილუსტრაციები.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1.

მასწავლებლი სთხოვს მოსწავლეებს იფიქრონ, რასთან ასოცირდება მათთვის წითელი და ლურჯი ფერები? (2 წთ.)

თითოეული მოსწავლე დაასრულებს წინადადებას – „მე ვფიქრობ, წითელი არის...“

„მე ვფიქრობ ლურჯი არის...“

(მასწავლებელი აფიქსირებს დაფაზე მოსწავლეთა მოსაზრებებს და აჯამებს, იმ პრინციპით, რომ თითოეული მათგანი იყოს განსხვავებული , მაგრამ სწორი).

აქტივობა 2. (ჩვენი აზრით ეს ..)

მასწავლებელი აჩვენებს ნახატს ან სურათს გაზეთიდან ან ჟურნალიდან და ეკითხება ბავშვებს, რას ფიქრობენ. ბავშვებმა უნდა დაიწყონ მსჯელობა ასე: „ჩემი აზრით ეს.. “ (ეს სავარჯიშოც ჯამდება მასწავლებლის მიერ, რომ მათ აზრები იყო საიტერესო, განსხვავებული, მაგრამ სწორი)

აქტივობა 3. (მე შეიძლება შევიცვალოAაზრი)

მასწავლებელი ძაღლისა და კატის სურათს ათავსებს საკლასო ოთახის სხვადასხვა მხარეს.

პედაგოგი სთავაზობს ბავშვებს აირჩიონ ცხოველი, რომელიც მოსწონთ და დაიკავონ მისი მხარე. შემდეგ, მასწავლებელი დაფას ყოფს ორ ნაწილად და სთავაზობს ჯგუფებს მოიფიქრონ, რატომ მოსწონთ ის ცხოველი, რომელიც აირჩიეს და მათ მოსაზრებებს აფიქსირებს დაფაზე. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რა არ მოსწონთ იმ ცხოველის, რომელიც არ აირჩიეს და ამ მოსაზრებებსაც აფიქსირებს დაფაზე.

პედაგოგი კითხულობს ყველაფერს, რაც დაფაზეა დაწერილი და ეკითხება მოსწავლეებს: –„ვინმემ აზრი ხომ არ შეიცვალა?“ თუ ვინმემ შეიცვალა აზრი, შეიძლება გადავიდეს მეორე ჯგუფში. შეჯამება ხდება, იმ პათოსით, რომ გადაწყვეტილება და ფიქრი დროს მოითხოვს და ჩვენ შეიძლება აზრი შევიცვალოთ.

გაკვეთილი 23
როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები.

დრო: 2 გაკვეთილი

მიზნები:

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები შეძლებენ

- გააცნობიერონ კონფლიქტის რაობა, მისი გამომწვევი მიზეზები;
- გაეცნონ კონფლიქტის გადაჭრის გზებს.

რესურსები:

- დაფა, ცარცი.

მსვლელობა:

აქტივობა 1.

მასწავლებელი ეკითხება კლასს. რა შეიძლება მოხდეს, როცა ადამიანები ვერ უგებენ ერთმანეთს ან აქვთ ერთმანეთთან შეუთავსებელი მოსაზრებები/? სავარაუდო პასუხები იწერება დაფაზე. (ჩხუბი, დაპირისპირება, კამათი, კონფლიქტი და ა. შ.)

რის გამო შეიძლება ადამიანები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ? მიზეზები იწერება დაფაზე. მასწავლებელის აჯამებს მოსწავლეთა მოსაზრებებს მინი ლექციით თემაზე კონფლიქტები.
(იხ. დანართი 1.)

აქტივობა 2.

მოსწავლეები იყოფიან 4 ჯგუფად. (მოსწავლეები, მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები)

თითოეული ჯგუფი განიხილავს ერთსა და იმავე სიტუაციას, რომელიც უნდა განიხილოს სხვადასხვა როლიდან გამომდინარე.

სიტუაცია: *ერთ სკოლაში მოსწავლები თვლიდნენ, რომ მასწავლებლები მათ მკაცრად ექცეოდნენ და ბევრ დავალებებს აძლევდნენ, ხოლო მასწავლეებლებს მიაჩნდათ, რომ მოსწავლეები სათანადოდ არ ასრულებდნენ თავის მოვალეობებს. მოსწავლეები ცუდად იქცეოდნენ და მუდმივად ცდილობდნენ გაკვეთილის ჩაშლას. დირექტორმა გადაწყვიტა ერთი კვირით გაერიცხა რამდენიმე მოსწავლე და სკოლაში დარჩენილებს მკაცრად მოსთხოვა დისციპლინის დაცვა. საქმეში უკმაყოფილო მშობლებიც ჩაერთნენ.*

აქტივობა 3.

მოსწავლეები იყოფიან 4 ჯგუფად. თავიანთი როლიდან გამომდინარე ემზადებიან საერთო შეხვედრის მოსაწყობად და ამზადებენ თავიანთი ინტერესების შესაბამის ტექსტს ისე, რომ აუცილებლად გაითვალისწინონ სხვა ჯგუფების მოთხოვნები. ირჩევენ ერთ წარმომადგენელს, რომელიც წარადგენს ამ მოთხოვნებს საერთო კრებაზე.

აქტივობა 4.

როლური თამაში: მასწავლებელი დგამს 4 სკამს და იწვევს თითოეული ჯგუფიდან ერთ არჩეულ წარმომადგენელს საერთო შეხვედრაზე. თითოეულ წარმომადგენელს ეძლევა 3 წუთი მოსაზრებების ჩამოსაყალიბებლად. სხვა ჯგუფებმა ყურადღებით უნდა მოუსმინონ წარმომადგენლებს და შეაფასონ თითოეული ჯგუფის წარმომადგენლის გამოსვლა შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- ობიექტურად წარმოადგინა ჯგუფმა საკუთარი პოზიცია?
- სხვა ჯგუფის ინტერესებიდან რა გაითვალისწინეს და რა არა?

მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა გამოსვლას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როდესაც საქმეში ჩართულია სხვა მხარის ინტერესები, აუცილებელია მათი გათვალისწინება. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტის ვერ მოგვარდება და შეიძლება იგი უფრო გამძაფრდეს.

გაკვეთილი 24.
როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები (გაგრძელება)

მიზანი:

- მოსწავლებებმა შეძლონ კონფლიქტის კონსტრუქციული მოგვარება.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1.

მასწავლებელი სთავაზობს ჯგუფებს ახალ როლს. კლასს ყოფს 2 ჯგუფად. თითოეულს აძლევს შემდეგ დავალებას:

ჯგუფი 1: წარმოიდგინეთ, რომ ხართ განათლების ექსპერტები და უნდა შეეცადოთ დაეხმაროთ სკოლას კონფლიქტის მოგვარებაში.

ჯგუფი 2. იფიქრეთ, რა შეიძლება გაითვალისწინოთ სხვა ჯგუფის მოთხოვნებიდან, რაც დაგეხმარებათ კონფლიქტის მოგვარებაში.

ჯგუფები ასრულებენ დავალებას და აკეთებენ პრეზენტაციას;

აქტივობა 2.

მასწავლებელი დაფაზე წერს ეტაპებს, რომელიც გიარეს ჯგუფებმა საერთო ენის გამონახვამდე.

1. მოდავე მხარეების მიერ ურთიერთ-პრეტენზიების ჩამოყალიბება;
2. პრეტენზიის მიზეზების ახსნა;
3. კონფლიქტის შედეგების გაცნობიერება;
4. შესაძლო დათმობების მოფიქრება;
5. კომპრომისის მოძიება;
6. მიღწეული შედეგების დაფიქსირება

აქტივობა 3.

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება: რაში გამოგვადგება ეს უნარ- ჩვევები საკუთარი პრობლემების მოგვარებისას? გაიხსენეთ კიდევ რა შეიძლება გააკეთოთ კონფლიქტურ სიტუაციაში. მასწავ-ლებელი ეხმარება მათ გაცნობიერონ კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სხვადასხვა სტრატეგიები და ხაზავს დაფაზე თომასისა და ქილმენის სქემას: (იხ. დანართი 2.)

(განრიდება, შეგუება, კონკურენცია, თანამშრომლობა, კომპრო-მისი) მოსწავლეები ერთობლივად მსჯელობენ როდის არის უკე-თესი თითოეული მათგანის გამოყენება.

მასწავლებელი ეხმარება მათ დასკვნების გამოტანაში და აჯ-ამებს გაკვეთილს.

დანართი 1.

რა არის კონფლიქტი

ადამიანებს აქვთ საკუთარი ფასეულობები, რომლებიც წარმარ-თავენ მათ აზროვნებას და ქცევას. მის საფუძველზე დგამენ შე-საბამის ნაბიჯებს, ან თავს იკავებენ გარკვეული ქმედებებისაგან. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ადამიანების ურთიერთობისას ხშირად თავს იჩენს განსხვავებული შეხედულებები სხვადასხვა საკითხზე. ეს თავის მხრივ იწვევს ურთიერთობებში პრობლემის გაჩენას, რო-მელიც მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას. საერთოდ ცხოვრება გადაწყვეტილებათა მიღების უწყვეტი პროცესია. მთავარია, მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არ გამოიწვევს ადამიანების და-პირისპირებას, ანუ კონფლიქტს.

და მაინც რა არის კონფლიქტი?

კონფლიქტი არის ურთიერთმიმართება ორ ან ორზე მეტ ისეთ მხ-არეს (პიროვნებასა ან ჯგუფს) შორის, რომელთაც აქვთ, ან ფიქრო-ბენ, რომ აქვთ, ურთიერთშეუთავსებელი მიზნები.

კონფლიქტი -ლათინური წარმოშობის სიტყვაა და სიტყვა-სიტყ-ვით ნიშნავს შეჯახებას.

ადამიანს ხშირად უჭირს საკუთარ თავში გარკვევა. პიროვნების შინა-

განი კონფლიქტების ტიპებია:

1. **მოტივაციური** — (მინდა-არ მინდა); ამას ხშირად ეძახიან ბურიდანის ვირის პოზიციას;
2. **ზნეობრივი** — (მინდა-საჭიროა);
3. **განუხორციელებელი სურვილების** — (მინდა-შემიძლია?);
4. **როლური** — (განცდები რამოდენიმე როლის ერთდროულად შესრულების შეუძლებლობისა);
5. **ადაპტაციური** (შემგუებლური) — (საჭიროა- შემიძლია საჭიროების ფარგლებში);
6. **თვითშეფასების არაადექვატურობა** — შემიძლია: ა) ან ძალიან ბევრი; ბ) ან ძალიან ცოტა).

გამოდის, რომ კონფლიქტები ჩვენი ცხოვრების განუყრელი ნაწილია, როგორც საზოგადოებრივ ისე პირად ურთიერთობებში. კონფლიქტები ბუნებრივია ხდება სკოლაში მასწავლებელსა და მოსწავლეს, მოსწავლეებს, მოსწავლეთა ჯგუფებს (კლასებს) შორის. კონფლიქტი შეიძლება იყოს ფარული, ღია ან ზედაპირული.

სქემა-7

ფარული კონფლიქტი	ღია კონფლიქტი	ზედაპირული კონფლიქტი
არ ჩანს ზედაპირულ დონეზე და შესაძლოა საჭიროებდეს გამოაშკარავებას	**ღრმა ფესვებიც აქვს,** ზედაპირზეც ადვილად შესამჩნევია და საჭიროებს ისეთი ზომების მიღებას, რაც შეეხებოდა, როგორც სიღრმისეულ მიზეზებს ისევე, გარეგნულ გამოვლინებებს.	**სუსტი ფესვები აქვს** ან სულაც არ გააჩნია. ის შეიძლება გამოწვეული იყოს მიზანთა? გაუგებრობით და ამიტომ შეიძლება მოგვარდეს კომუნიკაციის გაუმჯობესებით.

დანართი 2.

კონფლიქტის მოგვარების თომასისა და ქილმენის კლასიფიკაცია

„ყველაზე ძლიერი ის არის, ვისაც საკუთარი თავის მართვა შეუძლია”.

სენეკა

სენეკას სიტყვები შეიძლება დევიზად იქცეს მოსწავლეთათვის კონფლიქტური სიტუაციების გარჩევისა და გაანალიზების დროს. მოსწავლეებს ესაჭიროებათ ცოდნა ყველა შესაძლო სტრატეგიისა, რომლითაც **შეიძლება სხვადასხვა შედეგამდე მისვლა. ადამიანი სხ-**ვადასხვა სიტუაციაში იყენებს განსხვავებულ სტრატეგიას, რადგან სტრატეგიის **შერჩევა დამოკიდებულია იმ მიზანზე, რომლის მიღწ-**ევაც სურთ . ერთი მიზანია საქმე, მეორე — ურთიერთობები. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ხუთი განსხვავებული სტრატეგიით მოქმედება:

გაკვეთილი 25
თაობათა შორის ურთიერთობები

მიზანი:

ამ გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ დაამყარონ

- ერთმანეთთან და უფროსებთან კონსტრუქციული ურთიერთობები;

რესურსები:

- დაფა, ცარცი, ზღაპარი ,,ნაცარქექია“

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1. *Aმასწავლებლის მინი ლექცია*

ურთიერთობები სხვადასხვა ასაკის ადამიანებს შორის ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხია. უფროსებსა და უმცროსებს განსხვავებული შეხედულებები და ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ, რაც მათ შორის გაუგებრობისა და კონფლიქტის საფუძველი შეიძლება გახდეს.

აქტივობა 2.

წაიკითხეთ ზღაპარი ,,ნაცარქექია“ და მასზე დაყრდნობით შეავსებინეთ მოსწავლეებს ცხრილი;

ცხრილი 1.

ა) ჩამოწერეთ ზღაპარში ასახული პრობლემები	რა არის ამ პრობლემის წარმოშობის მიზეზი?

ცხრილი 2.

ა) პრობლემის გადაჭრის ხელის შემწყობი ნაბიჯები	მათი შედეგები

ცხრილი 3.

გ) პერსონაჟების გამონათქვამები, რომლებიც პრობლემური სიტუაციის შექმნას განაპიროებდა	პერსონაჟების გამონათქვამები, რომლებიც დამოკიდებულების გამოსწორებას გამოხატავდა

დანართი

ქართული ხალხური ზღაპარი

ნაცარქექია

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ზარმაცი და მუქთამჭამელი კაცი. ცისმარე დღე კერასთან იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ქექავდა. სწორედ ამიტომ ხალხმა ნაცარქექია შეარქვა. ნაცარქექიას კარგი მეოჯახე ძმები ჰყავდა. კაცო, სულ რომ ნაცარს უზიხარ, ან ჭამა არ გინდა, ან სმა, - ეუბნებოდნენ ყოველდღე, - ადექი, გაისარჯე, იქეთ მიდექ, აქეთ მოდექ და ოჯახში რამე შემოიტანე, თორემ იცოდე, ჩვენ შენი რჩენის თავი აღარა გვაქვს და სახლიდან გაგაგდებთო . მაგრამ ნაცარქექია ძმების მუქარას ერთ ყურში რომ შეუშვებდა, მეორიდან გამოუშვებდა. მობეზრდათ ძმებს მისი უსაქმურობა და ერთ მშვენიერ დღეს მართლაც გააგდეს სახლიდან. ერთი ხბოს გუდა ნაცრით გაუტენეს და ზურგზე აჰკიდეს, ხელში ჩხირი მისცეს, ჩოხის

კალთაში საგზლად ჭყინტი ყველი გამოუხვიეს და გაისტუმრეს. თან გააფრთხილეს: ამ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გაშორდი, აქ არ დაგიგულოთ, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებთო. კარგითო, - უთხრა ნაცარქექიამ, - ვეცდები, რაც შეიძლება შორს წავიდეო, - და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ უშველებელ მდინარეს მიადგა. შეეშინდა ნაცარქექიას წყალში გასვლისა და მდინარის პირას მხართეძოზე წამოწვა, - იქნებ ვინმემ გამოიაროს და გამიყვანოსო. თურმე ეს მდინარეცა და ადგილიც ცხრათავიანი დევის სამფლობელო ყოფილა. საღამო ხანზე მოადგა დევი გაღმა ნაპირიდან მდინარეს და დაუწყო წყალს ხვრეპა. დაინახა ნაცარქექიამ და ხაფი ხმით გასძახა: ჰეი, რომელი ხარ, ახლავე აქ გამოდი, მხარზე შემისვი და გაღმა გამიყვანე, ფეხის დასველება მეზარებაო! დევს ძალიან გაუკვირდა, აქ ჩემი შიშით გოლიათებს ვერ გაუვლია და ეს ჭინჭრაქა რის პატრონია, ამას რომ მიბედავსო, და გამოსძახა: ვინა ხარ, რა სულიერი ხარ და მაგ თავხედობას როგორ მიბედავო? ნაცარქექია დიდი მკვეხარა და ბაქიბუქაც იყო. შორიდან ისეთ ტრაბახს ატეხდა, რომ კაცს გორის მდრეკავი ეგონებოდა. შემოიყარა დოინჯი და გასძახა დევს: აი, შე ქინქლავ, შენა! ერთი არ მებრალებოდე და გიჩვენებდი, ვინცა ვარ. მაგრამ იცოდე, თუ ჭკუით არ იქნები, ასეთ თავხედობას მეორედ აღარ გაპატიებ. შე ბრიყვო და ბაბაყურო, ხაბირიკა არ გაგიგონია, ნაცარყლაპია, ჩხირით მებრძოლი? მე სწორედ ისა ვარო! არ მინდა ქვეყანა დავაქციო, თორემ ისეთი ღონე მაქვს, დედამიწას რომ ხელი მოვავლო, ზეცას შევტყორცნი და ნაცარ-მტვრად ვაქცევო. თუ გინდა შეევეჯიბროთ და ერთმანეთი ღონეში გამოვცადოთ! შენ მანდ აიღე ქვა, მე აქ ავიღებ, მოვუჭიროთ ორივემ ხელი და, ვინც წვენი გაადინოს, გამარჯვებულიც ის იყოსო. აიღო დევმა ქვა, მოუჭირა ხელი და სულ დაფშვნა, მაგრამ წვენი ვერ გამოადინა. დაიხარა ნაცარქექია, ვითომ ქვას ვიღებო, ამოიღო ჩოხის კალთაში გამოხვეული ჭყინტი ყველი, მოუჭირა ხელი და წვენი სულ წურწურით გაადინა. გაუკვირდა დევს, ეს ვინა ყოფილაო?! აბა, ახლა სირბილში გამოვცადოთ ერთმანეთი, - გასძახა ნაცარქექიამ, - გავიქცეთ რიყეზე შენ მაქეთ, მე აქეთ — და ვინც მეტ მტვერსა და კორიანტელს აადენს, ბიჭიც ის იყოს და ქუდიც იმას ეხუროსო! გაძუნძულდა დევი იქითა ნაპირზე და რიყის ქვებს სულ ხრაშახრუში დააწყებინა, მაგრამ მტვერი ვერა და ვერ აადინა. რიყის ქვებს ან რა მტვერი აუვიდოდა! ნაცარქექიამ კი მოიხსნა ნაცრიანი გუდა, გაკუნკულდა ნაპირზე და თან ნაცარი მიმოაბნია. ისეთი მტვერი და

კორიანტელი ააყენა, რომ დევმა ველარაფერი დაინახა. შეშინდა დევი, ეს მართლაც უძლეველი კაცი ჩანსო, - თქვა გულში და გაღმა ნაპირზე გავიდა, მორჩილად ეახლა ნაცარქექიას, დაიღუნა და მხარზე შეისვა. შუა მდინარეში რომ შევიდნენ, დევმა, როგორც იქნა, გაუბედა და ჰკითხა: ბატონო, ხაბირიკავ, ნაცრიყლაპიავ და ჩხირით მებრძოლო, ასეთი ღონის პატრონი, როგორღაც მეტისმეტად მსუბუქი მეჩვენებიო. რაო? მსუბუქიო? ხა, ხა, ხა, - გადაიხარხარა ნაცარქექიამ, - შენ რომ ჩემი სიმძიმის ამბავი იცოდე, მაგ სისულელეს აღარ წამოროშავდი. რაკი დედამიწას ჩემი ტარება უჭირს, ცაში ღმერთს უხილავი თოკით ვუჭერივარ, თორემ ჩემი სიმძიმე ქვესკნელში ჩაგიტანდაო. დევს ეჭვი შეეპარა, ამ ერთ ციცქნას ისეთი რა სიმძიმე უნდა ჰქონდესო, და ნაცარქექიას მოკრძალებით უთხრა: აბა, ასძახე ღმერთს, რომ სულ ოდნავ შეგიშვას ხელი, მინდა შენი სიმძიმე გავიგოო. ღმერთო მწყალობელო, აბა, ცოტათი მოუშვი თოკი, რომ ამ ბრიყვსა და ავყიას ენა დავამოკლებინოო! — ასძახა ცისკენ ნაცარქექიამ, ჩუმად კი ამოიღო შვინდის გამხმარი ჩხირი და დევს კისერში დააჭირა. დევს ეგონა, მთელი ზეცა ზედ დამაწვაო და შეშინებულმა, მართლა ქვესკნელში არ ჩამაძვრინოსო, ხვეწნა დაუწყო: შენი ჭირიმე, უთხარი ღმერთს, ისევ აგწიოს, თორემ მეტის ატანა აღარ შემიძლიაო. მოაშორა ნაცარქექიამ ჩხირი და დევიც ისევ გაიმართა წელში. ახლა ხომ დარწმუნდი, რა სიმძიმეც მქონიაო? — ჰკითხა ნაცარქექიამ. მართლაც მეტისმეტად მძიმე ყოფილხარო, - უპასუხა დევმა და შინ მიიპატიჟა. ნაცარქექია ტახტზე დასვა, თვითონ კერა გაახურა და ცომი მოზილა. გააკეთა ერთი უშველებელი ხმიადი, ჩადო კეცში, ცეცხლს მიუფიცხა და ნაცარქექიას უთხრა: თუ უკაცრავად არ ვიყო, ამ პურზე თვალი გეჭიროს, რომ არ დაიწვას, მე ტყეში წავალ და სავახშმოდ ბარემ ნანადირევსაც მოვიტანო. დევი წავიდა. ხმიადს ცალი გვერდი რომ დაებრაწა, ნაცარქექიამ იფიქრა, ახლა კი გადაბრუნების დროაო, და დაუწყო საკეცით წვალება. წვალება-წვალებაში კეცი წამოიქცა და ნაცარქექია ქვეშ მოიყოლა. წვალობს ნაცარქექია, აფხარკალებს ფეხებს, ხვნეშის, ოხრავს, ქშინავს, მაგრამ კეცს ძვრას ვერ უშვრება. დაიღალა და შეშინებულმა ფერიც დაკარგა. მოვიდა დევი და, ნაცარქექია რომ ამ ყოფაში დაინახა, გაკვირვებულმა ჰკითხა, - რა დაგმართნიაო? რა უნდა დამმართნოდა? — შეუტია ნაცარქექიამ, - ცოტათი მუცელი წამომტკივდა და ცხელი კეცი დავიდევი. ახლა უკვე კარგად ვარ, მოდი და ამაცალეო.

დევმა კეცი ააცალა და ნაცარქექიაც წამოდგა. ხმიადი გამოცხვა, ნანადირევიც მოხარშეს და ვახშამს შემოუსხდნენ. პურის ჭამაში დევმა ცხვირი დააცემინა და სტუმარი ჭერში შეაგდო. გულგახეთქილი ნაცარქექია თავხეს ჩაეჭიდა და ფხარკალი დაიწყო. მანდ რას აკეთებო? — ჰკითხა დევმა. რას ვაკეთებ და, აი ეს წკეპლა უნდა გამოვიღო და გვერდები აგიჭრელო, როგორ გაბედე ჩემთან ცხვირის დაცემინებაო?! ღმერთო, ეს ვინა ყოფილა?! — გაოცდა დევი, ამოდენა თავხე მე ძლივს ბოძებზე ავიტანე და ეს კი წკეპლას ეძახის და გამოძრობას უპირებსო. აქაურობას თუ არ გავეცალე, ერთხელაც იქნება, რამეს მიშარებს და ცოცხალი ველარ გადავურჩებიო. — დაჰკრა დევმა ფეხი და ცხრა მთას იქით გადაიხვეწა. დევის სახლ-კარი და სიმდიდრე მთლიანად ნაცარქექიას დარჩა, წავიდა, ძმებიც იქ მიიყვანა და უთხრა: ძმებო, მუქთახორობისათვის თქვენ სახლიდან გამაგდეთ, სულ იმას მაყვედრიდით, ოჯახში არაფერი შემოგაქვსო. აი, ახლა ჩემს წილად ეს სახლ-კარი და ქონება-ცხოვრება შემომაქვს, ეს ყველაფერი თქვენთვის დამითმია, ოღონდ ლუკმაპურს ნუღარ დამაყვედრით და ნურც ნაცრის ქექვას დამიშლითო. გადაულოცა ნაცარქექიამ დევის სახლი და სიმდიდრე ძმებს, თვითონ კი აიღო ჩხირი, მიუჯდა კერას და ისევ ნაცრის ქექვა დაიწყო.

გაკვეთილი 26
დისკუსიის წესების მიღება

მიზნები:

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები შეძლებენ

- დისკუსიის წესების ჩამოყალიბებას;
- შეთანხმების მიღწევას;
- კონფლიქტური სიტუაციების აღმოჩენას;
- კომპრომისის გამოყენებას კონფლიქტების დროს.

რესურსები:

- დაფა, ცარცი;
- ფოტოებისა და სურათების ქსეროასლები.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1.

მოსწავლეებს ვურიგებთ სურათებს, ვთხოვთ მათ ეს სურათები დაალაგონ ორ ჯგუფად. პირველში მოათავსონ ის სურათები, სადაც მათი აზრით, ხალხი კეთილად არის განწყობილი ერთმანეთისადმი, მეორეში პირიქით.

აქტივობა 2.

ვაძლევთ ფურცელს, სადაც ჩამოწერილია წესები და ვთავაზობთ მოსწავლეებს, ეს წესები ამოიცნონ სურათებში და დაუკავშირონ მათ.

აქტივობა 3.

ამოირჩიეთ ის წესები, რომლებიც დაგჭირდებათ დისკუსიის გამართვისას და ჩამოწერეთ დაფაზე;

ამოირჩიეთ რაიმე პრობლემა, რომელიც კლასში შეგექმნათ და შეეცადეთ უკვე შერჩეული წესების დაცვით მიაღწიოთ მთელი კლასისათვის მისაღებ გადაწყვეტილებას.

გაითვალისწინეთ:

- ჩვენ გვესაჭიროება დისკუსიის ისეთი წესები, რომ ყველამ მიიღოს მონაწილეობა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა გავითვალისწინოთ თითოეულის შეხედულება.

ჩვენ ვუსმენთ ყურადღებით	ვიდრე საუბარს დავიწყებთ, ჩვენ ვაცლით სხვებს დაამთავრონ სათქმელი
როცა ვინმე ჯგუფს ესაუბრობა, მე შემიძლია ვესაუბრო ჩემს მეგობარს	ჩვენ ვფიქრობთ, ვიდრე საუბარს დავიწყებთ
როცა არ გვინდა დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, შეგვიძლია ვითამაშოთ	ჩვენ შეგვიძლია გავიცინოთ იმაზე, ვინც დაუშვებს შეცდომას

იმსჯელეთ რაში დაგეხმარათ ეს წესები?

გაკვეთილი 27
რატომ ვიცავთ გარემოს?

დრო: 2 აკადემიური საათი

მიზანი:

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები შეძლებენ:

- გარემოს შესახებ სწორი შეხედულების ჩამოყალიბებას;
- გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის ჯანსაღი წესის დაცვას შორის ურთიერთკავშირის აღმოჩენას;
- გარემოს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას;
- გარემოზე ზრუნვისა და მისი დაცვის საწყისი უნარ — ჩვევების ჩამოყალიბებას.

რესურსები:

სამუშაო ფურცლები, წიგნი, მარკერები, დიდი ზომის ფურცლები. წიგნი და დამხმარე ლიტერატურა, სადაც საუბარია გარემოს და ადამიანის ჯანსაღი ცხოვრების წესზე (მაგ. მოსწავლის წიგნი ტოლერანტობის პროგრამიდან ჩვენი ეზოს ამბები")

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1.

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის მიზნებს და სთხოვს, ჩამოთვალონ გარემოს სხვადასხვა ტიპი. პასუხები ფიქსირდება დაფაზე. მასწავლებელი ხაზავს ორსვეტიან ცხრილს.

უშუალო გარემო	**გლობალური გარემო**

პირველში დააჯამებს და პასუხებიდან გამოყოფს ისეთებს, რომელებიც უკავშირდება მოსწავლის უშუალო გარემოს (სამუშაო სივრცე, სახლის გარემო, სკოლის, კლასის სათამაშო სივრცე. ხოლო მეორე სვეტში ისეთი მნიშვნელობის პასუხებს, რომელშიც შეიძლება

ვიგულისხმოთ მიწა, ჰაერი და წყალი, მთა, ანუ გლობალური გარემო.

აქტივობა 2.

როდის არის გარემოს დაცვის დღე (პასუხი ფიქსირდება დაფაზე, რომ ეს არის 5 ივნისს)

როგორ ფიქრობთ, რატომ გვესაჭიროება გარემოზე ზრუნვა? M

აქტივობა 3.

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ტექსტს, სადაც საუბარია, ბუნების დაბინძრებაზე. (მაგალითისთვის იხილეთ დანართი 1) შემდეგ ხდება სიტუაციის განხილვა.: „როგორ ფიქრობთ, რა ზიანი შეიძლება მოუტანოს გარემოს?“ მასწავლებელს გადაყავს საუბარი იმაზე, თუ რა ზიანი შეიძლება მიადგეს თითოეულ მათგანს გარემოს დაბინძურებით. დისკუსიის დროს მოსწავლეები საუბრობენ, თავად როგორ იქცევიან, როდესაც ექსკურსიაზე მიდიან ბუნებაში:

- ნაგავს ვაგროვებ და ვწვავ;
- ვაგროვებ და იქვე ვტოვებ პოლიეთილენის პარკით;
- არ ვაგროვებ და ვტოვებ ისე;
- არ ვიცი რა ვუყო ნაგავს, როდესაც ახლომახლო სანაგვე ურნა არ არის;
- არ ვაგროვებ რადგან მეც დაბინძრებული დამხვდა;

აქტივობა 4.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს მუშაობას ჯგუფებში: მოიფიქრონ ზემოთ განხილული ტექსტის განსხვავებული დასასრული: როგორ ჯობდა, რომ მოქცეულიყვნენ ბავშვები?

აქტივობა 5.

შესრულებული ნამუშევრების პრეზენტაცია. მოსწავლეები კითხულობენ თავიანთ გადაწყვეტილებებს, რომელიც გადაიტანეს დიდ საწერ ფურცელზე, გამოაკრავენ კლასში და ათვალიერებენ ერთმანეთის ნამუშევრებს.

დანართი 1
(ტექსტი ამოღებულია ფორუმიდან)

საქართველოს სალაშქრო და საექსკურსიო ადგილებში ძალიან ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ. სადაც არ უნდა წახვიდე, ადგილების უმეტესობა ნაგვითაა სავსე; მხოლოდ მიწაზე კი აარ ყრია, პოლიეთილენის პარკები, ქაღალდის ნაგლეჯები ქარს მიაქვს და ირგვლივ ბუჩქები და ხეები საახალწლო ნაძვის ხესავით არის მორთული.

რამდენიმე დღის წინ რკონის ხეობაში ვიყავი ლაშქრობაზე. ერთაწმინდიდან მონასტრამდე 18 კმ სიგრძის გზა ფეხით ავიარეთ, ამ 18 კმ-ზე უამრავი ადგილი შეგხვდა, სადაც ხალხს ექეიფა, კოცონი დაენთო, ირგვლივ კი უხვად დაეყარა ცელოფნის პარკები, სხვადასხვა გამაგრილებელი სასმელის ბოთლები, თუნუქის ქილები, ერთჯერადი ჭიქები და თეფშები, ელემენტები და ა.შ. მოკლედ, მთელი გზა სოფლიდან მონასტრის ტერიტორიამდე ნაგვით იყო სავსე. მონასტრის ტერიტორია შედარებით სუფთა იყო, მაგრამ აქაც შეგვხვდა გზაზე დაგდებული, ბავშვისთვის გამოცვლილი, ჭუჭუყიანი პამპერსი, ნაგავიც არის და ნაგავიც, რა.

მონასტრიდან საკმაოდ შორს წავედით, თუმცა ადამიანის ნაკვალევი იქაც მრავალგან შეინიშნებოდა პოლიეთილენის პარკების, ბოთლების, კამფეტის ქაღალდების სახით. როგორც ჩანდა, ბევრ ,,დალიე და დააგდე" / ,,შეჭამე და დააგდე" ადამიანს გაევლო იმ გზაზე.

ასეთი მდგომარეობა იყო იმ ადგილებშიც, სადაც, როგორც ჩანდა, დიდი ტურისტული ბანაკები იყო მოწყობილი.

ნუთუ ამხელა ბანაკებში, ამდენ ჯგუფსა და მოქალაქეს შორის, ერთი ადამიანი მაინც არ მოიძებნა, რომ მიუთითოს ნაგავი არ დაყარონ? ღორებივით იქცევიან მართლა, იქეიფებენ, ჭამენ, სვამენ, დაყრიან მერე ყველაფერს და წამოვლენ.

ზოგან კი იყო მოგროვილი პარკებში და კოხტად იდო გზის პირას, თითქოს სანაგვე მანქანა ჩამოივლიდა და წაიგებდა იმას ხო ქარი ან ცხოველი გაფანტავს.

ასეთი საქციელი ხო პირველ რიგში საკუთარი თავის უპატივცემულობაა, რა დიდი დრო უნდა შენი დაყრილი ნაგვის მოგროვებას და დაწვას? თუნდაც სხვისი დაყრილი ნაგავიც მოაგროვო ამით არაფერი არ დაგაკლდება. იქაც დასუფთავების სამსახური ხო არ ავა და მაგასაც პრეზიდენტი ხო არ მიხედავს? ჩვენვე რომ მივხედოთ იმ ადგილებს ეგეთი ძნელია?

გაკვეთილი 28
რატომ ვიცავთ გარემოს? (გაგრძელება)

რესურსები:

- სამუშაო ფურცლები;
- წიგნი;
- მარკერები;
- დიდი ზომის ფურცლები.

მიზნები: გაკეთილის ბოლოს მოწავლეები შეძლებენ

- გარემოზე ზრუნვისა და მისი დაცვის საწყისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

მსვლელობა:
აქტივობა 1.

მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს წინა გაკვეთილის თემას და ანაწილებს მათ 3 ჯგუფად, რის შემდეგაც თითოეულ ჯგუფს აძლევს შესაბამს დავალებას.

ჯგუფი 1. – „ჟურნალისტები“ (ვერბალური და ინტერპერსონალური ინტელექის მქონე მოსწავლეები) - ერთად Aამზადებენ საგაზეთო სტატიას გარემოს სისუფთავის თემაზე;

ჯგუფი 2. – „მხატვრები“ (ვიზუალურ-სივრცითი და ნატურალისტური ინტელექტის ტიპის) ხატავენ ორ პლაკატს, სადაც ერთზე დაზიანებული, დაბინძურებული გარემოა გამოსახული, ხოლო მეორეზე სუფთა და მოვლილი.

ჯგუფი 3. – „აქციის ორგანიზატორები“ (მათემატიკური და ინტერპერსონალური ინტელექტის ტიპის) მოსწავლეები გეგმავენ აქციას, რომელიც ეძღვნება დედამიწის დღეს (მსჯელობენ, რა დასჭირდებათ: რესურსები, დრო, ორგანიზება და ამზადებენ აქციის განრიგს).

მოსწავლეები ასრულებენ დავალებას და ემზადებიან პრეზენტაციისთვის.

მონაწილეები შესრულებულ ნამუშევრებს აკრავენ კლასში. ხდება მათი გამოფენა და დათვალიერება მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს, ესაუბრება ბავშვებს გარემოს დაცვის აუცილებლობაზე.

შეფასება. მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა.

გაკვეთილის 29
პროექტი -ღამურების გადარჩენა

მიზანი:

- მოსწავლეებში გარემოზე ზრუნვის უნარების განვითარება;
- პროექტის წერის უნარ-ჩვევების შეძენა.

პროექტის თემა/ სახელწოდება:

პროექტის მიზნები

გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებას იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემოს ან პირობების შექმნა, რომელიც ლოგიკურ კავშირში იქნება (მიმართული იქნება) ზემოთ აღწერილ პრობლემასთან.

გვსურს, ჩვენი აქტივობობების საფუძველზე, საზოგადოების რაღაც ნაწილი მაინც რომელზეც ხმა მიგვიწვდება, დავარწმუნოთ იმაში, რომ არ გაანადგურონ გადაშენების პირას მისული ღამურები და თვითონაც გადასცენ ამის შესახებ ინფორმაცია სხვებს.

პროექტის განაცხადის ფორმა

ა) პრობლემის დასაბუთება/ აღწერა *(არა უმეტეს ერთი გვერდისა)*

პრობლემის განსაზღვრა (არსებული სიტუაციის ანალიზი) : გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის აღწერას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული პროექტი. ეცადეთ კარგად წარმოაჩინოთ რა პრობლემის გადაჭრაზეა ორიენტირებული იგი და დაასაბუთოთ რამდენად ეფექტიანი იქნება თქვენს მიერ განხორციელებული საქმიანობა.

დედამიწაზე ბევრი ცხოველი, ფრინველი და მცენარე გადაშენების პირასაა. ისინი განსაკუთრებულ ზრუნვას და დაცვას საჭიროებენ.

ჩვენ, ვაკეთებთ პროექტს ღამურების გადარჩენაზე. ისინი არიან გადაშენების საფრთხის ქვეშ და 2011 წელი მათი დაცვის წლად იყო გამოცხადებული. მსოფლიოს ბევრი ორგანიზაცია ყველანაირად

ცდილობს ღამურების გადარჩენას. ღამურები არ გამოირჩევიან განსაკუთრებული სილამაზით ან სარგებლობით, ზოგი ბუნების შეცდომასაც კი უწოდებს მათ, თუმცა ისინი მაინც ჩვენი ბუნების ნაწილი არიან და ხელს უწყობენ მის მრავალფეროვნებას, თან სარგებელიც მოაქვთ: ანადგურებენ პატარა მწერებსა და პარაზიტებს.

ჩვენ, ადამიანები, ყველაზე გონიერი არსებები ვართ და ბევრი რამ შეგვიძლია გავაკეთოთ რათა ხელი შევუწყოთ, გადაშენების პირას მყოფი ცხოველების შენარჩუნებას. ყოველნაირად დავეხმაროთ მათ, რომ არ დავაკარგვინოთ ბუნებას სილამაზე და მრავალფეროვნება.

გ) ამოცანები:

გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მიუთითოთ რა ამოცანების გადაჭრას გეგმავთ, თქვენს პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამოდენიმე ამოცანა იმის გათვალისწინებით, თუ როგორია თქვენი პროექტის სპეციფიკა.

მიზნის მისაღწევად ვაპირებთ შემდეგი აქტივობების განხორციელებას:

- მოვიფიქროთ შესაბამისი სლოგანი;
- მოვიფიქროთ ლოგო;
- დავამზადოთ კედლის გაზეთი;
- დავამზადოთ და გავავრცელოთ ბუკლეტები;
- დავამზადებინოთ მაისურები შესაბამისი წარწერებით და სურათებით;
- სოციალურ ქსელ „facebook“-ზე შევქმნათ გვერდი ღამურების გადარჩენაზე (fan book)

დ) პროექტის ვადები:

რა დროში განხორციელდება პროექტი? როგორ განაწილდება აქტივობები დროში?

პროექტი განხორციელდება შემდეგ ვადებში:

- სლოგანის მოფიქრება და გამოცხადება – 2.05 – 7.05;
- პროექტის ლოგო – 2.05 – 7.05

- კედლის გაზეთი – 2.05 – 5. 05
- ბუკლეტების დამზადება – 5.05.05 – 9.05
- მაისურები – 2.05 – 9. 05
- ვებ/გვერდის შექმნა – 9.05

ე) განხორციელების გზები:

გულისხმობს კიდევ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენს მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები არის პროცესი, რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს:

1. **„როგორ? - როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს?**
   - *გავაცნოთ თანაკლასელებს პროექტის მიზანი და ამოცანები;*
   - *დაისახოს მიზნის მისაღწევი აქტივობები;*
   - *გადანაწილდეს დავალებები მოსწავლეებს შორის მათი შესაძლებლობების და სურვილების მიხედვით;*
   - *განვიხილოთ და შევაფასოთ მიღებული ინფორმაცია და შესრულებული სამუშაოს მიმდინარეობა;*
   - *განვათავსოთ კედლის გაზეთი სკოლის დერეფნის კედელზე;*
   - *დავარიგოთ ბუკლეტები სკოლაში;*
   - *შევქმნათ ვებგვერდი ღამურების გადარჩენაზე;*
   - *ვეცადით მოვიპოვოთ დაფინანსება, რომელიც დაგვჭირდება აქტივობების განსახორციელებლად;*
   - *დავამზადოთ მაისურები დაფინანსების მიღების შემდეგ*
   - *ვიზრუნოთ თვითდაფინანსებაზე დაფინანსების არ მიღების შემთხვევაში.*

2. **„ვინ“ - ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში? რა არის მათი ფუნქციები პროექტში?**
   - პროექტის იდეა-
   - ლოგო-;
   - სურათების დამზადება–;
   - სლოგანი – ;
   - კედლის გაზეთის დამზადება–;
   - ტექსტი კედლის გაზეთისათვის– ;

- ბუკლეტის დამზადება და დარიგება–;
- ვებ–გვერდის დამზადება–;

ვ) პროექტის სამიზნე ჯგუფი / ვინ მიიღებს სარგებელს?

(დამატებითი ცნობები თქვენი ბენეფიციარების შესახებ სასარგებლო იქნება განაცხადის განხილვისას).

- **რამდენი ადამიანი მიიღებს დახმარებას ან რაიმე სარგებელს?**

დაახლოებით 200–250

სად იმყოფებიან ეს ადამიანები?

ჩვენს სკოლასა და მის მიმდებარე თემში

ზ) რესურსები / ბიუჯეტი:

ამ ნაწილში უნდა აისახოს რა მატერიალური, ადამიანური, ტექნიკური და სხვა რესურსები გესაჭიროებათ პროექტის განხორციელებისათვის. უნდა შედგეს ბიუჯეტის ცხრილი. (გაითვალისწინეთ, თუ ვერ მიიღებთ დაფინანსებას, განაცხადში უნდა მიუთითოთ ,როგორ მოიპოვებთ თანხას)

- *პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა:*
- *ქაღალდი ბუკლეტისათვის— 1შეკვრა .*
- *მაისურების შესაძენი თანხა—*
- *ფორმატის ფურცლები*
- *დაფინანსების არ მიღების შემთხვევაში, იგეგმება თვითდაფინანსება.*
-

თ) შედეგები / მონიტორინგი:

რას მივიღებთ შედეგად, რისთვისაც განხორციელდა ეს პროექტი? როგორ მოვახერხებთ პროექტის შედეგების დაკვირვებას, ვინ განახორციელებს მონიტორინგს?

პროექტი განხორციელდა იმისათვის, რომ ადამიანები მოუფრთხილდნენ ბუნების ყველა წარმომადგენელს. შეინარჩუნონ ყველა გადაშენების გზაზე მყოფი სახეობა. მომავალ თაობებს შეუნარჩუნონ ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლები.

პროექტის შედეგს დააკვირდება: მოსწავლეთა ჯგუფი

პროექტის შესრულების განრიგი: ეს თავი უნდა შეიცავდეს პროექტის დროში განაწილებულ მსვლელობას. *(იხილეთ ცხრილი მაგალითისთვის)*

დაგეგმილი აქტივობების ცხრილი: I თვე II თვე III თვე

ვადები **1 თვე**	**ვინ განახ-ორციე-ლებს**	**აქტივობა**	**რესურსები**	**მოსალოდნელი** **შედეგი**
2.05-7.05		**აქტივობა 1. იდეა, სლოგანი, ლოგო**	—	დამზადდება სლო-განი და ლოგო
2.05-24.05		**აქტივობა 2.** კედლის გაზეთი	ფორმატის ფურცლები	გაიკვრება სკოლის კედლებზე კედლის გაზეთი
17.05-20.05		**აქტივობა3.** ვებ/გვერდის შექმნა	კომ-პიუტერი	შეიქმნება ვებ/ გვერდი
15.5-24.05		**აქტივობა 4.** ბუკლეტები	ქაღალდის ფურცლები	დარიგდება ბუკ-ლეტები სკოლის მოსწავლეებში
25.05-31.05		**აქტივობა 5.** მაისურები წარწერებით და სურათებით	მაისურები	შეძენილ იქნება მაისურები წარწერე-ბითა და სურათებით

გამოყენებული ლიტერატურა:

1 John S.Kendall and Robert J.Marzano "Content knowledge. A compendium of standards and benchmarks for K-12 Education" 1996

2 Montana office of public Instruction.(2000)Montana standards for social studies

3 Borich,G.D. Effective teaching methods. Upper Saddle River.1996

4 Devine, Thomas G. Teaching studies skills.Boston.1987

5 Reading/Language arts framework for California Public schools .Kindergarten Through Grade Twelve. Published by the California Department of Education. 1999

6 Marzano, Robert.J Reading Diagnosis and İnstruction.1987

7 http://www.unicef.org/lifeskills/index_4105.html ნანახია 2011 წლის 20 დეკემბერს

8 როგორ შევცალოთ გარემო: ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში. ევროპის საბჭო, UNICEF – Unite for Children. 2010

9 ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016-სრული ვერსია http://mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo, ნანახია 2012 წლის 10 სექტემბერს

მაია ბაქრაძე

ფსიქოლოგი, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. არის სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დოქტორანტი. ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მასწავლებელი და მასწავლებელთა ტრენერი. ბავშვთა საერთაშორისო ცენტრის (ICC) წარმომადგენელი საქართველოში. მონაწილეობს საქართველოს განათლების რეფორმის პროცესში 1998 წლიდან.

ნაზაკეტ ბაჰტიარ მეჰდიევა

ისტორიკოსი, აზერბაიჯანის სოციალურ მეცნიერებათა ეროვნული სასწავლო გეგმის ავტორი, აზერბაიჯანის განათლების სამინისტროს ეროვნული შეფასების კომპონენტის ხელმძღვანელი. შემუშავებული აქვს ეროვნული შეფასებისთვის საჭირო მასალები, ანგარიშები მოსწავლეთა მიღწევების შესახებ. არის მრავალი განათლების საკითხებზე სტატიებისა და სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორი.

ქეთევან კობალაძე

ფსიქოლოგი, დაამთავრა თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ.უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილების ეთნოფსიქოლოგიური ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელად. აქვს პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება უმაღლეს სასწავლებელსა და სკოლაში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები. არის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აკრედიტებული პროგრამის ავტორი და მწვრთნელი.